# არილი

№16 (161) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 9 ნოემბერი

ფასი 50 თეთრი

1134/2
2000

... გვჭირს, თუ ახლა ჩვენი ... - არ გამოვიყენეთ, თუ ახლაც ვერ ... გულარხეინობა და ღვთისმოიმედობა, ხვალ ჩვენს ... გილას სხვა საქართველო იქნება - ვაჭრუკანა, ცბიერი, ხარბი, უვიცი. **ვისაც თვალი აქვს, არ შეიძლება ვერ ხედავდეს, რომ რალაც გადაუბიჯებელ ზღვარს გადავაბიჯეთ და ფეხქვეშ ნიადაგი გამოგვეცალა. ჩვენი განთქმული პატრიოტიზმი ფარსად იქცა, ჩვენი ცნობილი თავმომწონეობა - თვალთმაქცობად, ჩვენი მომხიბლავი არტისტიზმი - ტაკიმასხარობად, ჩვენი ღირსეული სიამაყე - ბაქიაობად.** ჩვენ კვლავ მივადექით პროვინციალიზმის ჭაობს, საიდანაც მეცხრამეტე საუკუნის ტიტანური მეცა... ...ის წყალობით ამოვედით. ჩვენმა ცრუმხატვრულო- ...ეროვნულლობამ, ცრუპუბლიცისტიკამ, ...იკა.

ჯემალ ქარჩხაძე

# #16 2000



# არილი

**საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა**

---

**არილი** - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

**არილი** - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

---

მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

**სარედაქციო საბჭო**
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ნინი ზურიაშვილი
დათო თედორაძე
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*დირექტორი*
მიხეილ ჩიტაძე

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე



ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5



ჟურნალი იბეჭდება გაზეთ "კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე






**№16 ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2000**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ


## პერსონა


**ჯემალ ქარჩხაძე**
ზნეობის ეკოლოგია ........ 1

**ემზარ კვიტაიშვილი**
რაოდენი სიმდიდრე დაგვიტოვა ........ 5

**დავით წერედიანი**
სათქმელი ბევრია ........ 8

**მამუკა დოლიძე**
აზრით მხატვრობა ........ 9

**კახა ჯამბურია**
მარადიული პრობლემა ........ 10

**მეია ყუბანეიშვილი**
კემალ ქარჩხაძე - დიდი მწერალი ........ 12

**ლევან ბრეგაძე**
კემალ ქარჩხაძის ფრაზა ........ 14

**მამუკა ბერიაშვილი**
სინდისის ხმა ........ 15

**თამაზ ვასაძე**
თავისუფალ პიროვნებად ყოფნა ........ 17


## ლიტერატურა


**გივი ალხაზიშვილი**
ლექსები ........ 18

**ეკა ქევანიშვილი**
ლექსები ........ 19

**ზურაბ ლეჟავა**
ქორწილი ბინძურ აბანოში ........ 20

**ხულიო კორტასარი**
ედგარ პოს ცხოვრება ........ 28

**ალბერ კამიუ**
სტუმარი ........ 30

**ზაზა მოდებაძე**
დაკარგული $O_2$-ის ძიებაში ........ 35


## პუბლიცისტიკა


**ია ანთაძე**
კლასიკის უკვდავება ანუ
პოლიტიკური პრაგმატიზმი და პოლიტიკური იდეალიზმი ........ 36

**ზაზა ფაჩუაშვილი**
ბორია ივანოვის მონოლოგი ........ 40

1134/2
2000
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

# ზნეობის ეკოლოგია

## ფრაგმენტები დიალოგებიდან



21.703

...დღევანდელი ქართული ლიტერატურა, ჩემი აზრით, არც ისეთია, რომ თავმოწონების საბაბს იძლეოდეს და არც ისეთი, რომ სირცხვილით ვიწვოდეთ. ნიჭით, როგორც ყოველთვის, არავის ჩამოვუვარდებით და ნიჭის მოხმარებით, როგორც ყოველთვის, უმრავლესობა გვჯობნის, ვინაიდან (ესეც - როგორც ყოველთვის) განათლება და შრომისმოყვარეობა გვაკლია. ასე რომ, მთლიანობაში, ქართული ლიტერატურა დღეს საშუალო დონის ლიტერატურაა.

...დღეს საქართველოში მე ვერ ვხედავ ისეთ ძალას, რომელსაც ახლო მომავალში ლიტერატურული სასწაულის ჩადენა შეეძლოს. ვინც ახლა სვრელის ბოლოშია ან სვრელის შუაში, მეტისმეტად დათრგუნული თაობებია საიმისოდ, რომ ძვალსა და რბილში გამჯდარი ინერცია დაძლიონ. ვინც სვრელის თავშია, ისიც ძველი ინერციის შვილია და, გარდა იმისა, რომ წინა თაობებზე უფრო პრაგმატისტია, წმინდა ნიჭიერების თვალსაზრისითაც ჯერჯერობით ისეთს ვერაფერს გვიჩვენებს, რაც მკვეთრად განსხვავდებოდეს არსებულისაგან. ცალკეული გამონათებები იმ ძალისა და იმ ხასიათისა არ არის, რომ, რაც აქამდე შექმნილა, კვარცხლბეკად გამოიყენოს და ზედ ძეგლად აღიმართოს. ზოგი ფიქრობს, ის ძვრები, რომლებიც ახლა ყველა სფეროში მიმდინარეობს, ხელოვნებაში აფეთქებას გამოიწვევს. მე ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ, თუნდაც დროის საუკეთესო განვითარება ვივარაუდოთ. ახლა უფრო ის არის მოსალოდნელი, რომ ყველაფერი ადგილზე დატრიალდეს და ბუღში გაეხვიოს, საიდანაც ერთი ხანობა არაფერი გამოჩნდება. გარდა ამისა, ახლა, ალბათ, "ჯავრის ამოყრის" პერიოდიც დადგება, რის შედეგადაც, რაც აქამდე სიყალბე, პირობითად რომ ვთქვათ, "პლიუსი ნიშნით" შექმნილა, ახლა საკომპენსაციოდ "მინუსი ნიშნით" შეიქმნება, რათა დარღვეული წონასწორობა ილუზიურად მაინც აღდგეს. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და, თუ აღორძინებაა, მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ უნდა დადგეს აღორძინების ხანა. ასე რომ, ახალი "ვეფხისტყაოსანი" ჯერ ვერ დაიწერება. ვნახოთ, იქნებ ოცდამეერთე საუკუნე აღმოჩნდეს ჩვენი... საერთოდ, ჩვენი ეპოქის ერთი მთავარი ნიშანი ისაა, რომ განსაკუთრებული ლიტერატურული მიღწევებით ვერავინ დაიტრაბახებს, კაცობრიობა სხვა პრობლემებით გაერთო და მხატვრული ლიტერატურა ცოტ-ცოტა ყველას "გადავარდა გულიდან". თუ შესადარებლად ავიღებთ უკანასკნელ ას წელიწადს, ალბათ, არ არსებობს არცერთი კულტურული ქვეყანა, რომ დღეს - მაქსიმუმზე აღარაფერს ვიტყვი - საკუთარ მიღწევათა საშუალო დონეზე მაინც იდგეს.

* * *

შემოქმედებით პროცესში ორივე საწყისი მონაწილეობს, ცნობიერიც და არაცნობიერიც. ჩემი მოდელის მიხედვით, ხელოვნება დიდი სულიერი რხევის შუა წელშია, იქ, სადაც რელიგია და ფილოსოფია ერთმანეთში გადადის. სრული ჰარმონია - პოლუსების წონასწორობა და დოზების თანაფარდობა - ცენტრშია და პირადად მე სწორედ ეს მგონია შემოქმედისათვის საუკეთესო ადგილი. იქით, რელიგიის გავლენის სფეროში, თანდათან ძლიერდება არაცნობიერი საწყისი და შემოქმედიც მეტად და მეტადაა დამოკიდებული შთაგონებაზე, რომელიც აქ რეალურ სახეს იღებს (გალაკტიონის პოეზიაში, ჩემი აზრით, მეცნიერულ დონეზე შეიძლება ერთმანეთისაგან გაირჩეს შთაგონებით შექმნილი და შთაგონების გარეშე, მხოლოდ ტექნიკით, დაწერილი ლექსები). აქეთ, ცნობიერების საუფლოსაკენ, შთაგონება თანდათან განწყობად იქცევა. თუ ჩემზე ვილაპარაკებთ, ჩემში არაცნობიერს ცნობიერი სჭარბობს. მე, ასე ვთქვათ, გამოლმა ვარ და შთაგონებას "შორიდან ვიცნობ". ჩემი "მეძებარი" განწყობაა, რომელიც, რამდენადაც საკუთარი გამოცდილებით ვიცი, აღზრდასაც ემორჩილება და დისციპლინასაც.

* * *

...ჩემი შემოქმედების მთავარი პრობლემა ზნეობის პრობლემაა. პრობლემას მწერალი არ ირჩევს (ძალადობას ცუდი შედეგი მოაქვს), პრობლემა თვითონ ირჩევს მწერალს და ეს არჩევანი დამოკიდებულია ჩვენი ბუნების ულრმესსა და უმკვიდრეს ნიშნებზე. მე ჩემი ბუნებით, როგორც ჩანს, მორალისტი ვარ და ამას არაფერი ეშველება. ადამიანმა თუ საკუთარი ბუნების შეცვლა მოინდომა, მისი ბოლო სიყალბე იქნება - ყველაზე უარესი რამ, რაც კი შეიძლება შემოქმედს სჭირდეს. ცხადია, ამგვარი ბუნებითი მორალისტობა იმას არ ნიშნავს, მწერლობა აღზრდის საშუალებად მიმაჩნდეს. პირიქით, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ხელოვნებას არავითარი აღმზრდელობითი დანიშნულება არა აქვს იმ აზრით, რა აზრსაც პედაგოგიკა დებს ამ სიტყვაში (ასე რომ იყოს, კაცობრიობას მარტო სერვანტესი ეყოფოდა). სამაგიეროდ, ხელოვნება ჰუმანისტურია და მისი ძალა სწორედ ამაშია. ეს ბანალური ჭეშმარიტებაა, მაგრამ

ამ ჭეშმარიტების გახსენება საჭიროა, ვინაიდან ზოგჯერ ჰუმანიზმი ხელოვანის ღირსება ჰგონიათ და არა ხელოვნების თვისება. სინამდვილეში "ჰუმანისტი მწერალი" ისეთივე ყაიდის გამოთქმაა, როგორც, ვთქვათ, "ორფეხა ადამიანი". ჰუმანიზმი ხელოვნების უზოგადესი იდეური ფორმაა. ხელოვანი კი ამ ფორმას ავსებს. და თუ ისე შეავსო, რომ "ჰამლეტი" გამოუვიდა, ან "დონ კიხოტი", მკითხველს უჩნდება კათარზისის შეგრძნება. ეს შეგრძნება ეფემერულია (მე არ მინახავს კაცი, ხელოვნების ნაწარმოებს ზნეობრივი ტყავი ერთი დაკვრით გამოეცვლევინებინოს), მაგრამ კვალს ტოვებს, რომელიც შეუმჩნევლად იხსნება სისხლში, არსის შემადგენელ ნაწილად იქცევა, გენეტიკურ კოდში იდება და თაობებში მუშაობს. ასე მესმის მე მწერლობის ზემოქმედების ძალა და აღმზრდებობითი დანიშნულება.

* * *

...პირველი ნაწარმოები, რომელიც ბავშვობაში წავიკითხე (ყოველ შემთხვევაში, რაც მეხსიერებას შემორჩა, როგორც პირველი), იყო "ილიადა". ოღონდ მაშინ არ ვიცოდი, რომ ეს იყო არა "ილიადა", არამედ "ილიადას" პროზად მოთხრობილი ვარიანტი. წიგნი ძველი იყო და ისეთი საინტერესო, კაცი კითხვით ვერ გაძღებოდი. განსაკუთრებით მხიბლავდა აიაქსი და პატროკლე. ცოტა უფრო გვიან, ქართული ლიტერატურის გარდა, წავიკითხე მარკ ტვენი, სერვანტესი, შექსპირი, მერე და მერე მრავალი დიდებული მწერალი აღმოვაჩინე, რომლებსაც მკითხველის გრძნობა-გონების დასაპყრობი თავ-თავიანთი, განსხვავებული იარაღი აქვთ, მაგრამ ამ სამეულის სიყვარული და პერიოდული მონატრება სამუდამოდ გამომყვა. უპირველესი ადგილი შექსპირს უჭირავს, რომლის მხატვრული აზროვნების მასშტაბები, ღვთაებრივი უბრალოება (ან, თუ გნებავთ, ღვთაებრივი დაუდევრობა), სილამაზის დაუოკებელი განცდა და ამავე დროს მიწაზე მკვიდრად დგომის საკვირველი უნარი პოლუსებს ისე ძალდაუტანებლად აერთებს, რომ ამაზე უფრო შორს წასვლა თეორიულადაც კი შეუძლებელი მგონია.

ქართული მწერლობა, რა თქმა უნდა, ცალკე დგას, რადგან მასთან დამოკიდებულებას, ბუნებრივია, სხვა ემოციური ძალები განსაზღვრავს, თუმცა გამორჩეულად საყვარელი მწერლები აქაც მყავს. ესენია: პოეზიაში - გურამიშვილი და გალაკტიონი, პროზაში - დავით კლდიაშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე.

* * *

...მხატვრული ლიტერატურის გარდა მწერლისთვის საჭიროა ფილოსოფიისა და რელიგიის ცოდნა და, თუ ჩემს რჩევას შეიძლება რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს და ვინმეს რამეში გამოადგეს, იმათ, ვისაც სურს პროფესიონალი მწერალი გახდეს და თავისი სულიერი ძალები ამ სფეროში დახარჯოს, ვურჩევ ინტენსიურად იკითხოს ფილოსოფია და რელიგია. მე თვითონ, სამწუხაროდ, არც ერთი ვიცი საფუძვლიანად და არც მეორე, მაგრამ ამის მიზეზი სულ სხვა რამ არის და არა ინტერესის ნაკლებობა. ფილოსოფიიდან ჩემთვის მუდმივი თანამგზავრი და ხშირი მონატრების საგანი პლატონია, საღვთო ლიტერატურიდან - ბიბლია. მართალია, ძველ აღთქმას ჩემთვის



რელიგიური ღირებულება ნაკლებად აქვს, რადგან მისი კავშირი ქრისტიანობასთან, რაც ძირითადად წინასწარმეტყველებათა სისტემის ერთიანობით ხორციელდება, მეტისმეტად ფორმალური მგონია, სამაგიეროდ, აქ ხან ისეთი სადა, მშვიდი დიდებულებით დიდებული სინათლე დგას, ყოვლისმომცველი და უძრავი, შეიძლება ითქვას, ტრანსცენდენტური სინათლე (განსაკუთრებით მოსეს ხუთწიგნეულში), ხან კი მუხტის დაძაბულობა ისეთ გაუგონარ სიმაღლეს აღწევს და სულის ყველა ფენას ისეთი ელვით ანათებს (ვთქვათ, ეკლესიასტე), როგორიც სხვაგან იშვიათად თუ სადმე შემხვედრია. რაც შეეხება ახალ აღთქმას, მიუხედავად იმისა, რომ მე არ შემიძლია ჩემს თავს ორთოდოქსი ქრისტიანი ვუწოდო (ჩემთვის უფრო ახლოა რენანის თბილი მოწიწება და ადამიანური სიყვარული, ან ინდოელი ბრძენის ლოგიკური ფორმულა, რომლის მიხედვითაც იესო ნაზარეველი არის განთავისუფლებული სული, რომელმაც უარი თქვა თავისუფლებაზე და ნებაყოფლობით შემოვიდა კარმის წრებრუნვაში), ახალი აღთქმა ჩემთვის ისეთივე წმინდა წიგნია (ჩემი გაგებით, ეგებ, მეტადაც კი), როგორც ორთოდოქსი ქრისტიანისათვის, ვინაიდან იგი მრავალ და მრავალ სულიერ მოთხოვნებს პასუხობს, სამყაროსთან დამოკიდებულებას აწესრიგებს და შინაგანი წონასწორობის ერთი უმთავრესი საყრდენია.

* * *

...ჩვენი ლიტერატურის მთავარი ღირსება, ჩემი აზრით, ტალანტების სიუხვეა. მთავარი ნაკლი - პრაქტიციზმი, მთავარი საფრთხე - განუკითხაობა. შევეცდები ავხსნა, თუ რას ვგულისხმობ.

ჩვენში მწერალი (არა მარტო მწერალი, მაგრამ მე მარტო მწერალზე ვილაპარაკებ) ტალანტის განვითარებაზე მანამ ზრუნავს, სანამ ისეთ ლიტერატურულ, ლიტერატურულ-საზოგადოებრივ, ან საზოგადოებრივ აღიარებას მოიპოვებდეს, როცა, ასე ვთქვათ, უკვე ყველა გზა ხსნილი აქვს და ყველა კარი ღია. რაკი გზა ხსნილი აქვს, ახლის ძებნაში დროს აღარ ჰკარგავს, რასაც მიაღწია, იმით კმაყოფილდება და მთლიანად მოსავლის აღებაზე გადადის, ამიტომ, როცა სიბრძნის ასაკი დგება და კაცს, რომელიც ამ სიბრძნის ასაკს ბრძნულად მიადგა, შეუძლია ქვეყნიერების საიდუმლოს რამდენიმე ისეთი წვეთი ჩამოსწუროს, სხვები რომ ვერ ხედავენ, ის უკვე კმაყოფილი სახით დააბიჯებს მამულში და ჭირნახულის დაბინავებითაა გართული (რა თქმა უნდა, არა ერთი და ორი ბედნიერი გამონაკლისიც არსებობს. მაგალითისთვის დავასახელებ, თუნდაც, რეზო ჭეიშვილს). მეორე ტენდენცია, რომელიც ასევე სავალალოა, ის არის, რომ უკანასკნელ ხანს რაღაც უცნაურმა გენიოსომანიამ დაგვრია ხელი. პატივმოყვარეობა მკვრივი გახდა, ლამის მატერიალური. თავდაჯერება იქამდე მივიდა, უკვე სასაცილოც კი აღარაა. ერთხელ ერთი მწერალი ერთ კრიტიკოსს ძალიან შემოსწყრა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს მისი ახლად გამოქვეყნებული ნაწარმოები... მოეწონა. როგორ! მხოლოდ მოეწონა და მეტი არაფერიო?! ერთსა და იმავე დროს კომიკურიც არის და სამწუხაროც: მოწონება თითქმის დაწუნებას ნიშნავს, "კარგი" თითქმის "ცუდს". "ბრწყინვალეზე" ნაკლები აღარ გვაკმაყოფილებს (გამონაკლისები, ღვთის მადლით, აქაც ჯერ კიდევ საკმაოდ გვყავს). ასეთ ვითარებაში არც ის არის გასაკვირი, რომ კაცი თავისი ბუნებრივი ნიჭის შესაბამისს ვეღარ ქმნის.

* * *

...მაღალი ინტელიგენტური სული დღეს ჩვენს საზოგადოებაში არ ტრიალებს. იმიტომ, რომ ნამდვილი ინტელიგენცია ჩვენ, არსებითად, არა გვყავს. მე ინტელიგენტ-



ში არ ვგულისხმობ ისეთ კაცს, რომელსაც ახლა ეძახიან ინტელიგენტს და რომლის ინტელიგენტობის მთავარი ნიშანი უმაღლესი განათლების მოწმობაა, ასეთი ინტელიგენტები არათუ გვყავს, იმაზე მეტიცა გვყავს, ვიდრე სასურველია. ინტელიგენტში მე ვგულისხმობ ადამიანს, რომელსაც ცხოველური საწყისი ბოლომდე დაძლეული აქვს და მხოლოდ სულიერ და ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა შესაბამისად ცხოვრობს. ასეთი ინტელიგენტი, უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივი მოვლენაა. ბუნებრიობა მისი არსებობის ყოვლისმომცველი ფორმაა. შეიძლება ითქვას, ის ენაა, რომელზედაც მისი ცხოვრების ისტორია იწერება. ამიტომ ინტელიგენტის ნიშან-თვისებებზე ლაპარაკი არასწორი იქნება. არ შეიძლება, მაგალითად, იმის თქმა, რომ პატიოსნება ინტელიგენტის თვისებაა, როგორც არ შეიძლება იმის თქმა, რომ სუნთქვა ადამიანის თვისებაა. სუნთქვა არის არა თვისება, არამედ გარდუვალობა. ინტელიგენტს, უბრალოდ, არ შეუძლია პატიოსანი არ იყოს, დემოკრატი არ იყოს, ჰუმანისტი არ იყოს, შინაგანად თავისუფალი არ იყოს, თავმდაბალი არ იყოს... ან: ინტელიგენტს არ შეუძლია პატივმოყვარე იყოს, ამპარტავანი იყოს, შური აწუხებდეს, ცდუნებას აჰყვეს, კრიტიკა აღიზიანებდეს, ჩინ-მედლებს მიელტვოდეს...

თუ ვინმეს ეს სურათი ზედმეტად მაქსიმალისტური მოეჩვენოს, გადაავლოს თვალი ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, პეტრე მელიქიშვილის და უამრავ მათ თანამედროვეთა პირად ცხოვრებას და დარწმუნდება, რომ გადაჭარბებული აქ არაფერია.

ერთი გარეგანი ნიშანიც ვიცი ინტელიგენტისა: ხეპრე ვერ იტანს...

საქართველოში ასეთი ინტელიგენცია მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა. საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა კიდეც და ჩვენმა ისტორიამაც შვებით ამოისუნთქა, რადგან სწორედ ეს იყო ერის გადარჩენის ერთადერთი პირობა...

* * *

ვიცი, ეს მარტო საქართველოს უბედურება არ არის, მაგრამ ის კი არ ვიცი, როდის ჩავრთეთ დამატებითი სიჩქარე და რომელ ეტაპზე გადავუსწარით სხვებს, ისეთი რა იმალებოდა ჩვენი ბუნების ღრმა შრეებში, რომ დრომ და ვითარებამ ასეთ სარეველად წამოშალა. იქნებ ვინმეს მოეჩვენოს, თითქოს მეტისმეტად ვამუქებ ფერებს, იქნებ ვინმე შემომწყრეს კიდეც, მაგრამ წყრომას ახლა მგონი ისა სჯობს, ძილბურანს თავი დავაღწიოთ და დაკვირვებით მიმოვიხედოთ. ჩვენ უნიკალური მოვლენის მოწმე ვართ: ერი თვალდათვალ იცვლის სახეს. ცოტაც და იმ საქართველოდან, რომელიც ჩვენს ცნობიერებაშია აღბეჭდილი და რომელიც გვიყვარს, სულ სხვა საქართველოს მივიღებთ. ვიდრე მტერი გარეთ გვყავდა, ვიბრძოდით და ვუმკლავდებოდით კიდეც, როცა სულში გაგვიჩნდა და შიგნიდან შემოგვიტია, დავიბენით, რადგან საკუთარი თავის წინააღმდეგ ბრძოლა არ ვიცით. ჩვენი სიმღერა და სიყვარული კვლავაც ხმაურიანია, მგზნებარე და პათეტიკური, მაგრამ სიმღერისა და სიყვარულის საგანი თუ ხელიდან გამოგვეცალა, უსაგნო სიმღერასა და სიყვარულს რას ვაქნევთ! დროა თვალი გავახილოთ. იქნებ უფსკრულისკენ მივექანებით, ჩვენ კი, რაკი კუდაბზიკობა ამის გამხელის ნებას არ გვაძლევს, გვგონია, თითქოს საზეიმო დემონსტრაციაზე მივაბიჯებთ! თუ ახლა არ შევჩერდით, თუ ახლა ბეჯითად, ღრმად და დაუნდობელი სიმართლით არ გავარკვიეთ, რა ჭირი გვჭირს, თუ ახლა ჩვენი შანსი - ვინ იცის, უკანასკნელი - არ გამოვიყენეთ, თუ ახლაც ვერ დავძლიეთ ჩვენი გულარხეინობა და ღვთისმოიმედობა, ხვალ ჩვენს ადგილას სხვა საქართველო იქნება - ვაჭრუკანა, ცბიერი, ხარბი, უვიცი. ვისაც თვალი აქვს, არ შეიძლება ვერ ხედავდეს, რომ რაღაც გადაუბიჯებელ ზღვარს გადავაბიჯეთ და ფეხქვეშ ნიადაგი გამოგვეცალა. ჩვენი განთქმული პატრიოტიზმი ფარსად იქცა, ჩვენი ცნობილი თავმომწონეობა - თვალთმაქცობად, ჩვენი მომხიბლავი არტისტიზმი - ტაკიმასხარობად, ჩვენი ღირსეული სიამაყე - ბაქიაობად. ჩვენ კვლავ მივადექით პროვინციალიზმის ჭაობს, საიდანაც მეცხრამეტე საუკუნის ტიტანური მეცადინეობის წყალობით ამოვედით. ჩვენმა ცრუმხატვრულობამ, ცრუპათეტიკამ, ცრუეროვნულობამ, ცრუპუბლიცისტიკამ, ცრუმორალმა ჩვენვე წაგვლეკა.

როცა ქვეყანას პროვინციალიზმის ხავსი მოედება, არ შეიძლება მორალი არ შეირყვნას. სადაც არ არის ინტელიგენცია - ბუნებრივი შემკავებელი, იქ განსაკუთრებული კეთილსინდისიერებით უნდა მოქმედებდეს კანონი - ხელოვნური შემკავებელი, მაგრამ კანონს თუ რჩეულები ჰყავს და ამგვარად საყოველთაობის ფუნქცია დაკარგული აქვს, ის უკვე კანონი აღარ არის და ეს ხელოვნური ზღუდეც დაქცეულია...

* * *

ჩვენი საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობაში ცნება "თავისუფლება" გაიგივებულია ეროვნულ თავისუფლებასთან, პიროვნული თავისუფლება განიხილება მისი, როგორც მთელის, ნაწილი. ეს უაღრესად საშიში შეცდომაა, რადგან აქ სიმრავლე ყირაზეა დაყენებული. სინამდვილეში სწორედ პიროვნული თავისუფლეება მთელი, ხოლო ეროვნული თავისუფლება - ნაწილი, და ამის არგუმენტად საკმარისია ითქვას, რომ თავი-

სუფალი ადამიანი ღვთის ნებაა, თავისუფალი ერის - ადამიანთა ნება. თუ ვაღიარებთ იმას, კერძოდ, რომ გრძნობად სამყაროში უმაღლესი პრინციპი თავისუფლების სახითაა გაცხადებული და რომ რელიგიურობის გრძნობის ერთი არსებითი ნაწილიც თავისუფლების იდეის პულსაციაა, ამ ფონზე ეროვნული თავისუფლება - პიროვნული თავისუფლებისაგან მოწყვეტილი - შეიძლება ერთგვარ კერპთაყვანისმცემლობას შევადაროთ. ჭეშმარიტი ღმერთი მხოლოდ პიროვნულ თავისუფლებაში მჟღავნდება, რადგან პიროვნული თავისუფლებაა ის სხივი, რომლითაც ადამიანი ღმერთს შეიგრძნობს.

ირგვლივ ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ჩვენი თავისუფლება ჯერ კიდევ ბნელ დილეგში გდია, სადაც იგი თავის დროზე რეჟიმმა ჩააგდო. ამ დილეგს მრავალი ხვრელი აქვს, მაგრამ სინათლისკენ მხოლოდ ერთი მიდის, დანარჩენები სხვა დილეგებს უერთდება, რომლებითაც ქვესკნელი მოფენილია. თუ ერს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მზის სინათლეზე ამოვიდეს, პირველ რიგში, მან ანომალიის ბინდი უნდა მოიშოროს თვალებიდან და თავისუფლების ანბანს დაეწაფოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ახლა ბნელში ვსხედვართ, კვლავაც ასე ბნელში ვისხდებით, და როგორც ახლა ვართ მზად, კვლავაც ასე მზად ვიქნებით, სიმართლე "უმრავლესობის" სახელით ჯვარს ვაცვათ და კვარცხლბეკზე სიცრუის კერპი დასვათ.

ჩვენი უბედურება ის არის, რომ უზნეობის ცალკეულმა გამოვლინებებმა ერთმანეთთან კავშირი დაამყარა და მთლიანი ქსელი გააბა, რის შედეგადაც თვისობრივად ახალი სახე მიიღო და უზნეობის ფაქტებიდან უზნეობის ატმოსფერო წარმოქმნა. ჩვენ ამ ატმოსფეროს შევეგუეთ. ჩვენ ამ ატმოსფეროთი გავიჟღინთეთ. ჩვენ ეს ატმოსფერო მოვირგეთ. მართალია, ჯერ კიდევ გვყავს ხალხი, ვისაც ღმერთი სწამს და არა მამონა (იმედის უკანასკნელი დასაყრდენიც ეს არის), მაგრამ რამდენ კაცს შეუძლია დღეს საქართველოში ბუნებრივი მღელვარებით წაიკითხოს და ემოციურად გაიაზროს სახარების ეპიზოდი, სადაც მაცხოვარი თავის მოწაფეებს ფეხებს ჰბანს?.. ამას იქით კატასტროფაა. ჭაობი. და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ჭაობი კატასტროფაა მანამ, სანამ ჩავიძირებით, მერე კატასტროფა აღარ იქნება, მერე გონებასუსტთა უაზრო კმაყოფილება იქნება. ჭაობი თბილია, რბილია, საამოდ ბლანტია და ჩაძირვისთანავე გავიწყდება, ვინ იყავი, საიდან მოდიოდი, საით მიდიოდი, რა გინდოდა... იქ ბაყაყები ოპტიმისტურად ყიყინებენ და ყველა იარას სოციალური მალამო კურნავს. ეს არ არის "მხატვრული გაზვიადება". ეს რეალური პერსპექტივაა. და იმისათვის, რომ ეს პერსპექტივა მართლა რეალობად არ იქცეს, სიკეთის რწმენა არ კმარა. დღეს უკვე ზარების დარისხებაც არ კმარა. დღეს ყველა იარას, რომელიც ჯერ კიდევ არ გაბრუებულა ნარკოზით, მარილი უნდა დავაყაროთ. ჩვენი ეპოქა ცნობიერი საწყისის ეპოქაა, ფხიზელი გონების ეპოქა. ასეთ დროს უსახური მასა განსაკუთრებით საშიშია. ამიტომ გონების მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო, ვიდრე ჯერ კიდევ შესაძლებელია მასა პიროვნებებად დაიშალოს, ყოველ თავში ინდივიდუალური სანთელი აინთოს და ყოველმა კაცმა თვალი გაახილოს, რათა ჭაობიც დაინახოს და უფსკრულიც. თვითონ მასაც, ალბათ - თუ "იგის" იდეა სწორია - პიროვნებებად დაშლას ითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მეტი გაფრთხილებით სწორედ ამის წინააღმდეგ იბრძვის. ერთი სიტყვით, ზნეობის დაბინძურებამ ჩვენში კრიტიკულ წერტილს მიაღწია და პრობლემებით სავსე ჩვენს ეპოქაში ჩვენთვის, ქართველებისათვის, ერთი ყველაზე მძიმე და ყველაზე საშური პრობლემა ზნეობის ეკოლოგიაა.

* * *

...კაცობრიობის მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. ოპტიმისტურად ვუყურებ. ჯერ ერთი, რწმენით და მერეც, იმის გამო, რომ, ვფიქრობ, კაცობრიობა იძლევა კიდეც ამის საშუალებას. მიუხედავად მრავალი შეცდომისა და შეცოდებისა, მრავალი წაფორხილებისა და დაცემისა, თუ ისტორიას მთლიანობაში შევხედავთ, პროგრესი რეალური ფაქტია და ადამიანები, მართალია, მძიმედ, ფრთხილად, ყოყმანით, მაგრამ მაინც ისე უახლოვდებიან ერთმანეთს, ისე მიისწრაფიან ერთმანეთისაკენ, რომ არ შეიძლება მახვილმა თვალმა პერსპექტივაში ერთი დიდი ოჯახი არ დაინახოს, მაგრამ მიზნის მისაღწევად სილამაზე არ კმარა, მარტო სილამაზე სამყაროს ვერ იხსნის. მიზნის მისაღწევად სიცოცხლის არსს სამი პრინციპი აქვს მინიჭებული: გონიერება, სიყვარული და სილამაზე. ეს ყოველთვის კარგად ჩანს კეთილისა და ბოროტის ჭიდილში, პროგრესის ამ უძველესსა და უღრმეს ხატში, რომელიც ერთსა და იმავე დროს მითოლოგიურიცაა, რელიგიურიც, ფილოსოფიურიცა და მხატვრულიც. ეს სამი პრინციპია სამყაროს ხსნის შანსი, ხოლო ეპოქის კრიზისი სხვა არფერია, თუ არა რომელიმე მათგანის დეფიციტი. ჩვენი ეპოქის კრიზისი სიყვარულის ნაკლებობაა. დღეს წინა პლანზე მშრალი გონიერებაა. გონიერებას შეუძლია ბირთვული ომი აირიდოს, მაგრამ კაცის მოკვლისთვის წყალბადის ბომბი არაა აუცილებელი, კაცის მოკვლა კეტითაც შეიძლება, ერთი კაცის მოკვლასა და მთელი ქვეყნიერების გაჟლეტას შორის კი განსხვავება მხოლოდ რაოდენობრივია.

დღეს დედამიწაზე უამრავი გაუგებარი, უაზრო, აბსურდული მკვლელობა ხდება, რომლებიც ცოცხლად დარჩენილთათვის მხოლოდ შიშველი სტატისტიკაა, გულსა და გონებაში კი კვალს თითქმის არ ტოვებს. ეს არის სიყვარულის კრიზისი. ადამიანს სიყვარულის მარაგი შემოაკლდა და ამ მარაგის შესავსებად კვლავ ის წმინდა ზარდახშა უნდა გახსნას, რომელშიაც წერია: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

დარწმუნებული ვარ, ასეც იზამს.

**არილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ემზარ კვიტაიშვილი

# რაოდენი სიმდიდრე დაგვიტოვა



ბოლო წლებში, როცა კი მიფიქრია, თუ ცხოვრების მანძილზე მწერალთა შორის ვინ შემხვედრია გაუბზარავი სიმტკიცის, ყველაზე უფრო წმინდა ზნეობის კაცი, ერთ-ერთი უპირველესი ჯემალ ქარჩხაძის სახე დამიდგება ხოლმე თვალწინ და არა მგონია, ეს მარტო ჩემი აზრი იყოს. აქვე ისიც შემიძლია ვთქვა, რომ მასთან ურთიერთობა, მისივე ლაღი, უშურველი ბუნების გამო, ხალისითა და სიხარულით გავსებდა.

სხვებთან ერთად, მეც უშუალო მოწმე ვიყავი სამწერლო ასპარეზზე ახლადგამოსული ჯემალ ქარჩხაძის უაღრესად საინტერესო ლიტერატურული ნაბიჯებისა და, ამდენად, ზოგი რამ შემიძლია გავიხსენო. პირველი მოთხრობა მან "მნათობში" გამოაქვეყნა და ამის შემდეგ მოვიდა ახალგაზრდულ ჟურნალ "ცისკარში", რომელსაც იმხანად ძნელად შესაგუებელი ხასიათის პიროვნება, საბჭოური ეპოქის ერთგვარი მსხვერპლი, მაგრამ ნამდვილი პროფესიონალი, ნაკითხი და გარკვეული ლიტერატურული გემოვნების კაცი კონსტანტინე ლორთქიფანიძე რედაქტორობდა. ჯემალის მოტანილ მოთხრობას "სასწაული" ერქვა, სკოლის მოწაფეებზე იყო დაწერილი და თვალთახედვის ორიგინალურობითაც გამოირჩეოდა. "ცისკრის" მაშინდელი თანამშრომლები მიჩვეულნი ვიყავით ტექსტში ზედმეტად მოკრიკიტე რედაქტორისაგან ავტორთა დაწუნებას, მაგრამ როდესაც ბატონმა კონსტანტინემ გატანებული ნომრის მასალები მოიტანა, პორტფელის გახსნისთანავე თქვა, ქარჩხაძის მოთხრობა უნდა დაიბეჭდოსო (ორიოდე იოლად გასასწორებელი შენიშვნა ჰქონდა). ვიღაცამ, სათაურის გამო, ხუმრობით იკითხა, შიგ რამე სასწაული თუ ხდებაო. რედაქტორს არ დაუხანებია, მოციმციმე სათვალეები შემკითხველს მიაპყრო და უპასუხა - თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მოთხრობაში მართლაც ხდება სასწაული და თვითონ მისი ავტორი ძალიან ნიჭიერი ყმაწვილი ჩანსო. ამის მთქმელს ბევრი მომაკვდინებელი ცოდვა ბრალდება, მაგრამ ჯემალ ქარჩხაძის მწერლური ტალანტი რომ ზუსტად, შეუმცდარი ალღოთი ამოიცნო და შეაფასა, ეს ამჟამად არავისთვის არის სადავო.

ჯემალის ნიჭის ნამდვილი გამობრწყინება მოხდა "ცისკარში" ჯანსუღ ჩარკვიანის რედაქტორობის დროს, როდესაც ზედიზედ გამოქვეყნდა მისი ბრწყინვალე მოთხრობები: "ოპერაცია "დეიდა ტასო", "გიგანტი", "მარიანა" და სხვები. მის პროზას, ღრმა ანალიტიკურ აზროვნებასთან ერთად, თავისებურ ელფერს ანიჭებდა მოხდენილი ირონია და ხატვის საუცხოო უნარი, პოეტურობა.

საკუთარი თავისადმი იგი უკიდურესად მომთხოვნი, კრიტიკულად განწყობილი იყო. ერთხელ მოზრდილი მოთხრობა მომიტანა, ოსტატურად, მკვეთრად გამოვლენილი იუმორისტული ტონალობით დაწერილი (სათაური არ დამახსოვრდა). მთავარი გმირი ზედმეტად აღგზნებული, ეგზალტირებული ტიპი იყო, ყველაფერს რომ ეპოტინება და ხელმოცარული რჩება, ისეთი. მოთხრობის ბოლოს იგი ზღვაზე მიდის დასასვენებლად. იქიდან რომელიღაც ნაცნობს აღტკინებულ, ზეპათეტიკურ დეპეშას უგზავნის, თუ როგორ მშვენივრად გრძნობს თავს, რა ბედნიერია. დეპეშის ტექსტი რუსული ტრანსკრიფციით იყო მოტანილი და სასაცილოდ ჟღერდა. ეს დეპეშა ადრესატს მიღებულიც არა აქვს, მოთხრობის გმირი აზობოქრებულ ზღვაში შეცურდება და იხრჩობა. კითხვისას ბევრი ვიცინე, მაგრამ ჯემალს მორიდებულად ვუთხარი, რომ ტრაგიკომიკური ფინალი ცოტათი გაშარჟებული მომეჩვენა და რამეს ხომ არ შეცვლიდა. დამეთანხმა, წაიღო ის ორმოცგვერდიანი მოთხრობა, მაგრამ უკან აღარ დაუბრუნებია. რამდენჯერაც კი ვთხოვე, მოიტანე, თუნდაც ხელდაუკარებელი იყოს-მეთქი, არაფრით არ ქნა, აღარ მომწონს, გადავიფიქრე დაბეჭდვა, იმის მაგივრად სხვა რამეს მოვიტანო. დასანანია, თუ ის მოთხრობა გაანადგურა; რაიმე შტრიხს ნამდვილად შემატებდა ჯემალის ადრინდელ პროზას, მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისს.

წლებს წლები მიჰყვა. ჯემალ ქარჩხაძე ზედიზედ აქვეყნებდა თავის საუკეთესო მოთხრობებსა და რომანებს და თანდათან ცხადი გახდა - ქართული პროზის როგორ დახვეწილ, ყველასაგან გამორჩეულ ოსტატად ჩამოყალიბდა იგი. თითქმის ყველაფერი, რასაც მისი ხელი შეხებია, საგანგებო განსჯისა და საუბრის საბაბს იძლევა, მაგრამ მცირე მოსაგონარ წერილში, ცხადია, ეს ვერ მოხერხდება.

* * *

მუდამ სიამოვნებით მახსენდება ის რამდენიმე ზაფხული (აგვისტოს თვეში), ჯემალი და მე ოჯახებით რომ ვისვენებდით ერთმანეთის მახლობლად. ბორჯომში ყოფნისას ყოველდღე ვხვდებოდი, ვსაუბრობდით, ვსეირნობდით. მაშინ მისი ბიჭებიც (კახა და გია) პა-

ტარები იყვნენ და ჩემი ქალ-ვაჟიც. ერთხელ პარკისკენ მივდიოდით, საბაგიროთი პლატოზე უნდა ავსულიყავით. ჩემმა ბიჭმა, დათომ (იგი მაშინ ხუთიოდე წლისა თუ იქნებოდა) სანატორიუმ "ფირუზთან" პატარა ლამაზ გოგოს მოჰკრა თვალი. ეტყობა, სადღაც გაგონილი ჰქონდა მოარული ფრაზა და იმ გოგოს ყურადღება რომ მიექცია, შეაჩერა:

- ერთი წუთით, გონგონი! ("გოგონიც" ვერ წარმოთქვა სწორად).

ამის გაგონებაზე ჯემალი სიცილისგან ჩაბჟირდა, ეს რას შევესწარი, შენი ბიჭი, დიდი რომ გახდება, ქუჩაში ქალს არ გაატარებს, ნამდვილი მუსუსი გამოვაო. მთელი გზა, საბაგიროთი ამავალი და მერეც სიცილით იხსენებდა ამ გულუბრყვილო, ბავშვურ "გაარშიყებას". კარგი დრო იყო, რაღაც გვიხაროდა. ახლა გულდამძიმებული ვფიქრობ, ნეტავი ეცოცხლა ჩემს საცოდავ ბიჭს და როგორიც უნდოდა, ისეთი გამოსულიყო.

არანაკლები სიამოვნებით ვიხსენებ ქვიშხეთურ საღამოებს. ნასადილევს ჯემალთან გადავდიოდი და სულგანაბულნი ვუსმენდით ვებერის გახმაურებულ როკ-ოპერას "იესო-სუპერვარსკვლავი". ჯემალმა მთელი ჩანაწერი ზეპირად იცოდა, იმდენჯერ ჰქონდა მოსმენილი. განსაკუთრებით აღელვებდა მონანიე იუდას ქვითინგარეული არია, იცოდა, როცა ის ადგილი ახლოვდებოდა და ხელით მანიშნებდა, დააკვირდიო.

იქვე ისვენებდა ფეტვიაშვილების მშვენიერი ოჯახი. დღეს საქვეყნოდ სახელგანთქმული მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი მაშინ რვა წლისა თუ იქნებოდა. ერთხელ, დიდი კაკლის ძირას, ჯგუფური სურათიც გადავიღეთ. რუსუდანს იმ სურათში ცალი ხელისგული მმიწაზე უდევს, ეშმაკურად მოღიმარს, თავი მაღლა აქვს აწეული და სახე - სხვანაირად გაცისკროვნებული; უბრალო ფოტოზეც ეტყობა, ჩვეულებრივი ბავშვი რომ არ არის.

მოგვიანებით რუსუდან ფეტვიაშვილზე ჯემალმა ბრწყინვალე წერილი გამოაქვეყნა "ცისკარში" - დამაჯერებლად ახსნა და ყველასათვის ახლობელი გახადა უნიჭიერესი გოგონას იდუმალი, ზღაპრული სამყარო.

ძნელად თუ დაავიწყდება ჯემალის მუდამ აზრიანი საუბარი და გულითადობა, ვინც მას თუნდ ერთხელ შეხვედრია, ვისაც კი მასთან ჭიქა ღვინო აუწევია. მისი იუმორიც არ ჰგავდა სხვისას, გულიანი სიცილი იცოდა, რაღაცნაირი ალალი და ბაშვური. დაღვრემილიც ბევრჯერ მინახავს. ამ დროს მის ჭკვიანურ თვალებში სევდა ჩაიბუდებდა. მას მერე, წვერი რომ მოუშვა, კიდევ უფრო ნაღვლიანი გაუხდა იერი. ამას ისიც დაემატა, რომ საბედისწეროდ არეულ საქართველოში გასახარი და სანუგეშო არაფერი ხდებოდა. თანაც ვერაგი, სისხლში გამჯდარი მოურჩენელი სენი მოერია და ბოლო წლებში გარეთ იშვიათად გამოდიოდა. თავისი მთავარი წიგნიც მოსასწრები ჰქონდა.

* * *

ჯემალ ქარჩხაძის ნაწერებს მუდამ დიდი გულისყურით, შეუნელებელი ინტერესით ვკითხულობდი და ვკითხულობ. განსაკუთრებული სულიერი კმაყოფილება და სიამოვნება განმაცდევინა მისმა ფართოპლანიანმა რომანმა "ქარავანმა", რომელშიც თეატრალური სამყაროს შესაშური, ულრმესი ცოდნა და გმირთა ხასიათების დიდოსტატური წვდომაა გამომჟღავნებული.

მეეჭვება, ქართულ პროზაში ვინმეს აესახოს იმაზე უფრო ამაღლებული და სუფთა მეგობრობა, ვიდრე ჯემალ ქარჩხაძის კალმით დახატული ყმაწვილების - აბელისა და მირიანის ხანმოკლე და უფაქიზესი ურთიერთობაა. აბელის თვალთახედვიდან მირიანის მოულოდნელმა გაქრობამ (ზაფხულში უკურნებელი სენით მისმა სიკვდილმა და დაზაფრული აბელის მწუხარებამ) შორეულად გამახსენა თომას ვულფის გენიალური მოთხრობა "გაუჩინარებული ბიჭი".

მირიანის დედ-მამისა და თვით მირიანის არსებიდან უსაზღვრო სიკეთე და სიყვარული ასხივებს. ეს არის ამჟამად გადაშენებულ ინტელიგენტთა, სულით არისტოკრატთა ნამდვილი "წმინდა ოჯახი", რომლის ღვთიური შუქი მთელ წიგნს ეფინებაა. დაუვიწყარია მარტოხელად დარჩენილი მირიანის მამის, გიორგის მობოდიშება რომანის ბოლოს, როცა იგი მის მოსანახულებლად მოსულ აბელს ეუბნება: "აბელი როგორ არ მახსოვს! აბელი, რომელიც დედისერთაა და ამიტომ თავისი კაენი არა ჰყავს". რა სევდიანი და ღრმა მინიშნებაა გაუბედურებული კაცის ამ ყრუ ამოოხვრაში.

ასევე იშვიათად შემხვედრია ყოფითი და ირეალური ეპიზოდების ისეთი ბუნებრივი, ძალდაუტანებელი მონაცვლეობა, როგორც ეს ჯემალ ქარჩხაძის ნაწერებში ხდება. "ქარავნის" დასასრულს აბელის შესვლა ფანტასტიური აგებულების მღვიმეში (მღვიმე მოაზრებულია ვეება მაგიურ კრისტალად, რომელშიც კაცის მთელი ცხოვრების გზა მოჩანს), გმირის სრული განწმენდა და ამაღლება ფესვებგატოტილ სიმბოლოდ გვესახება და ზედროულობის განცდას ბადებს.

მწერლის ეს უნიკალური თვისება კიდევ უფრო შთამბეჭდავი და მასშტაბურია მის ბოლო, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვან, სამწუხაროდ, დაუმთავრებელ რომანში "განზომილება" (გავიხსენოთ მანქანებისგან დაცობილი გვირაბის ეპიზოდი, აგრეთვე, ვარიაციები ჩართული ზღაპრისა "უფლისწული და გველეშაპი"), ჟურნალმა "ცისკარმა" რომ გამოაქვეყნა. ჯემალ ქარჩხაძეს "განზომილების" დასრულება რომ დასცლოდა, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, იგი მისი შემოქმედების გვირგვინი იქნებოდა.



აქვე მინდა მოვიხსენიო ჯემალ ქარჩხაძის ერთი საუკეთესო ქმნილებათაგანი, რომის სისხლიანი, ვერაგი იმპერატორის, ნერონის ზღვარგადასულ ზნედაცემულობას რომ გვიხატავს - "იუპიტერის სინანული". დიდებულია ამ მცირე რომანის შესავალი ნაწილი, ქოროს აჭრილი, გათანამედროვებული მეტყველება და ყოვლის შემოქმედის, იუპიტერის მრისხანე გულისწყრომა, მის მიერ "დროის საბძელში" შეხედვა და უთვალავ, გონებისთვის წარმოუდგენელ ბოროტებათა ხილვა. სწორედ ამას მოსდევს ელვისმპყრობელი ღვთაების მწარე სინანული: "...რაც მეტს ვფიქრობ, მით უფრო ვრწმუნდები, სამყაროს შექმნა შეცდომა იყო".

წიგნში სამაგალითო სიზუსტითა და მოქნილობით არის დახატული ხორცშესხმული ბოროტების, უპირველესი ჯალათის, არტისტობაზე თავგადაკლული ნიღბის დიდოსტატის შემაძრწუნებელი ცინიზმი, ავადმყოფური პატივმოყვარეობა, გულისამრევი სილაჩრე. "იუპიტერის სინანულის" ავტორს რომის იმპერიის კოშმარული წლებიდან ნერონის სისაძაგლეთა სამზეოზე ამოზიდვა იმიტომ დასჭირდა, რომ მინიშნებით ჩვენი დაუნდობელი დროის უკეთურობანი ეჩვენებინა, გავეფრთხილებინეთ, რომ დღევანდელ ალმოდებულ მსოფლიოს აღარაფერი აკლია უფსკრულში გადაჩეხვას, რომ ადამიანი - ყველა უბედურებათა სათავე და მიზეზი - თავის თავს ისპობს, რის გამოც მთელ დედამიწას განადგურება ემუქრება.

წაკითხულმა, იმ საღამოს, ერთიანად შემ-



მეუღლესთან და შვილთან, კახასთან ერთად. 1960.

ძრა, ამაფორიაქა და მაშინვე დავურეკე ჯემალს, ჩემი აღტაცება გამოვხატე. ვუთხარი, რომ საცა სამართალია, ეს წიგნი სასწრაფოდ უნდა ითარგმნოს რუსულ და ევროპულ ენებზე, გაიგონ, რომ საქართველოში ასეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები დაიწერა-მეთქი. გაეცინა, მაგისთვის თავს არავინ მოიკლავსო. ჩემი აზრი კი, შევატყვე, მაინც ესიამოვნა, მადლობა გადამიხადა. მე კვლავ ამ აზრისა ვარ და, ვფიქრობ, არც ახლა იქნება გვიანი ამ დიდად საყურადღებო წიგნის უცხო ენებზე თარგმნა.

ერთი რამის გახსენებაც ღირს; მწერალთა კავშირმა გადაწყვიტა 1998 წელს პრემია საუკეთესო პროზაული ნაწარმოებისთვის ჯემალ ქარჩხაძეს მიკუთვნებოდა. მისი ნახვა ძალიან მეძნელებოდა და გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე, უიმედო მდგომარეობაში მყოფს, შევუთვალე რაიმე ახალი მოთხრობა მოეცა. მალე კიდევაც დავრეკე. თვითონ ტელეფონთან ველარ მოდიოდა და მის უერთგულეს, თავშეწირულ მეუღლეს, ქალბატონ ლეილა ბერიაშვილს ველაპარაკე. ჯემალის დასტური რომ მაცნობა, ვიკითხე, რა მოცულობისა იყო მოთხრობა. სიმწრით გალიმებულს ცოლისთვის ეთქვა, მწერალთა კავშირი რომ პრემიის მოცემას მიპირებს, იმას კი ეყოფაო. ეს მისი უკანასკნელი ხუმრობა იყო, რაც თავის ბოლო პოეტური მადლითა და ადამიანური სითბოთი აღსავსე მოთხრობას მოაყოლა. სასიხარულოა, რომ "მაგნოლიის ყვავილი ანუ ბებია ანას გარდაცვალება" უკვე ცალკე წიგნად (გამომცემლობა "დიოგენე"), თანაც ძალზე მიმზიდველად გაფორმებული დაისტამბა.

* * *

ამ რამდენიმე ხნის წინ ვკითხულობდი დიდი შვედი მწერლის პერ ლაგერკვისტის უბრწყინვალეს ესეს "გათავისუფლებული ადამიანი", რომელშიც ერთი ყველაზე თავსატეხი, გადაუჭრელი პრობლემა, სიკვდილ-სიცოცხლის აუხსნელი საიდუმლო ურთიერთგანპირობებელ ერთიან ჯაჭვად მოიაზრება. ხსენებული ესეს ღრმა და პოეტურმა მდინარებამ უნებურად ჯემალ ქარჩხაძის აზროვნების მანერა და მიმართულება მომაგონა. ვინატრე, ნეტავ ამ სტრიქონებს ახლა ჯემალიც კითხულობდეს და სიამოვნებას განიცდიდეს-მეთქი. აქ მხოლოდ ერთ აბზაცს მოვიხმობ:

"საზღვარი, რომელიც ჩვენ საბოლოო და საბედისწერო გვგონია, არის არა ორი სამყაროს გამმიჯნავი, არამედ მხოლოდ ჩვენს შეგრძნებათა საზღვარი, რაც წარმოშვა იმან, რომ ჩვენ არა გვაქვს უნარი, მოცემული რეალობის გარდა სხვა რამ შევიმეცნოთ და დავინახოთ. ჩვენ რომ ჭეშმარიტად მცოდნენი და ჭეშმარიტად დამნახავნი ვიყოთ, შევამჩნევდით - საერთოდ არ არსებობს არავითარი საზღვარი და ეს ორი სამყარო - ერთი სამყაროა".

მსგავსი მსჯელობები არც ისე იშვიათია ჯემალ ქარჩხაძის ნააზრევში.

* * *

მოახლოებულ უბედურებას, ცხადია, ველოდით, მაგრამ მომხდარმა ყველანი შეგვზარა. ჯემალის გარდაცვალების მეორე დღეს, 9 ნოემბერს, ქარიან ამინდში, რამდენიმე მის ახლობელთან ერთად ნუცუბიძის პლატოზე ავედი, ოჯახის წევრებისთვის რომ მიგვესამძიმრებინა. ხის ტახტზე იყო დასვენებული, ზეწარგადაფარებული. დაშვებული დაგვხვდა ტყვის უგრძნობელი, უძრავი ფარდა და მას, ვისაც სიტყვის უთქმელადაც შეეძლო შენი ფიქრის გაგება, ველარაფერს შევასმენდი. ბორიალი დავიწყე მის ბინაში. შევყურებდი კოხტად დალაგებულ თაროებს. შევატყვე, ერთად მოეთავსებინა მეგობარი მწერლების წიგნები - პროზაული თუ პოეტური კრებულები. ცალკე იყო ჩამწკრივებული ქართული და უცხოური კლასიკა. მერე ჩრდილოეთის მხარეს გაჭრილ ფანჯარაში გავიხედე. უაზროდ ვაკვირდებოდი კლდოვან, ალაგ-ალაგ ჯაგნარით შენაცრისფერებულ ფერდობს, ცაში სიგრძეზე განელილ, გადახრილი მზით მოოქროვილ ღრუბლებს. შინ დაბრუნებულმა უბრალო, სამსტროფიანი ლექსი დავწერე ("სამძიმარზე"), ჩემი მაშინდელი წუხილი რომ გამომეხატა:

გარეუბნის ღრუბლები
მასივს მოსდგომიან;
თეთრ გვირგვინებს უწნავენ -
დღეს ქარიანს, მზიანს.

აწ ამისიც გათავდა
წამება და გვემა...
ძმას დავყურებთ, უსულოს,
ჩვენს ქარჩხაძეს, ჯემალს.

ფეხით ველარ ჩაივლის
ამ "შატილს" თუ "არხოტს",
ისღა დაგვრჩა ბეჩავებს -
ერთმანეთი ვმარხოთ.

მისი დასაფლავების წინა დღეს (1998 წლის 11 ნოემბერი) ჩამიწერია ერთი სტროფი ("სეანსი დამთავრდა"), რომელიც ჯემალის ერთ-ერთი საუკეთესო რომანის "ქარავანის" წინათქმით არის შთაგონებული:

აღარც იცინი და აღარც ტირი,
სანახავადაც ვერვის შეუვლი...
შენი ცხოვრების მწუხარე ფირი
შავ კოჭაზეა გადახვეული.

ორი წელი მიილია იმ გლოვის დღეებიდან, იმ მართლაც ულვთო სიკვდილიდან, ასე რომ მოგვიკლა გული. ერთი რამ მაშინვე ვიცოდით: რაც დრო გავიდოდა, ჯემალ ქარჩხაძის - ბრწყინვალე მწერლისა და უმწიკვლო მამულიშვილის - ნამდვილ ფასს სულ უფრო მეტად გაიგებდა მისი ყველაზე დიდი სატკივარი და დიდი ნუგეში - ჯერ კიდევ სისხლით დატბორილ და ეკლიან გზაზე მავალი საქართველო. ახლო მომავალში, როცა ჯემალ ქარჩხაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა სრულად გამოიცემა (საამისოდ ყველაფერი უნდა ვიღონოთ), მზესავით ნათელი და ცხადი გახდება, თუ რა საუნჯე, რაოდენი სიმდიდრე დაგვიტოვა ამ გაუტეხელმა, სიმართლის პირში მთქმელმა და უზომო სიკეთის გამცემმა კაცმა.

01.11.2000

დავით წერეთელი

# სათქმელი ბევრია

ჯემალ ქარჩხაძე ჩემი ახლო მეგობარი იყო და ეს ამბავი აუდიტორიას ალბათ მოგონებათა მოსასმენად უფრო განაწყობს. ამგვარი მოგონებები ძირითადად ანეკდოტური სიტუაციების გახსენებას გულისხმობს, სასაცილო რა უთქვამს, ანდა რა შემთხვევია. ახლა ამგვარი ცთუნებისაგან თავის შეკავებას ვამჯობინებ, არა იმიტომ, თითქოს ეს ტრადიცია დასაგმობად მეჩვენებოდეს, არამედ იმიტომ, რომ, ჯერჯერობით, მაგ ტალღაზე ვერა ვარ აწყობილი და ჩემი გუნება-განწყობა ჯერ ისევ სხვაგვარია.

ის, ორმ ჯემალ ქარჩხაძე ჩემი ახლო მეგობარი იყო, ერთდროულად კიდეც აადვილებს და კიდევ აძნელებს მისი, როგორც მწერლის, ზუსტ შეფასებას - ცხადად გამოკვეთს ცალკეულ დეტალებს, მაგრამ რამდენადმე ცვლის საერთო პერსპექტივას. ზოგჯერ კი, რა დასამალია და, "შინაური მღვდლის" სინდრომიც მოქმედებს, მით უფრო, თუ საკმაოდ კარგად იცი, ან გეჩვენება, რომ კარგად იცი, საიდან რა წარმოდინდა. როდესაც თავის რომელიმე ნაწარმოებზე ველაპარაკებოდი, საქებარს ერთი-ორი სიტყვით მოვისტუმრებდი და დროის უმეტესი ნაწილი შენიშვნებს ეძლვნებოდა. არასოდეს ვცდილობდი მათ შერბილებას, პირიქით, მძაფრ სახეს ვაძლევდი. ამ შენიშვნებს შორის, ვინ იცის, რამდენი იყო უსამართლო, მაგრამ არ მახსოვს, ოდესმე თავის დაცვა ეცადოს ან მოუთმენლობის მსგავსი რამ გამოეხატოს, დაფიქრებული მისმენდა. თან თურმე თავის საუკეთესო მკითხველად მთვლიდა, ეს ერთ-ერთ თავის ინტერვიუში ჰქონია აღნიშნული, მხოლოდ მოგვიანებით გავიგე. ალბათ ყველას მოგეხსენებათ, ჩვეულებრივ რა ძნელად ეგუებიან ხოლმე მწერლები შენიშვნებს. ურთიერთობაში იგი სრულიად არაამბიციური კაცი იყო, რაც, ცხადია, იმას სულაც არ ნიშნავს, რომ თავისი ფასი არ იცოდა.

არადა, მისი ფასი ბევრმა არ იცოდა, ზოგიერთმა კი, ძირითადად მწერალთა მასას ვგულისხმობ, ასე თუ ისე იცოდა, მაგრამ მიფუჩეჩება ერჩია, რაკი თვითონ, თავისი ხასიათის გამო, წინ არასოდეს გამოხტებოდა. მის სათანადოდ აღიარებას ბევრი რამ უშლიდა ხელს, პირველ რიგში კი ალბათ ის, რომ ჯემალ ქარჩხაძე პრინციპულად არ იყო საბჭოთა მწერალი. მე აქ საბჭოური თემატიკისაგან განრიდებას არ ვგულისხმობ, შერბილებული ცენზურის პირობებში ამას ბევრი ახერხებდა. საბჭოურმა სინამდვილემ მხატვრულ ნაწარმოებს ერთპლანიანობა დაუკანონა - მთელი სათქმელი ზედაპირზე უნდა იდოს, აზრობრივადაც და ემოციურადაც, მათზე სრული კონტროლი უნდა ხერხდებოდეს. ეს პრინციპი წარმატებით მუშაობდა და არც კი აღიქმებოდა, როგორც თავსმოხვეული, იგი, შეიძლება ითქვას, გემოვნებაში გაჯდა. ანტისაბჭოთა თემატიკისა და ანგაჟირებულ-პატრიოტული შემართების მწერლებიც კი დღესაც თავიანთი არსით საბჭოთა მწერლები არიან და აქ რაიმე ცვლილებას არც უნდა მოველოდეთ.

ჯემალ ქარჩხაძე კი პრინციპულად არ იყო საბჭოთა მწერალი, თან გარიდებული იყო მთელ იმ უმსგავსობას, ზნეობრივად გამაჩანაგებელ იმ ორომტრიალს, რომელსაც ლიტერატურული ცხოვრება ერქვა და რომლის მესვეურნიც რანგებსა და წოდებებს აწესებდნენ, ან, უფრო სწორედ, თვითონ იწესებდნენ. ჯემალ ქარჩხაძეს თავისი შინაგანი ბუნება, ზნეობრივი სიფაქიზე, არავითარ შესაძლებლობას არ უტოვებდა ამ გნიასში ჩაბმულიყო და თავისი კუთვნილი წილი მოეთხოვა. მან პირწმინდად ნაწარმოებს მიანდო, გზა თავისით გაეკვალა და ეს გულუბრყვილობით სულაც არ მოსვლია. მშვენივრად იცოდა, რომ ჩვენში თავის ბედს მინდობილი ნაწარმოები გზის გაკვლევას დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდება. იგი ამ პროცესს მშვიდად ადევნებდა თვალს და არაფერს ითხოვდა. ოღონდ ერთი ბედნიერება მაინც ხვდა წილად, როგორც მწერალს: მისი არც თუ მრავალრიცხოვანი მკითხველი (ეს მისი სამწერლო მანერის შედეგიცაა) თითქმის უკლებლივ საუკეთესო მკითხველი იყო.

უკვე საკმაოდ ბევრი ვილაპარაკე, მაგრამ ჯემალ ქარჩხაძეზე, როგორც მწერალზე, არსებითი ჯერ არაფერი მითქვამს. მისი სამწერლო მანერა მკვეთრად განსხვავდება ჩვენი სხვა მწერლების მანერისაგან და იგი სრულიად განკერძოებით დგას. ინტელექტუალურიო, ამბობენ. უფრო დასავლური ტიპისაო, ამბობენ. შესაძლებელია, ასეც იყოს, მაგრამ მე მეჩვენება, რომ არის მისი ერთი მწერლური თვისება, რაც ამ განსხვავების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად გვევლინება. როგორც ბევრი სხვა მწერალი, იგი თავის პერსონაჟთა სულიერ არსში ძალიან ღრმად იხედება, მაგრამ ჯემალ ქარჩხაძის შემთხვევაში, ეს იმდენად ფსიქოლოგიური ანალიზი არ არის, ეს სინთეზია. პერსონაჟის ხასიათი პირუკუ იგება, ქმნადობის პროცესი განსხვავებულია.

ვეცდები, უფრო გარკვევით ვთქვა, რას ვგულისხმობ.

დავუშვათ, ავიღეთ რომელიმე ჩვენთვის ნაცნობი კონკრეტული პიროვნება მისსავე კონკრეტულ გარემოში და იგი ნაწარმოებში ჩავსვით,



შუქია აფრიდონიძე და ჯემალ ქარჩხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



როგორც პროტოტიპი. თანდათან ვღრმავდებით მის ხასიათში და სიტუაციების მიხედვით ვაგნებთ მამოძრავებელ ძაფებსა და ბერკეტებს. ასეთ შემთხვევაში გარემო სინამდვილეც შეძლებისამებრ რეალისტურად აისახება.

ჯემალ ქარჩხაძე ამ გზით იშვიათად მიდის. კეთდება არა გმირის ანალიზი, არამედ ხდება სულიერ თვისებათა და თავისებურებათა სინთეზირება, პერსონაჟი შიგნიდან შენდება და სიცოცხლეს ისე იძენს, არა მხოლოდ სიცოცხლეს, ინდივიდუალურობასა და განუმეორებლობას. პროტოტიპის საჭიროება ნაკლებია, ან ხასიათი რამდენიმე პროტოტიპისაგან შენდება და მისი ცნობა შეუძლებელია და არც არაფერს მოგვცემს. მაგრამ სამოქმედო არე, რომელშიც ამ პერსონაჟმა უნდა იმოქმედოს, ხშირად არ ესადაგება ჩვენს გარშემო არსებულ რეალურ სინამდვილეს და აუცილებელი ხდება ამ სინამდვილის ტრანსფორმაცია. უთუოდ ამის მიზეზიც არის, რომ ავტორი ხან პირობით პრეისტორიაში გადაგვიყვანს, ხან პირობით ისტორიულ გარემოში მოგვახვედრებს, ხან კიდევ ჩვენი სინამდვილე ირეალურ თვისებებს იძენს და გროტესკის გამოყენებით ცთუნებას აათმაგებს, მით უმეტეს, თუ დიდებულად ფლობ მეტად თავისებურ იუმორს და თვითონ ყოფაც თავისი არსით გროტესკულია. გროტესკთან დაკავშირებითაც, დიდი სინანული უნდა გამოვხატო იმის გამო, რომ მის ბოლო რომან "განზომილებას" დამთავრება არ ეწერა, სადაც გროტესკი ღრმად შეფარული, მაგრამ განუწყვეტლივ მოქმედი თბილი ლირიზმით ნელდება და ლბილდება. სხვა ღირსებებთან ერთად ეს ნაზავი რაღაც თვისობრივად ახალს გვპირდებოდა.

სინთეზირების ეს მანერა მწერლურ ინტუიციასთან ერთად მკაცრ და ბასრ ლოგიკურ გონებას მოითხოვს, რითაც, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს მწერლობაში დიდად არა ვართ განებივრებული.

ბევრი რამ შეიძლებოდა მწერლის ენაზეც თქმულიყო, რომლის სიმდიდრე და მოქნილობა, იმის გამო, რომ ავტორი გარეგნულ ეფექტებს ყოველთვის ერიდებოდა, თითქოს ისე თვალნათლივიც არ არის. იგი იმდენად ბუნებრივია, რომ ანგარიშს ბოლომდე ვერც კი ვუწევთ, რამდენ ემოციურ დონეზე, შრიდან შრემდე, რა ძალმოსილებით მოძრაობს. ამის ანალიზს ღრმა კრიტიკული წვდომა და მეტი დრო სჭირდება და ამჯერად ფაქტის აღნიშვნით დავკმაყოფილდები.

სათქმელი ბევრია, ძალიან ბევრია, მაგრამ დღეს ამით დავასრულებ.

**არილი**

# აზრით მხატვრობა

მამუკა დოლიძე

სიტყვის სილამაზეს მხატვრული ფორმა კი არ ქმნის, აზრის მოძრაობა წარმოშობს. აზროვნების სიზუსტეში მშვენიერება იგრძნობა, სილამაზის შეგრძნებას აზრის სიცხადე მოაქვს. შინაარსი ფორმიდან ჩნდება. ფორმის ძიების, სიტყვაზე მუშაობის პროცესში ცნობიერდება მწერლის სათქმელი.

აი, ამ აზრით შეიძლება "დავწამოთ ფორმალიზმი" ჯემალ ქარჩხაძეს. სიტყვიერი ფორმის გაფაქიზებული განცდაა ის წყარო, საიდანაც თითქოს თავისთავად იბადება პეიზაჟი, სახე, მოვლენა, ფიქრი.

სიტყვიერი ხელოვნების ამ პროცესს აზრი წარმართავს. აზრი, რომელიც სულის გაუცნობიერებელი მოძრაობიდან გონების ნათელში გადადის. ამ საიდუმლო გადასვლის მომსწრენი ვართ აქ. მწერლის აზროვნება იმდენად ზუსტი და ნათელია, რომ ეს ცხადი სიზუსტე სილამაზეს ქმნის. სილამაზის ქმნადობის ძალით თავისუფლდება ის შემეცნების განსჯისეული სიმძიმისაგან. სიტყვა იძენს სიმსუბუქეს და არ კარგავს აზრისეულ სიღრმეს. ამ თითქოს ბუნებრივ, სინამდვილეში კი ურთულესი ხელოვნების შედეგად ჩნდება არაჩვეულებრივად სადა და ნათელი სამყარო, სადაც თავისთავად მოძრაობს სიტყვა, აღწევს მაღალ მატერიებს და არ გადადის მშრალ აბსტრაქციაში.



ჯემალ ქარჩხაძის მწერლობასთან მიმართებაში გვახსენდება თომას მანის აზრი, რომ ნამდვილ მწერალს სათქმელი არაფერი აქვს, მას აქვს მხოლოდ გამოთქმის სტილი. სტილია მწერლის სამყაროსთან დამოკიდებულების მაჩვენებელი და ამ დამოკიდებულებიდან ჩნდება ყოველი შინაარსი. მთავარი ის კი არაა, რას ვამბობ, არამედ როგორ ვამბობ; თქმის როგორობა სათქმელის რაობასაც განსაზღვრავს. მაგრამ ეს დამოკიდებულება, ეს მხატვრული ფორმა ფაქტიურად თვითონ ადამიანია. მწერალი რაც არის, ისეთივეა მისი მიმართება საგნებისა და მოვლენებისადმი. ჯემალ ქარჩხაძის სტილი, სადაც აზრი და ესთეტიკური ფორმა ერთ მთლიანობას შეადგენს, არის თავად ავტორის არსი, მისი არსებობა საკუთარ ნაწარმოებებში. ფორმადქცეულმა არსებობამ წარმოშვა სათქმელი, შექმნა შინაარსი, მოიტანა აზრი. ამიტომ აქ ავტორი არსად არ კარგავს საკუთარ თავს. ეხება ის თანამედროვეობას ("ქარავანი", "განზომილება"...), ისტორიას ("იუპიტერის სინანული"...), პრეისტორიას ("იგი"), თუ მიმართავს იგავურ-ფილოსოფიურ თხრობას ("მდგმური"), ყველგან იგრძნობა ავტორისეული მე, აზრისა და ფორმის, სიზუსტისა და სილამაზის განუყოფელი არსი.

ასეთ შემოქმედებაში საშიში არ არის ტრანსფორმაცია. მწერალი ისტორიულ თხრობას ეძლევა არა მთლიანად და უკანმოუხედავად, არამედ ინარჩუნებს საკუთარ ათვლის წერტილს, თანამედროვე ცნობიერების ცენტრს. ეს არის თანამედროვე ადამიანის პოზიციიდან დანახული ისტორია. ამიტომაც ისტორიულ გარემოსთან ჰარმონიის დაურღვევლად ხდება თხრობის თანამედროვე სტილის შენარჩუნება. სხვა სამყაროში გადასვლა ესთეტიკური ფორმის ტრანსფორმაციით მიიღწევა და არა ყალბი, ფსევდოარქაული მაღალფარდოვნებისა და სიტყვის დამძიმების ხარჯზე.

საგანგებოდ გვსურს შევჩერდეთ მის ბოლო, დაუმთავრებელ რომანზე "განზომილება". თუმცა ავტორი ყველა ნაწარმოებში იგრძნობა, როგორც ერთიანი, ინტელექტუალ-ესთეტიკური ფორმა, "განზომილებაში" ეს ერთიანობა უკვე პროცესის, ავტორისეული ცნობიერების ნაკადის სახით არის გაშლილი. რომანის დინამიკა განუყოფელია თავად ავტორის ფიქრის მოძრაობასთან. სიუჟეტის დინება, მწერლის აზროვნების ქვედინებაა. მისი პირადი, ტრაგიკული მოლოდინი ამავე დროს არცაა პირადი, ის ზუსტად ესატყვისება ჩვენი დროის ტრაგედიას, იმ სულისშემძვრელ ცვლილებებს, რაც ჩვენს გარშემო ხდება.

**არილი**

# მარადიული პრობლემა

კახა ჯამბურია

ჯემალ ქარჩხაძემ თავის რომანის "მდგმურის" ეპიგრაფად გამოიყენა მათეს სახარების სიტყვები: "და ჰრქუა მას: ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე" (4,9). ამ სიტყვებს ეშმაკი ეუბნება იესოს, როდესაც მაღალი მთიდან უჩვენებს მას წუთისოფლის ყველა სამეფოსა და მათ დიდებას. ქართველმა მწერალმა კი ასე მონიშნა თავისი რომანის მთავარი თემა: წუთისოფლის ყოველგვარი სიამოვნება, ყოველგვარი მატერიალური კეთილდღეობა შეიძლება ადამიანმა მოიპოვოს, ოღონდ გააჩნია, რის საფასურად, რადგან: "ვერვის ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუაი იგი შეიყუაროს, ანუ ერთისაი მის თავს-იდვას, და ერთი იგი შეურაცხყოს" (მმათე 6,24). ასე იკვეთება მარადიული პრობლემა, ერთნაირად აქტუალური კაცობრიობის განვითარების ყოველ ეტაპზე: მატერიალური კეთილდღეობა თუ სულიერი სრულყოფილება? ეს კითხვა განსაკუთრებით გაამძაფრა ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ, რომელმაც კატეგორიულად განუცხადა ადამიანს: ვერ შეძლებ ღმერთსაც ემსახურო და მამონასაცო.

ჯემალ ქარჩხაძე ასე იწყებს თავის რომანს: "მიზანი მაცთურია, ბატონებო, სანამ მიაღწევთ, თქვენი გგონიათ; როცა მიაღწევთ, მაშინღა მიხვდებით, რომ სხვისი ყოფილა". რომანი "მდგმური" სწორედ ასეთი მიზნის ეფემერულობაზე მოგვითხრობს: "მე ერთხელ მანქანის შეძენა გადავწყვიტე. არ ვიცი, შესაძლებელია, მანქანა სიმბოლო უფრო იყო, ვიდრე რეალური ნივთი..." ცხადია, რის სიმბოლოზეც არის საუბარი - მატერიალური თვალსაზრისით - უზრუნველყოფილი ცხოვრების. მაგრამ მიიღწევა თუ არა იგი რაღაც უმნიშვნელოვანესი და უაღრესად არსებითი კომპრომისის გარეშე? თუ, იქნებ, ასეთი ეფემერული მიზნის მისაღწევად რაღაც უმთავრესის, ვთქვათ, სულიერი ინტერესის გაწირვაა გარდაუვალი?

არჩევანის მარადიული პრობლემაა, რომლის წინაშეც დგას ყოველი ადამიანი - თავისუფალი ნებით დაჯილდოებული არსება, ხანდახან პასუხისმგებლობის აცილების მიზნით ამაოდ რომ ცდილობს თავის მოტყუებას: "იქნებ ყველანი მართლა რომელიმე კინოსცენარის პერსონაჟები ვართ და როლები იმთავითვე იყო განაწილებული". მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოტყუების უსუსური ცდაა და მეტი არაფერი. პიროვნება ვერ აირიდებს თავიდან პასუხისმგებლობას იმის ფუჭი იმედით, რომ მას არ შეუძლია თავისი ბედის წარმართვა და ყველაფერი თითქოს წინასწარ არის განსაზღვრული ისე, როგორც "მდგმურის" პერსონაჟის სოფისტურ მსჯელობაშია გადმოცემული:

"ჩვენ პერსონაჟები ვართ. ჩენ პერსონაჟები ვართ რომელიღაც ნაწარმოებიდან. ყველაფერი ავტორზეა დამოკიდებული. ჩვენი ხასიათიც, ჩვენი გარეგნობაც; ყოველი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა... და აზრი არა აქვს იმაზე ფიქრს, თუ რას მოვიმოქმედებთ, რადგან ვერაფერს მოვიმოქმედებთ, გარდა იმისა, რასაც ავტორი მოგვამოქმედებინებს. მაშინაც კი, როცა ამ გარდაუვალ უმწეობას შევიცნობთ და ამბოხებას დავაპირებთ, ეს ამბოხებაც ავტორის ნება-სურვილით მოხდება"... და ა.შ.

თავისუფალ ნებაზე უარის თქმა, რისი სურვილიც გამოსჭვივის ამ სიტყვებიდან, საკუთარი სულიერების ჩახშობის წინაპირობაა, რაც შედეგად იწვევს პიროვნების სულიერ დამარცხებას წარმავალ, მატერიალურ და ეფემერულ მისწრაფებებთან ჭიდილში. სწორედ ამგვარი სულიერი კრახის ისტორიას მოგვითხრობს ჯემალ ქარჩხაძის უაღრესად შთამბეჭდავი, ტრაგიკული რომანი.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის სახელი ერთხელაც არ არის აღნიშნული რომანში. იგი უბრალოდ მდგმურია, ნივთიერ რეალობაში თითქოს წამიერად განსხეულებული სული, ანუ მატერიალური სინამდვილის დროებითი მდგმური, რომელიც იმიტომ მოვლენია წუთისოფელს, რომ, ხორციელი სიამოვნებებით მოხიბლულმა, არჩევანი გააკეთოს: ან ხორციელი ტკბობა და ცოდვით დაცემა, ანდა მტანჯველი სულიერი სიმაღლე, რომლის მიღწევაზე უფრო დიდი ბედნიერებაც არც ერთ სულიერს არ შეუძლია განიცადოს.



როდის დგება მდგმური ზნეობრივი არჩევანის წინაშე? "რაღა ეს სურათი დამითმია და რაღა ეშმაკისთვის სული მიმიყიდია. წელან იმას ვარკვევდი, საიდან დაიწყო-მეთქი ეს ამბავი. რა გარკვევა უნდა! ცხადია, აქედან დაიწყო. მექანიკურად წამოვისვრით გაცვეთილ ფრაზებს და თუ დავისჯებით, არ გვგონია. სინამდვილეში ყოველ ფრაზას თავდაპირველი მნიშვნელობა აქვს შემორჩენილი. ჩემი სიტყვები ჰაერის ტალღებს გაყვნენ, მთელ სამყაროში გაიშალნენ, შორეულ ჯურღმულებში ჩასაფრებული ძალები აშალეს და გააღიზიანეს... და უკიდეგანო სიცარიელეში ერთბაშად ხითხითი გაისმა..."

აი, სწორედ ამის შემდეგ იწყება რომანში უხილავი ბრძოლა პიროვნების სულიერ სამყაროში - ბრძოლა ხორციელ და სულიერ ინტერესებს შორის. ასე რომ, ეს თანამედროვე, ფორმის თვალსაზრისით, აშკარად მოდერნისტული რომანი თემატურად უძველეს ქართულ ტექსტებს და საერთოდ, შუა საუკუნეების მხატვრულ აზროვნებას უკავშირდება, რადგან მარადიულ დაპირისპირებაზე მოგვითხრობს - ხორციელი (მატერიალური) და ამაღლებული (ღვთიური) საწყისების მარადიულ ბრძოლაზე, რომლის ასპარეზიც ადამიანის სულია. ეს დაპირისპირება რომანში მხატვრულად ძალზე დახვეწილი სახე-სიმბოლოებისა და მისტიკური ხილვების საშუალებით არის გადმოცემული.

რომანის პირველი გაცნობისას (თუ არ ვცდები, ეს იყო 70-იანი წლების დასაწყისი) უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა ეგვიპტის მისტიკურმა ხილვებმა, სადაც უჩვეულო დამაჯერებლობით არის გაცოცხლებული ნილოსი, "ქვეყნიერების ცისფერი ძარღვი", მიწიდან ამოზრდილი პირამიდები, სამარხები, ქანდაკებები და, რაც მთავარია, უსახელო და უიმედოდ შეყვარებული ოსტატი, დედოფალ ნეფერტიტის ქანდაკებას რომ ძერწავს. "ყოველ შეხებაზე გული ისე უცემს, თითქოს ნამდვილ დედოფალს შეხებოდეს. ოსტატი ძერწავს და არ იცის, დალოცოს თუ დაწყევლოს ის წუთი, როცა დედოფალს პირველად მოჰკრა თვალი..."

უძველეს კულტურაში გაცხადებული სულიერების სიმბოლოდ მდგმურის ოთახში დედოფალ ნეფერტიტის სურათი კიდია, რომლის გაყიდვაც, მდგმურის შემთხვევით წამოცდენილი სიტყვებით, ეშმაკისთვის სულის დათმობას უდრის. ვინმე შავკეპიანი "კოლექციონერი" კი ნებისმიერი თანხის გადახდისთვის არის მზად, ოღონდ კი ხელთ იგდოს მდგმურის "ილუზია", ოცნება აღთქმულ ქვეყანაზე:

"ეგვიპტე ჩემთვის აღთქმული ქვეყანა იყო. ქვეყანა, რომელმაც ნატიფი და ლმობიერი ღიმილით აჩუქა მომავალ საუკუნეებს უჩვეულო სილამაზე, როგორც გამაფრთხილებელი შედარება, როგორც ირონიული ქარაგმა იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ტექნიკურ პროგრესს ყველაფერი ანაცვალო".

"არ შეიძლება ტექნიკურ პროგრესს ყველაფერი ანაცვალო" იგივეა, რაც: მატერიალურ კეთილდღეობას სულიერება არ უნდა ანაცვალო. მეტიც: ნივთიერებითა და ხორციელი ინტერესებით გატაცება სწორედ ის საშიში გზაა, რომელზეც ადამიანი ნელ-ნელა და ბორძიკ-ბორძიკით კარგავს თავის უმთავრეს, ღვთიურ დანიშნულებას და აღარ ზრუნავს სულიერ განვითარებაზე.

სწორედ ეს ემართება მდგმურს. ეგვიპტის კულტურით გატაცებული ადამიანი, რომელსაც უჩვეულო მისტიკური ხილვები ეწვევა ხოლმე, ფულის გროვებას იწყებს მანქანის საყიდლად. მატერიალური კეთილდღეობისკენ მისწრაფება თანდათან ავიწყებს მას თავის სულიერ მოთხოვნილებებს და აი, სწორედ მაშინ შესთავაზებენ მას, ნეფერტიტის სურათი გაყიდოს:

"- ხომ არ გაყიდი?

შავ სიცარიელეში ხითხითი გაისმა. ავი, დამცინავი, ნიშნისმომგები...

- ყველაფრის გაყიდვა არ შეიძლება".

მაგრამ ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი დიალოგის შემდეგ მდგმური ცოტათი შეიცვალა: "გარეგნულად თითქოს არაფერი მემჩნეოდა. მაგრამ ვგრძნობდი, რომ შიგნით, სხეულში კანკალებდა რაღაც".

ანუ ნელ-ნელა, თანდათანობით მოახლოვდა ზნეობრივი არჩევანის ჟამი.

ყველაზე უფრო ეზოთერულად აღიარებულ იოანეს სახარებაში დასაწყისშივე გაცხადებულია: "ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი რაი იქმნა, რაოდენი-რაი იქმნა. მის თანა ცხოვრებაი იყო და ცხოვრებაი იგი იყო ნათელ კაცთა. და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია" (იოანე 1,3-5).

ამ სიტყვებით - "და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს" - იწყება რომანის ის ნაწილი, რომელსაც ეწოდება "მაკა". მდგმურმა გაიცნო ოქროსთმიანი ქალიშვილი, რომელმაც თავისი სწორი მხრებითა და მაღალი ყელით მასში ეგვიპტური სილამაზის, ეგვიპტური კულტურის ასოციაცია გამოიწვია. მაკა სულიერების სიმბოლოა რომანში. მისი ნახვა მდგმურის სულიერ სამყაროში სინათლის სხივის შეჭრას ჰგავს. იმ საღამოს იგი სულიერი მღელვარების ჩახშობას ფულის თვლით შეეცდება და როგორც კი ოქროსთმიან ქალიშვილს ამ მეთოდით დაივიწყებს, მის ოთახში შავკეპიანი უცნობი შემოაბიჯებს და კოლექციონერად გაეცნობა მდგმურს.

"- რას ყიდულობთ? ან რას აგროვებთ?

- ყველაფერს. განსაკუთრებით სიტყვებს.

- სიტყვებს? - გაკვირვებით შევხედე. - რა სიტყვებს?

- წამოცდენილს, წამოსროლილს, დაუფიქრებელს".

"კოლექციონერს" თურმე ნეფერტიტის პორტრეტის ყიდვა სურს. გასაგებია, რა წამოცდენილ სიტყვებს გულისხმობდა იგი: "რაღა ეს სურათი დამითმია და რაღა ეშმაკისთვის სული მიმიყიდია". ასე რომ, ისიც ცხადია, ვინ არის უცნობი.

დაძაბული ბრძოლა რომანის მთავარი პერსონაჟის სულიერ სამყაროში მიმდინარეობს და ამიტომაცაა, რომ შავ მანქანასა და შავკეპიან უცნობს მხოლოდ მდგმური ხედავს, სხვა პერსონაჟები კი ვერ ამჩნევენ - ყოფით რეალობაში პროეცირებულია მდგმურის სულიერი შფოთვა, რაც უხილავია სხვებისთვის. ამიტომ თხზულებაში დახატული ნივთიერი რეალობა უაღრესად პირობითია. იგი იმავე სააზროვნო სიბრტყეში აღიქმება, როგორც ეგვიპტური სამყაროს ხილვები, "კოლექციონერად" გარდასახული მეფისტოფელი, ან ცისკენ ამაღლებული და მზის სხივებს შერწყმული ოქროსთმიანი ქალიშვილი...

მაკა სიყვარულისა და სულიერი სიმაღლის თავისებური სიმბოლოა. მასთან ურთიერთობა მდგმურის სულიერ განწმენდას უწყობს ხელს. ამიტომაც მდგმურის სულიერი შფოთვა სავსებით გასაგებიცაა და ბუნებრივიც: მას უჭირს მიწიერ რეალობაზე ამაღლება, მხოლოდ "საზეო მიჯნურობისთვის" ცხოვრება და ცდილობს კიდეც, თავი აარიდოს უმძიმეს გზას, სულიერი სრულყოფილებისკენ მიმავალს და ისევ ხორციელი ცდუნებებით დამძიმებულ, მატერიალურ წუმპეს "ჩაებღაუჭოს". მაგრამ, საბედნიეროდ, ყოველ ადამიანში არსებობს ღვითური საწყისი, რომელიც ზესთასოფლისკენ მიდრიკავს პიროვნულ განვითარებას და მასთან შედარებით ხორციელი ინტერესებიდან გამომდინარე მიზნები (ვთქვათ, მანქანის ყიდვა) ეფემერულია და ამაოებათა ამაოებაა.

"თავდაპირველად ვცდილობდი ისევ ფულისა და მიზნისთვის შემეფარებინა თავი, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ეს ფუჭი იმედი იყო. ფულმა დაკარგა მომხიბლაობა. ჯერ დათვლას მივანებე თავი. მერე ზიზღი გამიჩნდა. და ეს ზიზღი, რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა და მწვავდებოდა".

ჩნდება ზიზღი მატერიალური კეთილდღეობის მიმართ და ოქროსთმიან ქალიშვილთან დაახლოებასთან ერთად ჩნდება ჯერ განუცდელი სულიერი ზეიმის, დღესასწაულის შეგრძნება: "ასე მეგონა, უცნობი სახლები ღია ფანჯრებიდან ღიმილს მაყრიდნენ. ქვეყნიერება სავსე და ძლიერი იყო. ირგვლივ ყველაფერს ნათელი და მყარი აზრი ჰქონდა. სამყარო იცინოდა".

და იწყება სიყვარულის დღესასწაული - სწორედ იმგვარი ბედნიერების შეგრძნება, როდესაც აღარავითარი აზრი აღარა აქვს წვრილმან გულისდაწყვეტას თუ ამპარტავნებას, ფულის გროვებასა და ნივთებზე ოცნებას... ადამიანური, ამაღლებული და სპეტაკი სიყვარული სწორედ ის სულიერი მოთხოვნილებაა, რისთვისაც ჩნდება კაცი ამქვეყნად და მდგმურიც მოულოდნელად აცნობიერებს: სწორედ ამას ეძებდა იგი ეგვიპტურ კულტურაში - რაღაც უჩვეულო სულიერ სიმაღლეს ხედავდა ეგვიპტურ ხელოვნებაში, რასაც იგი ამგვარად გამოხატავს მაკასთან საუბარში: "ეგვიპტის სიყვარულს არ მოვუყვანივარ შენთან. შენმა სიყვარულმა მიმიყვანა ეგვიპტესთან. შენ იმთავითვე არსებობდი ჩემში. როდესაც შენ დაიბადე, შენ დაიბადე ჩემს სულში და ამის შემდეგ ჩემი სიცოცხლე შენი ძებნა იყო. მე ვგრძნობდი, რომ შენ ჩემში იყავი და მე გეძებდი შენ. და მე ვიპოვე ეგვიპტე და ეგვიპტე შეიყვარა ჩემმა სულმა, რადგან მე გეძებდი შენ. რადგან ეგვიპტე მაგონებდა რაღაცას, რაც ჩემში იყო და რასაც გამუდმებით ვეძებდი. ეგვიპტე ჰგავდა ჩემს ვენახს, რომელსაც ვერ მივაგენი და მე ვცდილობდი თავის მოტყუებას და მე ვეუბნებოდი ჩემს თავს: ეგვიპტე არის შენი ვენახი".

ადვილი ამოსაცნობია ამ მონოლოგში ქრისტიანული აზროვნებისთვის დამახასიათებელი სახე-სიმბოლოები. მაკას მხატვრული სახის არქეტიპიც სწორედ ქრისტოლოგიურ სახისმეტყველებაშია საძიებელი და ცხადია, არც "ვენახი" არის შემთხვევით მოხმობილი. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავიმოწმოთ ქართულ ცნობიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი მხატვრული სიმბოლოები დემეტრე მეფის ცნობილი ჰიმნიდან "ღვთისმშობლისანი":

"შენ ხარ ვენახი, ახლად აღყუავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,

ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული
და თავით თვისით მზე ხარ განბრწყინვებული!"

ასე რომ, აქ ვენახი სახე-სიმბოლოა ღვთისმშობლისა, რომელიც თავისი არსით მზეა გაბრწყინებული. ჯემალ ქარჩხაძის "მდგმურის" ფინალი კი ამგვარია:

"მე ვიდექი ხელებგაწვდილი და თვალებში ვუყურებდი. ისიც თვალებში მიყურებდა და უკან-უკან მიდიოდა. მერე მსუბუქად ასცდა მიწას, ჰაერში ავიდა. თეთრი კაბა ეცვა. მიდიოდა შორს და მაღლა. მე ვიდექი ხელებგაწვდილი. ის მშორდებოდა და უკვე აღარ იყო მაკა. თეთრი, სინათლე იყო, რომელიც მაღლა იწევდა, თანდათან იზრდებოდა და ცას გათენებასავით ეფინებოდა. ცის კიდეს რომ მიაღწია, მზის შუქს შეერია...

მე ვიდექი ხელებგაწვდილი და მზეს მონუსხული შევცქეროდი..."

ასე იკვეთება რომანის ფინალში მთავარი სათქმელი: სიყვარული, რომლის ღირსიც არ აღმოჩნდა თავისი ცოდვით დაცემის გამო მდგმური, არის გზა მზისკენ, ანუ ღვთისკენ... სხვათა შორის ისევე, როგორც შუა საუკუნეების მხატვრული აზროვნების შედევრში, სადაც ადამიანური სიყვარული არის ბაძვა ღვთიურის, ანუ საზეო მიჯნურობის; ოღონდ, ცხადია, ერთი პირობით: ამ გრძნობას არ უნდა ერიოს "სიძვა". მდგმური კი ისეთი რამის შეთავსებას შეეცადა, რაც თავისი არსით შეუთავსებელია: ირინესთან მრუშობის სურვილი და მაკას ამაღლებული სიყვარული სწორედ იმ ზნეობრივი არჩევანის წინაშე აყენებდა მას, რასაც განსაზღვრავდა კაცობრიობის მთელი არსებობის მანძილზე ხორციელი და სულიერი საწყისების ბრძოლა ადამიანის სულში. აქ გამარჯვება კი მხოლოდ რჩეულთა (წმინდა მხედართა და წმინდა მოწამეთა) ხვედრია და არა მდგმურისა, რომელმაც განშორებისას უთხრა მაკას: "სადღაც ავცდით ერთმანეთს დახლართულ ლაბირინთში და სხვადასხვა სივრცეში მოვხვდით. ეტყობა, ადამიანური ხუთი გრძნობა საკმარისი არაა იმისთვის, რომ ერთმანეთის სივრცეს მივაგნოთ".

ცხადია, საკმარისი არაა, რადგან ადამიანური შემეცნების საშუალებები შეზღუდულია, რწმენა კი - შეუზღუდავი და უსაზღვრო. და აი, სწორედ აქ არ უნდა წაიბორძიკოს ადამიანმა, თორემ მაშინვე გაიხარებს "ვიღაც" და გადაიხდის საფასურს. "ხოლო მათ განიხარეს და აღუთქვეს მას ვეცხლი მიცემად" (ლუკა, 22,5). ლუკას სახარების ამ სიტყვებს იყენებს ავტორი რომანის იმ ნაწილის ეპიგრაფად, სადაც აღწერილია, როგორ შორდება მდგმური თავის სპეტაკ სიყვარულს (რომელიც აღგვამაღლებს) და იძირება ხორციელების ქაოსში. ანუ იგი ღალატობს თავის სულიერ მოწოდებას ისევე, როგორც იუდა ღალატობს ქრისტეს; თან ისეთივე მატერიალური ფასეულობის გამო, როგორიც იყო იუდას ოცდაათი ვერცხლი.

მდგმურმა გაყიდა ნეფერტიტის პორტრეტი, მიიღო დიდი თანხა და მიხვდა, რომ ეს ფული არაფერში არ სჭირდებოდა, რადგან ვერანაირად ვერ აუნაზღაურებდა სულიერ მსხვერპლს. და მდგმურმა მთლიანად დაწვა ფულის ასიგნაციები... "და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა..." (მათე. 27,5). მიღებულმა საზღაურმა აზრი დაკარგა, იმდენად დიდი იყო მსხვერპლი: "მიზანი მაცთურია, ბატონებო, სანამ მიაღწევთ, თქვენი გგონიათ..."

მაშასადამე: "არ შეიძლება ტექნიკურ პროგრესს ყველაფერი ანაცვალო". დღეს განსაკუთრებით აქტუალურად ჟღერს შესანიშნავი ქართველი მწერლის გაფრთხილება: არ შეიძლება მატერიალურ კეთილდღეობას ყველაფერი ვანაცვალოთ! ხორციელ ლტოლვას სულიერი სწრაფვა არ უნდა დავუმორჩილოთ და უნდა გვახსოვდეს: "ვერვის ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად..."

მეია ყუბანეიშვილი

# ჯემალ ქარჩხაძე - დიდი მწერალი

ჯემალ ქარჩხაძე დიდი მწერალია. ეს იცის მისმა მკითხველმა. ალბათ თვითონაც იცოდა, მაგრამ არ იმჩნევდა. ჩვენ იშვიათად გვინახავს ის ტელეეკრანზე, ან პრესის ფურცლებზე. არც რეცენზიები გვახსოვს მის მშვენიერ რომანებზე და მოთხრობებზე. თვალწინ მიდგას ჯ.ქარჩხაძის პერსონაჟთა გალერეა - ფილოსოფოსი რევია, მსახიობი აბელი, თავდადებული მღვდელი თევდორე... მაგრამ ვინ წერს ახლა ფილოსოფოსებზე, მსახიობებზე, ან თავდადებულ მღვდლებზე?

ჯ.ქარჩხაძე ლაღად გრძნობს თავს სტამბოლის ჭრელ ბაზარში ("რაჰათ-ლუხუმის გამყიდველი"), ოლიმპოს მთაზე ("იუპიტერის სინანული"), ნერონის სასახლეში (იქვე) და რასაკვირველია, მშობლიურ საქართველოში - მის სოფლებში, ქალაქებში, გზებზე.

საგულდაგულო კვლევის საგანია - როგორ ხატავს პერსონაჟებს ჯ.ქარჩხაძე. ლესინგის აზრით, პორტრეტი მოძრაობაში უნდა გამოიხატოს და მას მოაქვს მაგალითი "ილიადადან". ინგრევა ტროა და ამის მიზეზია მშვენიერი ელენე. მოხუცი ტროელები (ამას მნიშვნელობა აქვს, რომ სწორედ მოხუცები) შეჯგუფულან და წყევლიან პარისის სატრფოს. და ამ დროს გამოჩნდება ელენე. დუმილი. ხმას ვერ იღებენ მოხუცი ტროელები, გაოგნებულები მისი სიმშვენიერით.



"მიდიოდა აგრიპინა მშვენიერი და უბერებელი" ("იუპიტერის სინანული") - განა საჭიროა აქ რამის დამატება, რომ აგრიპინას სილამაზე წარმოვიდგინოთ?

მაგრამ, ამავე დროს, ჯ.ქარჩხაძე პორტრეტის ტრადიციული ხატვის ოსტატიცაა. "უცნობი მაღალი იყო და ხმელი. მოგრძო სახე ჰქონდა, მოზრდილი, კეხიანი ცხვირი, რომელიც რაღაც გმირულ იერს ანიჭებდა, ღია თაფლისფერი, ძალიან გამჭვირვალე თვალები" ("მაგნოლიის ყვავილი ანუ ბებია ანას გარდაცვალება"). დაინახა თუ არა მკითხველმა ეს კაცი? უთუოდ დაინახა.

ჯ.ქარჩხაძის პროზა გაჟღენთილია ადამიანის სიყვარულით, ზრუნვით კაცობრიობაზე, დარდით, რომ არა და არ დაადგა საშველი ამ კაცობრიობას. "ეგებ, დასაბამითვე ავჩქარდი და საწყისი ბიძგი ვერ მოვძებნე. ვფიქრობ, ვფიქრობ და რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო ვრწმუნდები, სამყაროს შექმნა შეცდომა იყო" - რა შეიძლება იყოს ამ დასკვნაზე უფრო მტკივნეული? ეს ქარჩხაძის მოთხრობიდანაა სათაურით "იუპიტერის სინანული".

ამ მოთხრობის ცენტრშია ნერონი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯემალ ქარჩხაძე მეუღლესთან, ლალი ბერიაშვილთან ერთად

რომის სისხლისმსმელი იმპერატორი. ბევრი დაწერილა ნერონზე, ქარჩხაძის მოთხრობა კი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ეს არ არის შეთხზული (сочинение), რომ თვითონ ქარჩხაძე აქვეა, მარტის კალენდების წინა დღეებში, "სასახლის ზედა, მრგვალ დარბაზში". ნერონი კი, "სპილოს ძვლის განიერ სავარძელში ზის, მოგრძო ტუნიკის ქვეშ მუხლები განზე გადაუყრია და ხან სარკეში თავის მოთენთილ სახეს უყურებს, ხან ცისფერთვალა სპორუსს".

ძალდაუტანებლად, როგორც მხოლოდ დიდ ხელოვანს შეუძლია, გვახედებს ჯ.ქარჩხაძე ნერონის ბნელი სულის ხვეულებში, სადაც ბოროტებასთან ერთად სინანულის პატარა სიმიც ჩანს. ბორგავს ნერონი, იცის, მოკლავენ აჯანყებულები, ადგილს ვერ პოულობს, შედის საწოლ ოთახში. "დიდხანს ვერაფერს ხედავდა ატარგატიხის თეთრი ქანდაკების გარდა, რომელიც შორეულ კუთხეში იდგა, როგორც პატარა დღე დიდ ღამეში" და ერთი აზრი, რომელიც მოსვენებას არ აძლევს იმ კაცს, რომელმაც რომი გადაწვა, უამრავი ადამიანი აწამა და გაანადგურა, ერთი აზრი - მწველი და მტანჯველი, უბურღავს ტვინს: "დედა, დედა არ უნდა მომეკლა".

დიდი ხნის წინ ჟურნალ "მნათობში" წავიკითხე ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა "მაღალი კაცი" და იმ დღიდან სამუდამოდ დამრჩა მეხსიერებაში ეს ორეული მწერლისა.

მიდის ხალხით გაჭედილი ავტობუსი საქართველოს გზებზე. ყველას საკუთარი პრობლემა აწუხებს. კამათობენ, კინკლაობენ. ერთი კაცი, მაღალი კაცი, ზის ჩუმად და რაღაცაზე ფიქრობს.

ავტობუსში ამოდის ახალგაზრდა ქალი. ის მოუთხრობს მგზავრებს თავის თავგადასავალს - ახლახან ჩამოსულა დედამიწაზე. მზე და მთვარე მისი მშობლები არიან, ბევრი დაძმა ჰყავს - ვარსკვლავები. ყველას არანორმალური ჰგონია, მაღალი კაცის გარდა.

ეს მაღალი კაცი ჯემალ ქარჩხაძეა, რომელსაც სჯეროდა ის, რისი დაჯერებაც სხვას არ შეეძლო, ან არ უნდოდა.

"თუ კაცს მომადლებული აქვს ნიჭი სიყვარულისა და ნიჭი სიყვარულის გამოთქმისა, მას თამამად შეუძლია გარემომცველი სამყარო განიხილოს, როგორც მისივე სამყაროს ანარეკლი", - წერს ჯ.ქარჩხაძე და მან თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით ცხადი გახადა, რომ ჰქონდა ამის ნიჭი.

აქვს ჯ.ქარჩხაძეს პატარა მოთხრობა "მაგნოლიის ყვავილი, ანუ ბებია ანას გარდაცვალება", ყველაფერი ჩვეულებრივია, ყოფითია აქ: მიდამო, გარემო, ამბავი. მხოლოდ ერთი მაგნოლიის ხე, ობლად რომ დგას იმერეთის პატარა სოფლის ეზოში, არღვევს ამ ატმოსფეროს.

"ვინ დარგო, როდის და რა მიზნით - დღეს არავინ არ იცის" და ეს მაგნოლიის ხე პირველ აქტში გამოჩენილი ის იარაღია, რომელმაც ბოლო აქტში უნდა გაისროლოს.

გარდაიცვალა 86 წლის ბებია ანა. იცხოვრა, იშრომა, გააჩინა და გაზარდა შვილები, იმათ მოჰყვნენ შვილიშვილები და, შეასრულა რა თავისი ვალი, წავიდა ამ ქვეყნიდან. რა არის აქ უჩვეულო?

მაგრამ ბებია ანა ადამიანია. თავისი საკუთარი, მხოლოდ მისი ბედით, ხასიათით, ოცნებებით და სიზმრებით. და თურმე, ბებია ანას საიდუმლოც ჰქონია - დაფარული, როგორც საიდუმლოს შეეფერება, მწველი, ტკბილი და სევდიანი.

იმ ზაფხულის მზიან დღეს, როდესაც ეზო სავსე იყო ჭირისუფლებით, მათთან სამძიმარზე მისული ახლობლებით და მათი მანქანებით, გამოჩნდა კაცი "არა უბრალო კაცი, არამედ მხედარი, რომელიც თეთრ ცხენზე იჯდა, ტანთ ჩოხა ეცვა, ხოლო თავზე ჩაბალახი ეხურა".

მკითხველმა დაინახა, რომ შემოვიდა ბინდგადაკრული წარსული, ისტორიას ჩაბარებული მე-19 საუკუნე. კაცმა დინჯად გაიარა ეზო, "არც აქეთ იყურებოდა, არც იქით. წამით მაგნოლიის ხეს შეხედა... კიბეზე აიარა, დარბაზში შევიდა, ბებია ანასთან მივიდა, ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა და გაშეშდა".

მკითხველს ისღა დარჩენია, რომ თვითონაც გაშეშდეს და უყუროს ამ მოხუც მაღალ კაცს (ისიც მაღალია), მხოლოდ მას - ამ მილეთ ხალხში, რომელიც გაოგნებულია ამ თეთრტაიჭოსანის გამოჩენით.

"კაცმა მარჯვენა ხელი უბისკენ წაიღო, იქიდან ერთი ცალი ყვავილი ამოიღო, ერთი ცალი მაგნოლიის ყვავილი, თეთრი, დიდი, ბუთქუნა, ოდნავ დაიხარა, ყვავილი ხელში ჩაუდო ბებია ანას, გაიმართა, შემოტრიალდა და ისევ ისე აუჩქარებლად გავიდა დარბაზიდან".

ასე გამოეთხოვა მაღალი კაცი ბებია ანას, რომელიც მისთვის ნამდვილად არ იყო ბებია.

"ლიტერატურის მომავალი ფორმის ეკონომიაშია. მომდევნო საუკუნის "ომი და მშვიდობა" ორას გვერდს არ გადააჭარბებს", - ფიქრობს იოსიფ ბროდსკი. და ასე გგონია, ის სწორედ ამ მოთხრობას გულისხმობს, სადაც ჯ.ქარჩხაძე სულ რამდენიმე ფრაზით, ორჯერ გაცხადებული მაგნოლიის ყვავილით აზრზებს, მკითხველს დაანახოს და აგრძნობინოს ანასა და მაღალი კაცის სევდიანი სიყვარულის ამბავი.

"მოგონებები ჩემი, მოგონებები სხვისი" (გალაკტიონი).

ამ მოთხრობის გამოცემის სარედაქციო შენიშვნაში ვკითხულობთ: "მაგნოლიის ყვავილი ანუ ბებია ანას გარდაცვალება", ჯემალ ქარჩხაძის ბოლო ნაწარმოებია".

ასე გამოგვეთხოვა ჩვენ ჯემალ ქარჩხაძე, ჭეშმარიტად დიდი მწერალი, უპრეტენზიო, მაღალი კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ბრეგაძე

# ჯემალ ქარჩხაძის ფრაზა

დიდი მწერალი უპირველეს ყოვლისა ფრაზით იცნობა, ანუ აზრის ფორმულირების ხელოვნებით. ჯემალ ქარჩხაძის ფრაზა შთამბეჭდავია. დავიწყოთ იმით, რომ იგი პარადოქსული ფრაზის დიდოსტატია. პარადოქსული ფრაზა უპირატესად ურთიერთგამომრიცხავი ცნებებით აიგება, ოღონდ ისინი კი არ აბათილებენ ერთმანეთს, არამედ აძლიერებენ, ფიზიკის ცნება რომ გამოვიყენოთ, რეზონანსში მოჰყავთ ერთიმეორე. ამას ემყარება პარადოქსული ფრაზის ფეთქებადი ბუნება.

ეს მოვლენა სხვა სიტყვებით შეიძლება ასე აღიწეროს: პარადოქსულ ფრაზაში ძალიან მცირე ტერიტორიაზე ძალიან დიდი ინფორმაციაა კონცენტრირებული. ამ შეკუმშული ინფორმაციის მყისიერი გაშლა, ანუ აფეთქება მკითხველის ცნობიერებასთან შეხებისთანავე ხდება. მძლავრი დეტონაციის შედეგად თითქოს გონება ნათდება და ერთბაშად ვეზიარებით რაღაც მნიშვნელოვან, ძნელად მისაგნებ, საიდუმლო ჭეშმარიტებას.

მაგალითი მოთხრობიდან "გუბე":

"ღირსებით ნაკლის მიჩქმალვა შეუძლებელია, ნაკლი მხოლოდ სხვა ნაკლით თუ მიიჩქმალება".

სხვა მოთხრობებიდან:

"უკან" არ არსებობს. "უკან" იმის მოგონილი სიტყვაა, ვისაც თავი წინ ჰგონია";

"შენ მარტო ხარ კანცელარიაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დანარჩენებს";

"მეცნიერული თეორია ორგვარია: ერთია მცდარი თეორია, რომელიც დროთა განმავლობაში სწორით შეიცვლება, და მეორეა სწორი თეორია, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო სწორით შეიცვლება".

ჯემალ ქარჩხაძე ერთგან წერს: "როდესაც კაცის არსებაში სახელი და დიდება შემოდის, იქიდან რამე უნდა განდევნოს, რომ ადგილი იპოვოს. პირველ რიგში იუმორის გრძნობა იდევნება".

არაჩვეულებრივია ჯემალ ქარჩხაძის იუმორი. ის, უპირველეს ყოვლისა, სიტუაციური კომიზმის ოსტატია (სიტუაციური კომიზმი, მოგეხსენებათ, კომიზმის ყველაზე რთული სახეობაა), მაგრამ დახვეწილი, ხშირად შეფარული იუმორით არის გამსჭვალული საერთოდ მისი თხრობის მანერა. მისი ტექსტები სავსეა ირონიული აფორიზმებით, რომელთა რამდენიმე ნიმუშს ახლა შეგახსენებთ:

"ღიმილში ის სიტყვაც შეიძლება იგულისხმო, სინამდვილეში გულშიაც რომ არ გაუვლიათ, ამითაა ღიმილი საშიში";

"ვისაც ღალატი არ გამოუცდია, იმან არ დაიტრაბახოს, რომ სისხლსავსე ცხოვრებით ვიცხოვრეო";

"ჯანმრთელობა თამბაქოს მაგივრობას ვერასოდეს ვერ გასწევს";

"უნდა გაახარო კაცი, თუკი შენ ამით არაფერი გაკლდება";

"ცოლი და თაყვანისმცემელი ორი სხვადასხვა ფიზიკური სხეულია, რომელთაც ერთსა და იმავე დროს ერთი და იმავე ადგილის დაკავება არ შეუძლიათ".

ერთი საყურადღებო ფრაზა უნდა გავიხსენო ვრცელი მოთხრობიდან "დღე ერთი".

საუზმობისას ცოლი ეუბნება მეუღლეს - ერთხელ ცხონებულმა მამაჩემმა მითხრა, "შენი ქმრის ნიჭი რომ მომცა და ჩემი სინდისი, ალბათ, ყველაფერს მივატოვებდი და ბერად შევდგებოდიო".

ეს ფრაზა, რომელიც ერთი მოსმენით (წაკითხვით) აზრიანი ფრაზის შთაბეჭდილებას ტოვებს, სინამდვილეში აბსურდული ფრაზაა, თუნდაც იმიტომ, რომ ვერ გაიგებ, ვისი ჭკუა და ვისი სინდისია სანატრელი, რადგან ბერად კაცი იმის გამოც შეიძლება შედგეს, რომ მეტისმეტად უმწიკვლო და პატიოსანია და იმის გამოც, რომ მეტისმეტად ცოდვილია.

თუ კარგად დავუკვირდებით, ეს დაახლოებით ისეთივე ფრაზაა, როგორიც არის ერთი შეხედვით აზრიანი, მაგრამ სინამდვილეში აბსურდული სახუმარო ფრაზები ამგვარი ყაიდისა: "ჯობს ზედმეტი იძინო, ვიდრე ნაკლები ჭამო".

ჯემალ ქარჩხაძის ამ ფრაზას მოთხრობაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია: მან შეძრა ადრესატის ცნობიერება. ვნახოთ, როგორ გადმოგვცემს ავტორი მის რეაქციას:

"- რაო?" - ლუარსაბს ყავის ფინჯანი ჰაერში გაუშეშდა და სახტად დარჩენილი კარგა ხანს თვალმოუშორებლივ უყურებდა ცოლს. მერე დამშვიდდა, ფინჯანი ნელა დადგა ლამბაქზე და გაიღიმა, - აკი, ბუნჩულა და მიამიტი ვარო? გვატყუებდა?! თუმცა სიცოცხლეში ერთხელ ყველა ამბობს თითო გაუგებარ სიბრძნეს".

ამის შემდეგ ბატონი ლუარსაბ რაზმაძე ამ უცნაური ფრაზის გაანალიზებას ცდილობს. ვნახოთ, რა გამოუვა (ყურადღება მიაქციეთ, ციტირებულ ნაწყვეტში კიდევ რამდენიმე ჩინებულ ფრაზასთან მოგვიწევს შეხვედრა):

"ყავა ერთ ყლუპად დაცალა, ფინჯანი ორივე ხელით ჩაბღუჯა და დაფიქრდა, - ნიჭი ჩემი ინდომა, ხოლო სინდისი საკუთარი არჩია... - აქ წამით ჩვეული ირონიული კილო გამოურია. - პირველი სავსებით მაკმაყოფილებს, მეორე კი მძაფრ აღშფოთებას იწვევს. - მერე ისევ დაფიქრებით განაგრძო: - არა, მე იმას კი არ ვამტკიცებ, ჩემს სინდისს ლაქას ვერ უპოვი-მეთქი. ადამიანი იმიტომ იბადება, რომ სინდისი მთლად სუფთა არა აქვს; მაგრამ ხომ არსებობს ფარდობითობა, ეს ყოვლისმომცველი და ძილისპირულივით ტკბილი ცნება? არა, აქ რაღაც პარადოქსი იმალება, რომელიც ასე უცებ ვერ ამოიხსნება".

დაბოლოს კიდევ ერთი ფრაზა, რომლითაც ხშირად ინუგეშებს თავს მოთხრობა "სოლომონიანის" მთავარი პერსონაჟი: "ცხოვრება ყოველთვის კარგია, რაკიღა ყოველთვის შეიძლება უარესი იყოს".

მოთხრობა ამ სიტყვებით მთავრდება:

"სოლომონი გაკვირვებული ჩასცქეროდა საკუთარ თავს და სწორედ იმის გამო, რომ იცოდა, ცხოვრება ყოველთვის კარგია, რაკიღა ყოველთვის შეიძლება უარესი იყოს, ვერ გაეგო, მაშ რატომ ეჩვენებოდა, თითქოს ეს-ეს არის ზღვიდან ამოვიდა და შიშველ სხეულზე მედუზები ასხდა..."

ჩვენ კი ვხვდებით: ასე იმიტომ ეჩვენებოდა, რომ - ცხოვრება ყოველთვის ცუდია, რადგანაც ყოველთვის შეიძლება უკეთესი იყოს.

*27.10.2000.*

მამუკა ბერიაშვილი

# სინდისის ხმა



ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებაში სინდისის პრობლემა საკმაოდ მკაფიოდაა თემატიზირებული როგორც ადამიანის უსაკუთრივესი ყოფნისუნარის პრობლემა. აქ სინდისის ძირეული გაგება და მისით მორალის კონსტრუირება სცილდება ამ ცნების ფორმალურ - ა) სტატუტარულ-ნორმატიულ, ბ) შეფასებით, გ) მოვალეობით და დ) თეოლოგიურ-რელიგიურ გაგებას. ჯემალ ქარჩხაძე თავის შემოქმედებაში გვიჩვენებს, რომ ადამიანი თვითჭეშმარიტების განხორციელების შესაძლებლობაა, რაც თავისუფლების, ადამიანის ამ უმაღლესი პრინციპის რეალიზაციის საფუძველზეა შესაძლებელი.

ჯემალ ქარჩხაძის "ანტონიო და დავითში" ადამიანისთვის, როგორც მოაზროვნე სუბიექტისათვის აბსოლუტური თავისუფლების მიღწევა ანუ ფუნდამენტურ-ონტოლოგიურად სინდისიერებით მორალის ფუნდირება შესაძლებელია ადამიანის მიერ თავისი თავის თვითრეფლექსიით, თვითგააზრებით (როგორც ეს გერმანულ მეტაფიზიკაშია. აქ შეიძლება ჰეგელის სიტყვები გავიხსენოთ, რომ "ვისაც თავისი თავი არ უაზროვნია, ის თავისუფალი არ არის, - ვინც თავისუფალი არ არის, მას თავისი თავი არ უაზროვნია).

ნაწარმოებში ჩვენს მიერ ჩამოთვლილ სინდისის ფორმალურ განმარტებათაგან სამი, კერძოდ, ა, გ და დ ეჭვის ქვეშ დგება და საბოლოოდ ფაქტიურად ბათილდება.

ანტონიოს მონათხრობი მისი და მის მიმდევარ-მეგობართა ისტორიაა. ამ ისტორიაში ავტორისათვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თუ კონკრეტულად რა ცალკეული შეცდომისა და მკრეხელობისათვის იყო გამოტანილი განაჩენი (სიკვდილით დასჯა) ანტონიოსა და მისი სულიერი ძმების, როგორც ერეტიკოსების წინააღმდეგ. მთავარია ბრალდებულთა მიერ თავიანთი ეგზისტენციალური მოდუსის განსაზღვრა.

ანტონიო განასახიერებს ადამიანს, რომელიც ცდილობს თავის ნამდვილ, ჭეშმარიტ მე-სთან, თავის სუბიექტურობასთან დაბრუნებას გარემომცველ სოციალურ გარემოში ნიველირებისაგან. რადგანაც "ანტონიო და დავითის" სიუჟეტი შუასაუკუნეების ფონზე იშლება, ამიტომ აქ ეკლესია, რომელიც ფაქტიურად ადამიანის მენტალობის განმსაზღვრელი და საზოგადოების ნორმატიულად მარეგულირებელი იყო, გვევლინება როგორც ყოველდღიური საზრუნავით ნიველირებული სოციუმი, რომლის მყარი და სტაბილური მყოფობის გარანტი ამ მოცემული სოციუმის წევრების ერთსულოვნებაა ასეთ ნიველირებულ სამყაროში მყოფობის შესანარჩუნებლად. ასეთ გარემოში ადამიანი მთლიანად თავისთავის გარეთაა, მთლიანად გარეგან სამყაროშია გადაგდებული და ჩაფლული. ამ მდგომარეობაში მან არც იცის და ვერც ჩასწვდება თავის ნამდვილ მე-ს. ეს არის ექსისტენციასათვის უარყოფითი მოდუსი თავისი ეგზისტირებისა, რომელიც ობივატელის, როგორც სოციუმის, საზოგადოების ნეიტრალურ, უპიროვნო წესს ასაზრდოებს. ეს უპიროვნო წესი, ნოიტრუმი არის მავანი, რომელიღაც ვინ-ი, რასაც ჰაიდეგერი მან-ს უწოდებს. იგი წარმოიქმნება იქ, სადაც ადამიანი არსებობს სხვების განსაზღვრულობით ანუ სხვების მორჩილებაში. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ მუნყოფნას, როგორც ეგზისტენცს სხვებმა წაართვეს ყოფნა და მუნყოფნის ყოველდღიური ყოფითი შესაძლებლობანი "ამ სხვებით არის განსაზღვრული" და განგებული. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ მუნყოფნის ყოფითი შესაძლებლობები, იმ მუნყოფნისა, რომელიც მან-ის თვითობით ეგზისტირებს, მუდმივად მას ემყარება, რაც მავანმა სხვებთან ერთად, სხვებისთვის ან სხვების საწინააღმდეგოდ შეიძინა. ამ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა დაგვაბნიოს იმან, რომ მავანმა რაღაც თვისება თუ ჩვევა სხვების საწინააღმდეგოდ შეიძინა, რადგან ეს "საწინააღმდეგოდ" იმავე ონტოლოგიურ საფუძველზეა დამყარებული, რაზეც თვით ნიველირებულად მყოფობა მუნყოფნისა და იგი უფრო მანის "გაკიცხვის ხმაა", რომელიც ზოგადად რაღაცას აკრიტიკებს, მას, რაც თვით მან-ურ სამყაროში ყოფნის წესის სტაბილურობის საწინააღმდეგოა და არავითარ შემთხვევაში არ არის თავის ნამდვილ მე-ს მიღწეული მუნყოფნის სინდისის ხმა.

ამ უკიდურესად უარყოფითი მოდუსიდან თავის დასაღწევად როგორც მუნყოფნამ, ასევე თავად სოციუმმა, რომელიც სწორედ ცალკეულ მუნყოფნათაგან შედგება, ონტოლოგიურად უნდა დაძლიოს არანამდვილობა, ხოლო ეგზისტენციალურად უნდა მოიშოროს ყველა ყოფითი, ობივატელური განსაზღვრულობანი, რომელნიც ამგვარი თანაარსებობის გარანტნი არიან. სწორედ ამ ობივატელურ-სოციალურ განსაზღვრულობათაგან განთავისუფლებისაკენ მოწოდებაა ანტონიოს სიტყვები ბართლომეოსთან დიალოგში: "ტანჯვაა, ბართოლომეო, ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც შენს აზრს თავისუფლად არ გათქმევინებენ. რომ შეეძლოთ, თავისუფლად ფიქრსაც აგიკრძალავდნენ. პაპი ჩვენსავით ადამიანია და ჩვენსავით შეუძლია შეცდეს. მას კი თავი შეუმცდარი ჰგონია. ამიტომ ხშირად მიგვერეკება, საითაც სურს. თვალი ღვთითა გვაქვს, ბართოლომეო, და სახედველად მოგვეცა, ისინი კი ჩვენს მაგივრად თვითონ იყურებიან და გაიძულებენ თეთრი ვთქვათ იმაზე, რასაც შავად ვხედავთ. აზრიც ღვთითა გვაქვს და განსასჯელად მოგვეცა, ისინი კი გაიძულებენ ჩვენი აზრი ჩავიხშოთ და მათი აზრის კვალობაზე ვსაჯოთ. იესო ქრისტე დოგმებს ებრძოდა. რა იცოდა, რომ მისი მიმდევრები ძველი დოგმების ადგილას ახალს დაამკვიდრებდნენ და ძველი ფარისევლების ადგილას ახლებს დააყენებდნენ". სრულიად ცხადია, რომ ამ მოცემული საზოგადოების მან-ის ხმას, ამ შემთხვევაში ეკლესიაში პერსონიფიცირებულს, ის ჰგონია ერეტიკოსი, ვინც ამ გაბატონებულ მანიველირებელ ხმას წინაღუდგება და ცდილობს თავისი თავის თვითრეფლექსიის საფუძველზე ნამდვილი მე-სკენ სვლას და საბოლოოდ მე-ში მისვლას, ხოლო, თავის მხრივ, ანტონიო უწო-

დებს ეკლესიას ერეტიკოსს, რადგანაც ეკლესია, მან-ის ხმას ამოფარებული, ცდილობს მუნყოფნა, როგორც ადამიანი, ამ მოცემული ყოველდღიური საზრუნავით ნიველირებული და ამ განსაზღვრებაში მყოფი საზოგადოების წევრი ასეთი საზოგადოების სტაბილურად არსებობისათვის მუდმივად მან-ის ეგზისტირების უკიდურესად უარყოფით მოდუსში ჰყავდეს გადაგდებული. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც “მან-ის” საჯაროობაში და მის ლაყბობაში დაკარგულ მუნყოფნას ესმის “თვით მან-ის”, ანუ მან-ის უსაკუთრივესი ხმა და ამდენად არათუ თავისი ხმა, როგორც სინდისის ხმა არ ესმის, არამედ არც შესაძლებლობა შეიძლება ჰქონდეს მისი მოსმენისა.

ზემოთმოყვანილი ნაწყვეტიდანვე ნათლად ჩანს, რომ ტექსტის ავტორისთვის ერეტიკოსობის გაგება სცილდება ამ ცნების ფორმალურ გაგებას, რამეთუ ერეტიკოსი ფორმალურ-ეკლესიური გაგებით არის პიროვნება, რომელიც არ ცნობს ოფიციალურ დოგმატს, სწავლებას და, აქედან გამომდინარე, ზნეობრივ ნორმებს ეკლესიისას. კიდევ უფრო უკიდურესი გაგებით, ერეტიკოსი არის ის, ვინც არათუ არ ცნობს მოცემულ დოგმატს, არამედ მის საპირისპიროდ რაღაც ახალს აფუძნებს. მაგრამ ანტონიო არ არის ასეთი ტიპი. იგი რაიმე ახალს კი არ აფუძნებს, არამედ ქრისტიანობის არსში დაბრუნებისკენ ისწრაფვის, ყოველგვარი დოგმატიკისაგან განთავისუფლებისკენ, იმ დოგმატიკისაგან, რომელიც სოციუმში განსაზღვრულ იდეოლოგიას ამკვიდრებს. ხოლო იდეოლოგია კი ყოველთვის ვინმეს ნების, ინტელექტის ძალმომრეობით აღსრულებას ნიშნავს, ეს კი ადამიანს, როგორც სოციუმის წევრს, მუდმივად განსაზღვრულ სამყაროში ყოფნის წესით ანუ ნიველირებით ამყოფებს და აცლის მას მის საკუთრივ ძირითად არსს - თავისუფალ ნებას და ინტელექტს. ე.ი. იმას, რომ ის მოაზროვნე ნებაა.

“ისევე როგორც ანტონიოს სიმართლე, მამა სებასტიანეს სიმართლეც მისსავე პატიოსნებაზე იყო აღმოცენებული”. მამა სებასტიანეს ქმედებანი მისი მოვალეობა, რადგან დაფუძნებულია ქმედების სამართლიანობის ცნობიერების პრინციპზე. თუ კანტის ამ პრინციპს მივყვებით, აქედან უკუსვლით შეიძლება მივიდეთ სინდისის მისსავე განსაზღვრებამდე: “სინდისი არის ცნობიერება, რომელიც თვით თავის თავის მოვალეობაა”. კანტისავე თქმით, “სინდისი არის თვით თავისთავის განმსჯელი (გამასამართლებელი) მორალური მსჯელობის უნარი”. კანტის მიხედვით, ერეტიკოსის იმ მსაჯულის ქმედება, რომელმაც დოგმების დასაცავად (ეს დოგმები მას ღრმად სწამს და, ამდენად, თავის სიმართლეშია დარწმუნებული თავისი შეფასებითი და მოვალეობითი სინდისის მიერ, და არათუ დარწმუნებულია, არამედ მზადაც კი არის ამ რწმენისათვის ტანჯული იყოს) ერეტიკოსს სიკვდილით დასჯა გამოუტანა სასჯელად, ბადებს კითხვას: სჯიდა კი ის სინდისის მიხედვით, თუ საერთოდ არ ჰქონდა სინდისი, რამდენად აქვს მსაჯულ მორალურ ცნობიერებას, თუ ის მართლაც მორალურია, საერთოდ სასჯელის გამოტანის უფლება.

აქ წარმოჩნდება უკვე ბრალეულად ყოფნის საკითხი. ბრალეულად ყოფნა ფორმალურად შეიძლება გავიგოთ ასე: “ბრალი გქონდეს რამეში” ან “ვინმეს მიმართ” გქონდეს დავალიანება. ონტოლოგიურად კი დანაშაული შესაძლებელია მხოლოდ საწყისისეული ბრალეულადყოფნის საფუძველზე. თეოლოგიურადაც ადამიანი ადამიანად სწორედ მაშინ იქცევა, როდესაც მის ცნობიერებაში ბრალეულობის იდეა შემოდის, ანუ როდესაც მას, სამოთხეში მყოფს, ცოდვის ჩადენის შემდეგ “თვალები აეხილება” და იწყებს აზროვნებას ანუ ჭეშმარიტად ადამიანი ხდება. ასევე ანტონიოსათვის ბრალეულობის განცდა და ბრალეულად ყოფნა ადამიანის, როგორც სოციუმის წევრის მიერ დროით-წარმავალ სახელმწიფო კანონთა დარღვევა კი არ არის, არამედ იმ მარადიული ჭეშმარიტების წვდომა და მასში ყოფნა, რითაც ადამიანი ადამიანად იწოდება. ამის შესახებ ანტონიო ასე განსჯის: “სახელმწიფო კანონებს ადამიანები ქმნიან და ადამიანებსავე შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში ახლით შეცვალონ. როცა საქმე დროულსა და წარმავალს ეხება, უმცირესობა მოვალეა უმრავლესობას დაემორჩილოს და შეეგუოს იმას, რაც მისი აზრით სწორი არ არის. რელიგია სხვა რამეა. ჭეშმარიტება ერთია და მარადიული. რწმენა კი ღვთის გზაა. ადამიანს, თუნდაც იგი ათასჯერ პაპი იყოს, არც შესწორება შეუძლია მისი და არც შეცვლა. სხვის რწმენას ვერც შეეგუები და ვერც დაემორჩილები, თუ იგი შენიც არ არის”. ანტონიოსთვის, როგორც იმ ადამიანისთვის, რომელიც ცდილობს თავი დააღწიოს ყოველდღიური საზრუნავით გამოწვეულ ნიველირებისაგან განსაზღვრულობას, არ მნიშვნელობს იმ სოციუმის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც მან-ის თვითობის ტოტალობაში ეგზისტირებს. ამ შემთხვევაში სოციუმში შეფასებას ახდენს მანი, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, არანამდვილობის ეგზისტენციალურ მოდუსში გადავარდნილობაა. რადგან მან-ის ყოფნისუნარის შესაძლებლობისათვის, სანამ ის მან-ის თვითობით ეგზისტირებს, ონტოლოგიის ფუნდამენტური პრინციპი გახსნილობისა შეუძლებელი რჩება და, ამდენად, მისთვის უსაკუთრივეს ბრალეულად ყოფნის შესაძლებლობა ჩაკეტილი რჩება. მან-ის გასაგებობამ იცის მხოლოდ მოქმედი წესების და საჯარო ნორმების თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი და არადამაკმაყოფილებელი. დარღვევებს მანი გამორიცხავს და ეძებს წონასწორობას. სოციუმი თავის ხმამაღალ ლაყბობაში მსჯელობს მუნმყოფის მიერ ჩადენილ შეცდომებზე და ამით საშუალებას აძლევს თავის თავს, რომ დაუსხლტეს უსაკუთრივეს ბრალეულად ყოფნის შესაძლებლობას. ამგვარი სოციუმისაგან პატიების მიღება და თუნდაც იძულებით მისი აღიარება თვით ანტონიოსაც გარკვეულწილად ამგვარი სოციუმის წევრობით მან-ის მოდუსში ეგზისტირებადს ხდის. თავის ნამდვილ მე-სთან დაბრუნება მუნმყოფისა, ანუ მისთვის თავისი თავის, როგორც ბრალეულის გაცნობიერება შესაძლებელი ხდება სინდისის როგორც შინაგანი საკუთრივი ხმის წაძახებითი უკუხმობის (ანუ თავის თავისკენ ხმობის) შედეგად. სანამ მანი საჯაროობაში და მის ლაყბობაშია დაკარგული, მას მხოლოდ თვით-მანის მოსმენა შეუძლია, ანუ ეს ნიშნავს, რომ მუნყოფნას არ ესმის თავისი თავისა.

ჰეგელის სიტყვებით რომ ვთქვათ, “სინდისი - ეს ულრმესი შინაგანი განმარტოებულობაა თავის თავთან, სადაც ყოველი გარეგანი და ყველა შეზღუდულობა გამქრალია, ეს სრული უკანმობრუნებულობაა თავის თავში. ადამიანი, როგორც სინდისი განსაკუთრებულობის მიზნებისაგან აღარ არის შებოჭილი, და ეს არის მაღალი თვალსაზრისი”.

არილი



თამაზ ვასაძე

# თავისუფალ პიროვნებად ყოფნა

მიზანდასახულად თუ სპონტანურად ყველა ნამდვილი, ძლიერი მწერალი თავისი ქვეყნის და ხალხის მკვეთრ ხატს ქმნის. მწერლის შეფასების ერთ-ერთი სანდო კრიტერიუმი ისიც არის, თუ რამდენად საინტერესო და მეტყველია, ჭეშმარიტია ეს ხატი. ამასთანავე, რაც უფრო მეტად ულრმავდება ლიტერატურა ნაციონალურ სინამდვილეს, მითუფრო უნივერსალური ხდება იგი თავისი მნიშვნელობით.

ჯემალ ქარჩხაძე იყო ქართული საზოგადოების, საქართველოს შესანიშნავი მხატვარი-ანალიტიკოსი, რომლის შემოქმედება გვეხმარება ჩვენი ეროვნული რაობის შეცნობაში. მის პროზაში ლიტერატურის უმთავრესი კითხვა - რა არის ადამიანი კონკრეტდება კითხვად ქართველი ადამიანის ბუნების თაობაზე.

ჯემალ ქარჩხაძისთვის დამახასიათებელმა რეალობის ჩაძიებულმა კრიტიკულ-ანალიტურმა ხედვამ ყველაზე სრულყოფილი გამოხატულება, ჩემი აზრით, მის მიერ 80-იან წლებში დაწერილ ნაწარმოებში პოვა. მწერალმა ძალიან მწვავედ იგრძნო ქართული საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი კრიზისი და განახორციელა მისი უტყუარი მხატვრული ანალიზი.

ირონია, რომელიც ყოველთვის ნიშანდობლივი იყო ჯემალ ქარჩხაძის თვალთახედვის და სტილისთვის, განსაკუთრებულ სიბასრეს და ელვარებას იძენს ვრცელ მოთხრობებში "სოლომონიანი", "გუბე", "იუპიტერის სინანული". ამ ნაწარმოებთა პერსონაჟები ექცევიან დაუნდობლად ძლიერი მხატვრული განათების არეში და აბსოლუტურად გამჭვირვალეები ხდებიან.

აქ ღრმად არის გახსნილი თემა, რომელიც ჯემალ ქარჩხაძეს ყველაზე მეტად აინტერესებდა - ადამიანში პიროვნების დაბადება თუ ვერდაბადება. "გუბეში" ავტორი თითქოს ჯოჯოხეთს გამოატარებს თავის პერსონაჟს, რომლის ბრმა სულშიც ეგოიზმი, სიხარბე, ჯიბრი, მეწვრილმანეობა ფუთფუთებს - მან მტკივნეული დარტყმები უნდა მიიღოს, რათა გამოიღვიძოს, დაინახოს მთელი თავისი უბადრუკობა, შინაგანი სილატაკე, თავისი არსებობის იდიოტურობა. მოთხრობა წარმოგვიდგება როგორც ეგოისტური, თავისთავში დახშული, სიცოცხლის სუფთა წყაროებს მოწყვეტილი ცნობიერების შემზარავი მხატვრული ფენომენოლოგია.

პიროვნებად ვერ იქცევა "სოლომონიანის" გმირი, პატრიოტი და წესიერი კაცი, რომელმაც ვერასდროს შეძლო თავისი ნების და აზრის დამკვიდრება და იცხოვრა არა მის მიერ არჩეული, არამედ სხვებისგან თავსმოხვეული ცხოვრებით. იგი ვერ აცნობიერებს, რომ მისი სათაყვანებელი ილია ჭავჭავაძე, პირველ რიგში, თავისუფალი პიროვნება იყო და ილიას მიმდევრობა, უწინარეს ყოვლისა, თავისუფალ პიროვნებად ყოფნას ნიშნავს. ბრწყინვალე ირონიით იხატება, თუ როგორ გამოუტანს ულმობელ განაჩენს, როგორ "ჩამოწერს" მოთხრობის სულიერად შეზღუდულ და შებოჭილ პერსონაჟს ისტორია, რომლის ახალი ეტაპიც მკაცრად მოითხოვს, რომ ქართული პატრიოტიზმი თავისუფალი პიროვნების იდეას დაემყაროს და თავისი ინტელექტუალური, კულტურული თვალსაწიერი გაიფართოვოს.

პიროვნულობის მთავარი მოწინააღმდეგე, ჯემალ ქარჩხაძის თვალთახედვით, არის სიყალბე, ნიღბოსნობა. ისეთ ნიღბოსანს, როგორიც არის ნერონი "იუპიტერის სინანულში", მხოლოდ პიროვნულობის სიმულირება შეუძლია, ნამდვილად მნიშვნელოვანი და საინტერესო პიროვნება ის ვერ იქნება. ცრუ პიროვნებისთვის მიუწვდომელია პიროვნული საწყისის დამამკვიდრებელი ძირითადი ფენომენები - სიყვარული და შემოქმედება. ნერონი ცდილობს თვით სიცრუე აქციოს შემოქმედებად, ხელოვნებად,



მეუღლესთან, მაიასთან ერთად

მაგრამ ეს "ხელოვნება" პირდაპირი, უხეში ძალადობის დახმარების გარეშე სრულიად არაეფექტიანია. ჯემალ ქარჩხაძის მიერ დახატული არტისტული ტირანი შინაგანად უბადრუკია, საკუთარი არასრულფასოვნების ფარული გრძნობით გამოღრღნილი, ნამდვილი ადამიანური ფასეულობებისადმი ბრმა. მისი სიძლიერე სხვების სისუსტეების შემჩნევის და გამოყენების უნარი და სხვათა ტკივილის განცდის უუნარობაა. ბევრისშემძლეობის მიუხედავად თავისი არსით იგი არარაობაა, რითაც ზიუსკინდის "პარფიუმერის" მთავარ გმირს გვაგონებს.

სიყალბე იმიტომ არის პიროვნული საწყისის ჩამხშობი, პიროვნულობასთან შეუთავსებელი, რომ პიროვნება უპირველესად ჭეშმარიტების ძიების, დამკვიდრების, ჭეშმარიტი ყოფნის ნებაა. ასეთია "იგის" გმირი, პირველი პიროვნება დედამიწაზე, რომლის დაბადების სასწაულიც სიყვარულის და შემოქმედების სტიქიათა ძალების მიერ ხორციელდება და რომელსაც მწერალი პირველყოფილი ადამიანის სამყაროს უჩვეულოდ დამაჯერებელი და შთამბეჭდავი გაცოცხლებით წარმოსახავს. ეს გმირი აგნებს ადამიანური არსებობის ჭეშმარიტ წესს და არ შეუძლია ამ წესის შესატყვისად არ იარსებობს, არ გამოამჟღავნოს და დაამკვიდროს ის, რაც აღმოაჩინა. ჭეშმარიტებასთან თანხმიერებაში ყოფნის ასეთივე ნება წარმართავს "ანტონიო და დავითის" ერთ-ერთი მთავარი გმირის, ევროპელი ადამიანის არსებობასაც, რომლის მოქცევაც ქართულ სინამდვილეში საშუალებას აძლევს მწერალს, დაგვანახოს ამ სინამდვილის სულიერ-ზნეობრივი საყრდენების მოშლის ძირები, სინამდვილის, რომელიც უწინარესად სწორედ პიროვნების თავისუფლებას და თვითრეალიზებას, თავისუფალ პიროვნულ აქტთა განხორციელებას ეწინააღმდეგება.

ჯემალ ქარჩხაძე თვითონ იყო ადამიანი, რომელმაც თავისუფალ პიროვნებად ყოფნის სიძნელე დაძლია. და სანამ შეგვიძლია პატივს მივაგებდეთ ასეთ ადამიანებს, სანამ შეგვიძლია ქართული სამყაროს ის მართალი, მკაცრი გააზრება და შეფასება გავითავისოთ, რომელიც მათ გაგვიმჟღავნეს, გვრჩება შანსი, რომ ამ სამყაროში რაღაც სასიკეთოდ შევცვალოთ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიგი ალხაზიშვილი

* * *

მოლოდინი რომ ქრება
ფერისცვალების შეგრძნება ავსებს სიცარიელეს.

ისინი მოწმეებივით გიყურებენ,
მათი სახელები გახსოვს,
მაგრამ საგნებმა არ იციან შენ ვინ ხარ?!

გეეჭვება რას ნიშნავს შენი აქ ყოფნა?!
ქოთნის ყვავილს რომ წყალს უსხამ და
ფოთლები უთრთის,
მაგიდას რომ მტვერს აცლი და პრიალებს,
ფანჯრის რაფაზე ბეღურებს რომ
პურის ნატეხს უნამცეცებ, -
ბოლომდი არ ხარ დარწმუნებული:
შენ თუ, ვიღაც სხვა აკეთებს
ამ ყოველივეს.



მაგრამ როცა ფანჯარას ხურავ
და საკუთარ თავში ჩამყუდროვდები,
სწორედ მაშინ მოფრინდება ბეღურა
და იმის ნისკარტი ისეთივე ხმას გამოსცემს,
როგორსაც შენი საწერ-კალამი,
როცა ცარიელ ფურცელზე აგრძელებს
შენი ნამცეცების კენკვას.

*12.X.2000 წ.*

* * *

ადგილს რომ ვერ პოულობ, იმიტომ ეძებ:
ჩამოსაჯდომს, წამოსაწოლს, ფანჯრის რაფაზე
იდაყვების ჩამოსაყრდნობს;
არა სხვა ადგილს, სინამდვილეში რომ არ არსებობს
და აქვეა, მუდამ სადღაც რომ იმალება.

მოგწყინდა ქალი, მოგწყინდა წიგნი, მოგწყინდა ყველა,
ვინც უნებლიეთ სულელურ აზრს გკარნახობს
ან რაიმეს გირჩევს.

არ ჯობდა, იმ გეორგენის ყვავილი იყო
ქარი რომ არწევს და თანდათან ფერს რომ უკარგავს.

ერთხელ იფიქრე: რომ შენ ხე ხარ მოსიარულე,
შენი მკლავები ტოტებია, თვალები ნუჟრები,
თმა ვერცხლისფერი ფოთლები,
მაგრამ მოგწყინდა მცენარედ ყოფნა
და ის სამალავი მოგენატრა,
სადაც ვერავინ გზედავს თვითონ სამალავის გარდა.

*19.X.2000 წ.*

* * *

თითქოს ის ცხოვრება არ არსებობს, გარეთ რომ მიდის, თავის რესპექტაბელური პერსონაჟებით და მათი სურვილებით, სახეებზე რომ ახატიათ.

გარეთ რომაა, ეს ის დროა, ნამდვილი დროდან რომ ამოვარდა და იმორჩილებს საშოვარზე გამოსულ ლანდებს, მოვლილი ძაღლებივით რომ დასუნსულებენ და ისლა აკლიათ რომელიმე ხესთან ცალი ფეხი აიშვირონ ბუნებრივი სურვილის დასაკმაყოფილებლად; ან ყველაფერი საჭმელი ჰგონიათ და ნაგავში ქექვასაც არ თაკილობენ.

რატომ გაიზარდნენ ეს ტიპები მხოლოდ ფიზიკურად?! რას დაეძებენ ან დროს, მდევარს რატომ ვერ გრძნობენ.

ხეები თავის მოვალეობას ასრულებენ, შემოდგომაა და ფერადებს ჩუმად იცვლიან. ხეები, ნამდვილ დროში ფესვგადგმულები, ღამით ჩიტებით იხუნძლებიან და ქარში კი აღარ შრიალებენ, ყველა ფოთოლი შეწუხებული ჟივჟივებს, რადგან ხეებს ვეღარ გაურჩევიათ უფრო მეტი ფოთოლი ასხიათ თუ ბეღურა?!

ეს რესპექტაბელური ტიპები, რა თქმა უნდა, ასეთ ხეებს გვერდს უვლიან, ხასხასა პიჯაკები სკორეთი რომ არ დაესვაროთ და მუდამ იქით იჩქარიან, სადაც იზრდება ჯიბეების მნიშვნელობა, სადაც შეიძლება რამდენიმე საათის ყიდვა ან ინკოგნიტო მეძავის შეძენა, რომელსაც ისე მოსწყინდა ჭერის ცქერა, რომ ხანდახან ფანჯარაში გახედვა ენატრება, სადაც ბებერი ხეები დგანან და ღამითაც ჟივჟივებენ ცივი ქარი რომ დაუბერავს.

ამ დროს ოთახი ივსება ისეთი დროით, რომელიც "წყალივით მიდის და ადგილზე რჩება". ინკოგნიტო მეძავს კი ჩიტების შეწუხებული ხმა ზოგჯერ საკუთარ ხმაში ეშლება.

*22.X.2000 წ.*

* * *

ვემშვიდობები ოთახს, იგი ჩემთვის ცოცხალი არსებაა - თავის კედლებით, ჭერით, იატაკით, და რაც მთავარია, ფანჯრებით, წასვლისას რომ თვალს მაყოლებენ.

მართალია სურათები დროდადრო ქრებიან ჩარჩოებიდან, ეს მაშინ, როცა სახლში არავინ რჩება მათ გარდა და თავისუფლად დასეირნობენ უჩვენო სახლში, სადაც ყველაფერს სიჩუმის მოძრაობა განაგებს, მზის ლაქა რომ ავლენს შეუმჩნეველი რხევისას. ამ დროს ოთახში ბავშვის ტანსაცმელიც იდგამს ფეხს და თოჯინებს ეთამაშება.

ეს ყველაფერი კარის ღრიჭოდან დავინახე და მომერიდა სახლში შესვლა, საგნებისთვის რომ სიმყუდროვე არ დამერღვია. ისიც კი გავიფიქრე, იქნებ, უყვართ კიდეც ერთმანეთი ამ მდუმარ ნივთებს, რომელთა საუბარი ძილ-ღვიძილში ზოგჯერ მსმენია.

*22.X.2000 წ.*

## კოცნის გაკვეთილი

მე ხომ ყველაფერი გავწირე შენთვის,
ვინც სინამდვილეში არსებობდი თუ არა არც კი ვიცოდი.

ჩვეულებრივ დადიოდი კოლეჯში მუსიკაზე
და არპეჯიოსავით ვიმეორებდი შენთან შეხვედრის
დროს კი არა -
ბგერებს, რადგან დრო ჟღერდა,
როგორც დიდი სპილენძის ზარი,
რომელიც გულში ჩნდებოდა მაშინ
და იწყებდა ძალუმად რეკვას,
შენ რომ კოლეჯის კიბეზე
დაბლა ეშვებოდი, პეპელასავით არა,
არც ყვავილივით, უბრალოდ ჩამორბოდი
და შენი თმის სურნელი -
ჰაერის ყველაზე ულრმესი სუნთქვა,
ისე თანდათან მიახლოვდებოდა,
რომ მე ლამის სული მელეოდა.

თუმცა რაღა მნიშვნელობა აქვს ამას?!
მე ხომ ყველაფერი გავწირე შენთვის, -
ყველაფერი, რაც მებადა და არ მებადა
და გამუდმებით ვეძებდი იმ ზარის ხმას,
შენი მოახლოებისას რომ ჩემი გული გამოსცემდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა რაღა მნიშვნელობა აქვს ამას?!
მე ხომ შენთვის ყველაფერი გავწირე,
რაც მთავარია წლის დროები გადავივიწყე
და ერთადერთი სამალავი, სადაც ვუჩინარდებოდი -
ეს შენ იყავი, შენი სიღრმით და შენი ტუჩებით,
რომელიღაც კენკროვანის გემო რომ ჰქონდა
და დღემდე მახსოვს, რადგან დაკარგულ სამალავს
აღარ ვეძებ იმ დღის მერე,
რაც მკერდში გულმა ზარის ხმა აღარ გამოსცა
და გამიქვავდა.

მე ხომ შენთვის ყველაფერი გავწირე,
ეს ხელები, მუდამ შენი მაძიებელნი,
მაშინაც კი, როცა უაზროდ მივათრევდი სიარულისას, -
ეს თვალები - მუდამ შენით რომ მქონდა სავსე,
სხვისთვის ადგილი აღარ მრჩებოდა,
ეს ბაგეები უნებლიეთ რომ იბზარებოდა
და ეს გული, რომელიღაც სიტყვას რომ ამწიფებდა.

თუმცა რაღა მნიშვნელობა აქვს,
მე ხომ შენთვის ყველაფერი გავწირე,
ის რვეულიც, სადაც ბავშვურ სურვილებს
ჩუმად ვიწერდი,
გავწირე საკუთარი თავი,
რადგან ამასობაში გავიზარდე და სხვა გოგოებს
მუშტრის თვალით დავუწყე ცქერა.

მე ხომ შენთვის ყველაფერი გავწირე,
გარდა იმ ხსოვნისა, ზოგჯერ შორეული ექოსავით
რომ მეორდება ჩემში და იმ კოლეჯისკენ მახედებს,
სადაც შენ აღარ სწავლობ -
და იმ სანტიმენტალურ ამბავს თუ იხსენებ,
როგორც კოცნის გაკვეთილებს -
კოლეჯის ბაღში, ქრომატული გამების ფონზე.

*19.X.2000 წ.*

არილი



## ეკა ქევანიშვილი

* * *

ამ მრგვალ მაგიდას რომ დასცინიან ეს სტუმრები
და დედაჩემის კარგ ქალობასაც იმახსოვრებენ
ღვინის ფერივით,
მხრების კანკალით
მთვრალი ხელების ფათურსაც ვიტან
და მოულოდნელ, ცუდად შენიღბულ
მზერის ნარჩენებს
სალათას ვაჭრი...
ამ მრგვალ მაგიდას ორი დღის წინ
ვასწავლიდით უჩვენობას
და სხვა სტუმრების თავაზიანად დაპურებას
შეყვარებას
და გასტუმრებას...
ამ ორი დღის წინ გაშლილ სუფრას
მესამე დღეა ვიმეორებ,
მეათასედ ვიფუფქავ პირს მწარე წიწაკით
ოდნავ გიღიმი,
ცოტა მიყვარხარ
და დღევანდელი სტუმრების სიტყვებს
მინდორში ვეძებ
რომელიმე შორისდებულით რომ ვუპასუხო
და უარესად გაგიმეორო.

## არქონა

აი სათაური
რომელიც ჰქვია ჩვენს ცხოვრებას
აი იარლიყი
რომელიც დააკრეს ჩვენს სინთეზურ ძონძებს
აი ეპითეტი
რომლითაც მონათლეს ჩვენი უნაზესი შეგრძნებები
აი გადაწყვეტა
ჩვენი ყოველდღიური პრობლემების
აი ვარაუდი
ხვალინდელი დღის გაგაზაფხულებაზე
აი გახსენება
შარშანდელი მოტკბო ზაფხულის
აი პროგნოზიც
მომავალი წლის პერსპექტივების
აი - მარტივი გამოსავალიც.

* * *

ცხელა.
ცივ კედლებს შპალერად ვეკვრი
ვსვამ მამაჩემის ოფლიან ღვინოს
გამყავს აგვისტო.
ვსწავლობ კორპუსებს
სატელიტური ანტენების სამკაულიან სახურავებს
საზიარებლად ჩამოდის მთვარე
ამ ერთხელაც რომ გამომასწოროს
და თვითონაც გათავისუფლდეს
ჩემი მზერისგან
წუწუნის და
გაუთავებელი საყვედურისგან,
რომ ისე ძნელია ამ ვენახის ღვინოდ გადაქცევა
და მამაჩემი აღარც ისე ჩემხელა,

რომ ისე მარიაჟია ეს სატელიტური ანტენა
ამ გარეუბნის ატმოსფეროში
და ისე გარდაუვალი ახალი მთვარე
როგორც პლანეტის ქალების კრიტიკული დღეები.

* * *

ჩემი "ეკოლოგიურად სუფთა" ღიმილი
ისე დაგეხმარება "კრიტიკულ დღეებში",
რომ "ჟესტების ენას" გამოვიგონებთ
და "თოთხმეტი დღის განმავლობაში"
შევეცდებით ისეთი არსებები გავაჩინოთ,
რომლებიც "დახტიან და ბევრს მოძრაობენ"
ჯერ კიდევ შიგნით
მერე "პროვიტამინიან" მზერებს
ვუსახსოვრებთ ერთმანეთს
და "ჯადოსნურ სისუფთავეს"
ჩვენი ოთხფეხა ცხოვრების
მიზნად გავიხდით.
რომ "ჩვენი კბილებიც ისე ქათქათებდნენ"
როგორც ათი წლის წინანდელი ჩვენი სულები.

* * *

ხან რომ ხელი მოგძვრება
და ხან რომ ცხვირი მოგძვრება
ხან ფეხები...
ცუდი მასალის ბრალი კი არ არის,
უხარისხო თიხის,
იმ უაზრო დაჯერებების და დაჩემებების ბრალია,
რომლითაც შეგქმენი.

* * *

მოხდეს ჩვენს შორის რეაქცია
და შენ რა გინდა,
არ გავწითლდები,
არ გავყვითლდები,
არ გავფითრდები,
უფრო პატარა რეაქციებს გავაჩენ
ხოლმე დროგამოშვებით.

* * *

ვილვიძებ
მაწვნის გამყიდველი
შენზე სიზმრებს მაწონში მიცვლის.
რა ტკბილი ყოფილხარ...

არილი



ზურაბ ლექავა

# ქორწილი ბინძურ აბანოში

ახლადგანთავისუფლებულმა მოქალაქე ვიქტორ ნაზრაძემ, იგივე ზარლრამ ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე გაიცნო ჰერმაფროდიტი ბანჯგვლაეთერო. მან იგი, თავისი სულიერი მოძღვრის, ეშმაკ ღორმენის რჩევით აბანოში წაიყვანა დასაქორწინებლად. ერთი საათით შემოშვებულმა წყვილმა დილამდე მოინდომა იქ დარჩენა. ისინი შიგნიდან ჩაიკეტნენ, სუფრა გაშალეს და მეაბანოვეს აბუჩად დაუწყეს აგდება.

(იხილეთ "არილი", N8, 11, 13)

გააფთრებული მეაბანოვე სერგო გამეტებით ურტყამდა მუშტებს კარს და უმოწყალოდ იგინებოდა.

- მამი, აკაკუნებენ!

- მაიცა შვილო, მე გავაღებ!

- აკაკუნებენ, მამი!

- მაიცა შვილო, მე გავაღებ!

აი, ასეთ სისულელეს გაუთავებლად იმეორებდა საგრძნობლად შეზარხოშებული წყვილი.

- გააღეთ კარი! - ღრიალებდა მეაბანოვე, - გააღეთ! თქვენ იცით, მე ვინ ვარ?! იცით, ვინ ვარ მე?! სერგო ვარ მეაბანოვე, თქვენი!!!

- მამი, აკაკუნებენ! - ბუტბუტებდა მთვრალი პატარძალი.

- მაიცა შვილო, მე გავაღებ! - პასუხობდა ასეთივე მდგომარეობაში მყოფი სიძე.

ღვინომ, დაღლილობამ და ორთქლმა თავისი ქნა და შეყვარებულებს გონება მთლად აერიათ.

- შენ მეაბანოვე სერგო კი არა, ეშმაკი ღორმენი ხარ, შენი! - ყვიროდა ზარლრა, - და სხვათაშორის მეაბანოვეც რომ იყო, მე ეს სულ არ მენაღვლება! ჩემთვის მთავარია კაცობა და ადამიანობა და თუ გინდა, ნაბოზვარი მექისე იყავი!

გააღეთ კარი, რეიდია, - ყვიროდა სერგო, - გააღეთ, ქუჩაში ზნეობრივი პოლიციელები დაძრწიან!!!

- მამი, აკაკუნებენ!

სერგოს შიში არ იყო უსაფუძვლო - ქალაქში მართლაც დაძრწოდნენ ზნეობრივი პოლიციელები და არა მარტო ისინი, დაძრწოდნენ სხვა სამართალდამცავებიც. როცა სამართალი კლებულობს, სამართალდამცავთა რიცხვი ყოველთვის მატულობს და რადგანაც ქალაქში სამართალი თითქმის აღარ იყო, მოსახლეობის ოთხმოცდაათი პროცენტი სამართალდამცავები გამხდარიყვნენ. უსამართლობა და ქაოსი იმდენად იყო მომძლავრებული, რომ უკვე თვით სამართალდამრღვევნი (კასტური, შთამომავლობითი სამართალდამრღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვევნი) გამოდიოდნენ წესრიგისა და სამართლიანობის ქომაგებად. საქმე ზოგჯერ იქამდე მიდიოდა, ხშირად კრიმინალები და პოლიციელები ერთობლივ რეიდებსაც აწყობდნენ. ამ ფენომენის ახსნა, თუ აუხსნელობა სხვადასხვა მიზეზით არგუმენტირდებოდა, მაგრამ ეს ასე იყო და ვაი მას, ვინც მათ მაშინ ხელში ჩაუვარდებოდათ.

- გააღეთ კარი, მოდიან! - ღრიალებდა გაგულისებული სერგო.

- მაიცა შვილო, მე გავაღებ! - ისმოდა საშხაპედან.

მეაბანოვის მდგომარეობა ამ მომენტში მართლაც მეტად საჭოჭმანო იყო. ეს რომ მხოლოდ ზნეობრივი პოლიციელები ყოფილიყვნენ, მათ უბრალოდ, ცოტაოდენით მოქრთამავდა კაცი, დაწვის (მხილების) შემთხვევაში, პოლიციელთა დასანახად, პანღურის კვრით გამოყრიდა ხოლმე შეყვარებულებს საშხაპედან. მერე არტისტულად მოუბოდიშებდა პოლიციელებს, "მომატყუეს - ცოლ-ქმარი ვართ - ამ შობელძაღლებმა" და პირმოთნედ ეპატიჟებოდა ზნეობის დამცველებს აბანოში. აბანიებდა ტანს, უმასპინძლდებოდა თითო ბოთლი ლუდით და აწევინებდა ნარკოტიკულ ნივთიერება ანაშას. შემდგომ ამისა, ჩუქნიდა ხუთ მანეთს და ამით ისტუმრებდა.

ერთობლივი რეიდის დროს ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო, რადგანაც ამ რეიდებში მობილიზება ხდებოდა არამარტო ზნეობრივი პოლიციის ქვედანაყოფებისა, არამედ პოლიციისა საერთოდ. საქმეში აგრეთვე ებმებოდნენ სხვა ძალოვანი სტრუქტურები და საზოგადოება მთლიანად. ვინღა არ იღებდა ასეთ საყოველთაო რეიდებში მონაწილეობას: იუსტიციის სამინისტრო, სამხედრო უწყების წარმომადგენლები, წესიერ კრიმინალთა შავი მილიცია და ყველაზე უფრო მრისხანე და საშიში ორგანიზაცია - მოხალისე მოქალაქეთა დამსჯელი რაზმები.

- გააღეთ კარი! - ყვიროდნენ უკვე მექისეც და ცეცხლფარეშები და კარის შემტვრევას ლამობდნენ.

- მამი, აკაკუნებენ! - ისმოდა საშხაპედან ხითხითი.

- გააღე, ღორმენი ვარ! - ღრიალებდა სერგო.

- მაიცა შვილო, მე გავაღებ!

სწორედ ამ დროს დააბრახუნეს აბანოს გარეთა კარზე მომთხოვნად, - გააღეთ კარი! - გაისმა ახლა უკვე გარედან.

აბანოს მუშაკები ჩაჩუმდნენ.

- ვაიმე, - ჩურჩულით დაარღვია დუმილი მექისემ, - დაგვერხა!

- რაღა ვქნათ ახლა?! - შეშინებულმა იკითხა ერთ-ერთმა ცეცხლფარეშმა.

- გააღეთ! - ბრძანა მოკლედ სერგომ.

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ერთ-ერთმა ცეცხლფარეშმა აბანოს კარი გააღო.

- გამარჯობათ! გამარჯობათ! გამარჯობა-ა-ათ! - ისეთი ტონით წარმოთქვა ზღურბლზე მდგომმა და ახლა უკვე დაუკითხავად შემოსულმა ოფიცერმა, თითქოს ვილაცა უკვე ფაქტზე დაიჭირაო.

ამჯერად ეს იყო საზღვაო პატრული - წყალქვეშა ფლოტიდან - ოფიცრისა და ორი მეზღვაურის შემადგენლობით, რომელთაც თან ახლდათ ორი ძალიან ლამაზი და მომთხოვნი ქალი, ქალთა დაცვის ორგანიზაციიდან და ერთი დოლრიალა მუნიციპალური ჟანდარმი.

- დღეს რა, არ მუშაობთ?! - იკითხა წყალქვეშა ოფიცერმა მედიდური ეჭვიანობით.

- როგორ არა! როგორ არა! - პირმოთნედ შესცინა სერგომ.

- მერე, აბა კარი რატომ გაქვთ ჩაკეტილი?! - ნიშნისმოგებით გაუყარა თვალი თვალში ოფიცერმა.

- რა ვიცი ბატონო, საყოველთაო რეიდია და ამიტომ ჩავკეტე! ხომ მოგეხსენებათ, ამ სახის აბანოებს ცუდი სახელი აქვთ გავარდნილი და ამიტომაც მეშინია, აბანო არ



დამირბიონ.

- რატომ უნდა დაგირბიონ აბანო, თუკი არაფერს აშავებთ? - იკითხა ამჯერად მკაცრმა და ლამაზმა ქალმა, ქალთა დაცვის ორგანიზაციიდან და დაუკითხავად გამოაღო უჯრა.

- არაფერს, არაფერს ვაშავებთ, პირიქით ვათეთრებთ! აქ აბანოა... - დაიბნა სერგო, - უბრალოდ სახელი გვაქვს გატეხილი.

- სახელის გატეხვას თავის გატეხვა ჯობიაო, - ჩაიროხროხა დოლრიალა ჟანდარმმა საჯდომის ფხანვით.

- გყავთ ვინმე კლიენტი? - იკითხა ოფიცერმა.

- დიახ! - უპასუხა სერგომ, - ქალბატონია!

- მარტოა?! - იკითხა ოფიცერმა.

- დიახ, მარტოა! - უპასუხა სერგომ.

მან ეს პასუხი ელვისებურად მოტვინა. ფემინისტი ქალი რომ არა, უთუოდ იტყოდა, ქმართან ერთად არისო, რადგან რეიდის მონაწილე მამაკაცები მაინც აუცილებლად გააღებდნენ კარს, მაგრამ, ამჯერად, ფემინისტი ქალების აქ ყოფნას შეიძლება დადებითი შედეგი გამოეღო. ისინი არ დაუშვებდნენ ქალის შეურაცხყოფას და სიტყვაზე ენდობოდნენ მეაბანოვეს, თუ, რა თქმა უნდა, ნომერში მყოფი ქალიც აუღებდა ამას ყველაფერს ალღოს და არ ჩაიდენდა, ან არ იტყოდა რაიმე სისულელეს. სერგოს ამის იმედი ჯერ კიდევ ჰქონდა და ამიტომაც ხმამაღლა ლაპარაკობდა ნომერში მყოფთა გასაგონად.

- მარტო ხარ გოგო?! - მიარტყა კარს ფეხი მეორე ფემინისტმა ქალმა.

- ჰო-ო-ო!

- ტყვანის?! - ჩაეკითხა ფემინისტი ქალი.

- ეგრე იყოს! - უპასუხა ბანჯგვლაეთერომ.

- ეხლა არ დამაგიჟებინო! - არ ეშვებოდა ფემინისტრი ქალი, - ტყვანის კარგი!

- ეგრე იყოს! - შეიწყნარა კარგის გინება პატარძალმა.

პირველი ფემინისტი ქალი ამ დროს ვირთხასავით დაძვრებოდა ოთახში და ყველგან სამხილს ეძებდა. მას მეზღვაურებიც ეხმარებოდნენ, ოფიცერი სკამზე იჯდა განცხრომით, ხოლო დოლრიალა ჟანდარმი დარბაისელი კაცის იერით საჯდომს იფხანდა.

- ეს რა არის?! - იკითხა პირველმა ფემინისტრმა ქალმა და ნაგვით გატენილი ურნიდან ახლადნახმარი პრეზერვატივი ამოქექა, - რა პონტია?! - ძალი-

ან მზაკვრულად იკითხა მან.

აბანოში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ქალს მარჯვენა ხელის საჩვენებელი და ცერი თითების მოვლილი, გრძელი ფრჩხილების ბოლოებით ზიზღით ეჭირა აშკარად ახლადნახმარი, შეშუპებული, ნოტიო პრეზერვატივი. მან სიგარეტის კოლოფიდან, რომელიც მარცხენა ხელში ეკავა, ტუჩების ვნებიანი მოძრაობით სიგარეტი ამოიღო, კოლოფი მხარზე გადაკიდებულ ხელჩანთაში ჩააგდო, მონახა სანთებელა, სიგარეტს ელეგანტურად მოუკიდა, სანთებელა შეინახა, წელში გაიმართა და ნაგვის ყუთს კრა ფეხი. ნაგვის ყუთი გადაბრუნდა და იქიდან ნაგავთან ერთად უამრავი ნახმარი პრეზერვატივი გადმოცვივდა. ქალმა პრეზერვატივი საზეიმოდ ზეალმართა და მრისხანედ იკითხა:

- ეს რა პონტია?!

სიჩუმე არავის დაურღვევია. არავის, რადგან მეაბანოვეებმა ენები გადაყლაპეს, ხოლო რეიდის მონაწილეები სიბრაზის რისხვად გარდაქმნის პროცესში იყვნენ ჯერაც.

- რა პონტია, მე თქვენ გეკითხებით, თქვენი?! - დაიყვირა ქალმა კიდევ უფრო შეუბრალებლად.

უკვე კარგად ნასვამ ზარღრას ესმოდა ახლად მოსული ხალხის ხმები და ამიტომაც, ჯერ ისევ სდუმდა, მაგრამ ეს ხმამაღალი შეძახილი "რა პონტია?!" როგორღაც გამაღიზიანებლად ჩაესმა მის ყურს. ის კართან მივიდა და ღრიჭოდან უცხო ქალი დაიხანა. ამ ქალს, ისევე როგორც მეორეს, ეცვა მოხდენილი ფემინისტური უნიფორმა - თეთრი ფერის ბლუზი, შავი ფერის კოლგოტკები, ელეგანტური კოსტიუმჩიკი და ძალიან მოკლე, გამომწვევი იუბკა. მას ხელში ეჭირა ახლადნახმარი, შეშუპებული, ნოტიო პრეზერვატივი და გაჰყვიროდა:

- რა პონტია?!

ვიქტორ ნაზრაძეს, რა თქმა უნდა, უცნაურად ეჩვენა კარის ღრიჭოდან ასეთი, ერთი შეხედვით წესიერი მანდილოსნის დანახვა ნახმარი პრეზერვატივით ხელში, მაგრამ იგი კიდევ უფრო გააკვირვა იქ მყოფ მამაკაცთა დუმილმა და მათმა მოუფიქრებლობამ. მან ხელები პირზე რუპორივით მიიბჯინა და ყველას გასაგონად დაიძახა, მსგავსი შეკითხვის მართლაც რომ ყველაზე უფრო ლოგიკური და შესაფერისი პასუხი:

- კუტუს პონტია!!!

- რა-ა-ა?! - იკითხა დაბნეულმა ქალმა და აქეთ-იქით მიმოიხედა.

- რა და, კუტუს პონტია ქალბატონო, კუ-ტუ-სი!!! - დაუმარცვლა ვიქტორმა ბოლო სიტყვა.

აი, აქ კი ატყდა ერთი ამბავი. წყალქვეშა ოფიცერს, მის მეზღვაურებს, ჟანდარმს, აბანოს თანამშრომლებს და მგონი თვით ფემინისტ ქალებსაც აუტყდათ სიცილი. ისინი ცდილობდნენ ამ სიცილის შეკავებას, მაგრამ ერთმანეთის შემყურეთ კიდევ უფრო მეტად ეცინებოდათ. ყველანი ყველაფერს მიხვდნენ. ნომერში იყო შეშვებული არამარტო ქალბატონი, არამედ ვაჟბატონიც - მთვრალი წყვილი. მოსულთა სიცილი კარგის მაუწყებლად ენიშნა სერგოს. ამან ცოტათი კი დააიმედა, მაგრამ ყველაფერი ჯერ მაინც ძალიან გაურკვეველი იყო და მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე შეუძლებელი გახლდათ რაიმე პროგნოზის გაკეთება.

- გააღეთ კარი! - ბრძანა წყალქვეშა ოფიცერმა და კარზე კატეგორიულად დააკაკუნა.

- მამი, აკაკუნებენ! - გაისმა კარსიქიდან.

- გააღეთ-მეთქი კარი, ძაღლიშვილებო!!! - აღრიალდა ოფიცერი.

- მაიცა შვილო, მე გავაღებ! - კარსიქიდან დამცინავი პასუხი და ხითხითი გამოდიოდა.

- შეამტვრიეთ კარი! - ბრძანა ოფიცერმა, - დააპატიმრეთ ესენი! კედელთან ყველა! - ყვიროდა ის, - სახით კედლისკენ!

მეზღვაურები კარის შემტვრევას შეუდგნენ, წყალქვეშა ოფიცერი და მუნიციპალური ჟანდარმი კი დაპატიმრებულ აბანოს თანამშრომლებს დაუბრუნდნენ.

- პრ-რიტონი გამიხსენი აქ, შე თავგასიებულო რეგვენო?! - მიაძახა მან სერგოს. - მოიცა, ჯერ ზნეობრივებს გამოვუძახო! - ოფიცერმა მჯიღი მოუღერა მეაბანოვეს, მერე გადაიფიქრა, ქამარზე ჩამოკიდებული კაბურა გაიხსნა და იქიდან ეშმაკის მაშხალების დიდი სასიგნალო პისტოლეტი ამოიღო.



ყველასათვის მოულოდნელი რამ მოხდა მაშინ. ფეთრებში გამოწყობილი მეაბანოვე სერგო უეცრად ზორბა კაცნახევარა ეშმაკად გადაიქცა. დიახ, ეს უბრალო მეაბანოვეც ღორმენის ერთ-ერთი სახეცვალება იყო და ახლა ჯოჯოხეთის ელიტარული ეშმა აბსოლუტის ელფერით წარუდგა იქ მყოფთ. სწორედ ისეთი, როგორებსაც ხატავენ - ბალნიანი, შავდინგა, ტლანქჩლიქა და რქოსანი. მან საშინელი ძალით შემოჰკრა კვერთხისმპყრობელი მჯიღი გამოლაყებულ თავში წყალქვეშა ოფიცერს. ოფიცერი მოცელილივით დაეცა სველ, ჭუჭყიან იატაკზე და ხელები ინსტინქტურად თავზე წაივლო. ღორმენმა იქმყოფთ ავისმომასწავებელი მზერა მიაპყრო და ჯოჯოხეთური სისწრაფით ამოქმედდა. მან გიშრის მძიმე კრიალოსანი პირდაპირ სახეში ესროლა ერთ-ერთ ფემინისტ ქალს და ძალიან სერიოზულად გაუტეხა მას თავი, ხოლო სამკაპა კვერთხი ჯერ მტკივნეულად უჩხვლიტა ჟანდარმს, შემდეგ კი რამდენჯერმე გამეტებით ჩასცხო კისერსა და ბეჭებში სიბრტყით. ამ დროს ფემინისტმა ქალმა, სწორედ იმან, სანაგვეში პრეზერვატივები რომ იპოვა, ძირს დავარდნილ სასიგნალო პისტოლეტს ხელი დაავლო და გასასვლელისკენ გაიქცა. ღორმენმა სამკაპი წაქცეულ ჟანდარმს ზედ დაანარცხა, ფემინისტ ქალს გამოუდგა და მაშინ დაიჭირა, როცა ეს უკანასკნელი უკვე აბანოს გარეთ სასიგნალო პისტოლეტის ჰაერში გასროლას ცდილობდა. ღორმენმა მას ცალი ხელი თმებში წაავლო და თავი მოუგრიხა, ხოლო მეორეთი პისტოლეტიანი ხელი ჩამოაწევინა ძირს. პისტოლეტი წაართვა, მუჯლუგუნების რტყმით უკან, აბანოში შეათრია, კიბეებზე ჩააგორა და სანამ მეაბანოვის ოთახამდე მიიყვანდა, რამდენჯერმე გამეტებით მიარეხვებინა თავი კედელზე. ამ დროს აბანოს მუშაკები, ორი ცეცხლფარეში და მექისე, ისინიც სახეცვალებაში მყოფი ეშმაკები, გონს მალე მოეგნენ და უკვე შეშინებულ მეზღვაურებს სერიოზულად შეუტიეს, მაგრამ როცა უკან მობრუნებული, უჩვეულოდ განრისხებული ღორმენი დაინახეს, ისინიც კი შეცბნენ და უკან-უკან დაიხიეს. ღორმენმა მხოლოდ ერთხელ გახედა გულგახეთქილ, საწყალ ახალგაზრდა მეზღვაურებს და ხელიც არ გაუსვრია მათზე. ის გინებით მიუტრიალდა საშხაპე ნომერს და თავისი უზარმაზარჩლიქიანი წიხლით კარი ჩარჩოიანად ჩამოაგდო.

ღორმენი ნომერში შეიჭრა.

მას სურვილი ჰქონდა, დაუყოვნებლივ დატაკებოდა ზარღრას, მაგრამ ანაზდად ზარღრას ჟესტმა შეაჩერა. ზარღრამ ანიშნა, მომისმინეო და ღორმენიც მოულოდნელობისაგან კი არ შედრკა, წუთით შეყოვნდა - დააცადა თავის მორჩილს, ეთქვა სათქმელი. ზარღრა ბარიკადივით ჩადგმულ ხის ტახტს უკან იდგა ხელში რეზინის ჩაქუჩმომარჯვებული და საბრძოლველად ემზადებოდა. მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდს უმშვენებდა მისი თუმც ახლად გაცნობილი, თუმც საშინლად მახინჯი, მაგრამ ერთგული სატრფო - ჰერმაფროდიტი ბანჯგვლაეთერო, რომელიც ღვინის ბოთლის ყელს ბღუჯავდა ნერვიული თითებით.

კაცნახევარა ეშმაკის ხილვით და მასთან ბრძოლის შიშით ხელად გამოფხიზლებული წყვილი უკვე აღარ იყო ხუმრობისა და მაიმუნობის ხასიათზე.

- ღორმენ, მე შენი მორჩილი ვარ - ზარღრა! - დაიწყო ზარღრამ, - მე ვიცი, რომ დამნაშავე ვარ და უნდა დავისაჯო! მე მესმის, რომ დავაშავე, მაგრამ შენც ხომ იცი, რომ სხვა გზა არ მქონდა! ხომ იცი, რომ არსად მიმესვლებოდა და ამიტომაც ჩავიკეტე აბანოს ნომერში. ნუ დაგავიწყდება ისიც, რომ ეს შენ მირჩიე, როცა ბოზების "სტაიანკაზე" ჩემთვის საცოლეს ვეძებდი! მართალია, მაშინ ისიც მითხარი, შენი თავი შემახსენეო, მაგრამ ეს აღარ გავაკეთე, რადგან შენ მე ისედაც შემიშვი ნომერში, ხოლო შემდეგ დაღლილი და სასმელს გადაჩვეული ადვილად დავთვერი სითბოსა და ორთქლში. ახლა ერთს გთხოვ მხოლოდ - ნურაფერს ერჩი ჩემს სატრფოს, ის ცხოვრებაში ისედაც დაჩაგრულია და თანაც, რაც მთავარია, ბოლომდე ვერ უწევს თავის თავს კონტროლს. ყველაფერი ჩემი ბრალია და მე დამსაჯე! ხოლო თუ მაინც გსურს, რომ მასაც აწყენინო, მაშინ, ჯანი გავარდეს, შეგებრძოლები! ოღონდ მომეცი საშუალება, საცვალი მაინც ჩავიცვა, რადგან ალბათ, არც შენ გიყვარს უნიფხვო კაცებთან ჩხუბი!

ღორმენი მოტრიალდა, საკიდიდან ზარღრას საცვალი ჩამოხსნა და მიუგდო. ზარღრამ ფრთხილად აიღო სველი, ჭუჭყიანი იატაკიდან საცვალი, რეზინის ჩაქუჩი ხის ტახტზე დადო და ძალიან ფრთხილად ჩაყო ცალი ფეხი საცვლის ტოტში, მერე მეორე ფეხიც ჩაყო და ის იყო, უნდა ამოეცვა, რომ ამ დროს ღორმენმა კამარა შეჰკრა და თავისი სქელი, ტლანქჩლიქა ფეხებით ზარღრას გულმკერდი და მუცელი დაუნდობლად ჩაუნგრია. მან ჯერ მუცელში ჩასცხო მარცხენა ფეხი და თითქმის იმავ წამს გულმკერდში მარჯვენა. მესამე წიხლი თავის ქალაში მოხვდა ვიქტორს, რამაც უკვე იატაკზე დაცემამდე დაარგვინა გონი. ღორმენმა მარდი ნახტომით ზარღრას თავიდან ბანჯგვლაეთეროს კისერზე გადაინაცვლა, ბარძაყები გირაგის ტუჩებივით მაგრად მოაჭდო და ორი საშინელი ძალით მოქნეული მჯიღით ყვრიმალები ჩაუმტვრია პატარძალს. ძირს გადმოხტა, დასისხლიანებულ ზარღრას დააცქერდა და უთხრა:

- მიყვარს უნიფხვო კაცებთან ჩხუბი!

ამის შემდეგ კიდევ ერთი-ორჯერ ჩასცხო თავის მორჩილს წიხლი, მერე ღრიალით გავარდა დერეფანში და იქ მყოფ რეიდის მონაწილეებს დაერია. ყველას მოხვდათ: წყალქვეშა ოფიცერს, მის მეზღვაურებს, მუნიციპალურ ჟანდარმს, ქალებს, განსაკუთრებით იმას, სასიგნალო პისტოლეტიდან რომ ლამობდა გასროლას. მოხვდათ, აგრეთვე, ღორმენის დამქაშებსაც, სახეცვალებაში მყოფ ეშმაკებს - ცეცხლფარეშებსა და მექისეს. მათ იმიტომ მოხვდათ, რომ ისინი ღორმენს მორეიდეების ცემაში ეხმარებოდნენ და ამის გამო ერთი-ორჯერ ფეხებში გამოებლანდნენ.

- რა, აჯანყებას მიწყობთ ბოზებო!!! - დაიღრიალა ღორმენმა, - თუ აღარ გახსოვთ, ვის ხელში ხართ და ვინ არის თქვენი პატრონი?! დაგავიწყდათ, ვინც გხმარობთ და გაჭმევთ! გაგახსენებთ! მოიცათ, გა-გახსენებთ!

დიდი კაცნახევარა ეშმაკი ადგილზე არ ჩერდებოდა და ყველას და ყველაფერს ურტყამდა დამანგრეველ წიხლებს.

- სიგნალის მიცემა მომინდომეს! რეიდი მომიწყვეს! მე თქვენ გიჩვენებთ რეიდს! მე თვითონ მივცემ სიგნალს! მე თვითონ გავისვრი მაშხალას და ნეტავ ერთი მობედოს ვინმემ! - მძღნერსა და ერთმანეთში აგზელთ ყველას!

ღორმენმა სასიგნალო პისტოლეტი ხელში მოიმარჯვა, ოფიცერს ჩლიქით მოუსინჯა ჯიბეები, დაიხარა, ორი სასიგნალო ვაზნა ამოუგლიჯა სადღაც შიგნიდან და გასასვლელისაკენ გასწია. აღარავის მორიდებია, გარეთ პირდაპირ ეშმაკის სახით გავიდა, სასიგნალო პისტოლეტი გააჩხაკუნა და ჰაერში ეშმაკის მაშხალა გაისროლა. შემდგომ ამისა მან პისტოლეტი გახსნა, გასროლილი მასრა ახალი ვაზნით შეცვალა და კიდევ ერთხელ გაისროლა, ეს ყველაფერი მესამედაც გაიმეორა და უკან აბანოში შებრუნდა.

- არ ჩაკეტოთ კარი! - ბრძანა მან, - ნეტავი ერთი მოვიდეს ვინმე და გააჩმახოს! - ვერ მშვიდდებოდა ის.

- ნუ მოვიქცევით გამომწვევად ღორმენ! - სთხოვა მას ერთ-ერთმა ცეცხლფარეშმა.

ღორმენმა მას ჩასისხლიანებული თვალებით აჰხედდახედა.

- არ მოვიქცევით გამომწვევად კაჭიჭ! - უპასუხა ბოლოს.

ღორმენის რანგის სხვა ეშმაკს ვერ შებედავდა კაჭიჭი, ან რომელიმე მისნაირი რიგითი ეშმაკი რჩევის მიცემას, მითუმეტეს ასე გაბრაზებულს, მაგრამ ეს სხვა იყო. ღორმენი ეშმაკებს უყვარდათ. ის გულისხმიერად ეპყრობოდა ყველას: ანცებს ეანცებოდა, ეშმაკებს ეეშმაკებოდა, ჭიდაობის მოყვარულ მუხისთავკუნძა ქაჯებს ეჭიდავებოდა. უყვარდა ძალიან ღორმენს პატარა ეშმაკუნებთან შაირობა, სადაც ხანგრძლივი პაექრობის შემდეგ, რასაკვირველია, დამარცხებული გამოდიოდა, რითაც აღტაცებაში მოჰყავდა როგორც პატარა ეშმაკუნები, ისე მათი მშობლები. კიდევ, უყვარდა ღორმენს მომხიბვლელი ძუ ეშმაკების შეცდენა - ნამდვილი მუსუსი იყო, მაგრამ ამისათვის არ ძრახავდნენ ეშმაკები, რადგანაც, როგორც ცნობილია, ძუ ეშმაკები ყველანი ცოტათი ბოზები არიან, ისევე, როგორც ქალები საერთოდ.

ღორმენი თუმც ცრუ, მაგრამ ბრძენი არსება იყო. ის ბევრს თმობდა და ამის წყალობით ათმაგს იგებდა.

- ეხლა უნდა მოვიფიქრო, თუ როგორ დავსაჯოთ დამნაშავენი, - წარმოთქვა ღორმენმა, - მე სხვათა შორის თქვენი რჩევაც მჭირდება, შენ რას იტყვი ჩონთა? - შეეკითხა ღორმენი ერთ-ერთ ცეცხლფარეშს.

ჩონთა ეშმაკი ეშმაკი იყო და დაძაბულობის განმუხტვის მიზნით ასეთი წინადადება შემოიტანა:

- მოდით, კაცებს სამ-სამი ლიტრი წყალი შევუყვანოთ ოყნით და შემდეგ ნემსითა და ძაფით ამოვუკეროთ, ხოლო პატარძალი და ის ორი ქალი რიგ-რიგობით წრეში გავატაროთ! მერე კი ყველანი ვცემოთ!

- ჩინებული აზრია, - მოიწონა წინადადება გამხიარულებულმა ღორმენმა, - მაგრამ ისინი რომ სხვადასხვა ხარისხის დამნაშავეები არიან?! - ზოგი მეტად არის დამნაშავე, ზოგიც ნაკლებად!

- ზოგი ბუზი ბზუისო, ზოგიც კიდევ სტყუისო! - მოულოდნელად ჩაერია ლაპარაკში როხროხა და დოღრიალა მუნიციპალური ჟანდარმი.

ეშმაკებმა მას ზიზღით შეხედეს, მაგრამ არაფერი უთხრეს, ისე განაგრძეს ბჭობა.

- ერთნაირად მათი დასჯა მართლაც არ იქნება, - თქვა ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ ჩონთამ, - ეს უსამართლობაა! ამიტომ, მოდით, ასე მოვიქცეთ, სიძეს გავუკეთოთ ოთხი ლიტრი წყალი სამის მაგივრად, ხოლო პატარაძალი ორჯერ ვცემოთ, ანუ ამ სისტემით ვიმოქმედოთ: ვცემოთ-ვიხმაროთ-ვცემოთ!

- კარგი აზრია! - შეაქო ღორმენმა წინადადების ავტორი, - ყოჩაღ ჩონთა! თქვენ რას იტყვით ბატონებო?!

მექისე ებრუხმა ხელი ასწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ბრძანეთ გეთაყვა! - შესთავაზა ღორმენმა სიტყვა.

- საქმე იმაშია, რომ აი, ამ ჟანდარმს, მართალია, დიდი ბრალი არ მიუძღვის თქვენი უწმინდურობის წინაშე, მაგრამ ის ძალიან ზორბა კაცია და საჯდომიც შესაბამისად ისეთი დიდი აქვს, როგორც ჩრდილოეთ-ამერიკულ გამოქვაბულის დათვს გრიზლის, ამიტომ წინადადება შემომაქვს, მასაც, ისევე, როგორც სიძეს, გავუკეთოთ 4 ლიტრი წყალი!

- არა, - თქვა ღორმენმა, - ოყნირებული წყლის ლიტრაჟი განისაზღვრება არა საჯდომის მოცულობით, არამედ დანაშაულის სიმძაფრით, ამიტომ მე კატეგორიული მომხრე ვარ სამი ლიტრისა!

- კარგით ბატონო, როგორც გენებოთ, თუმც მე მაინც მიმაჩნია, რომ სამი ლიტრი მაგისთვის ერთი ყლუპია! აქ კიდევ გვყავს ჩვენ ერთი დამნაშავე, აი, ეს ქალი, ნახმარი პრეზერვატივები რომ იპოვა და სასიგნალო პისტოლეტის გასროლასაც რომ ლამობდა, ეს როგორღა დავსაჯოთ?! - არ ცხრებოდა ებრუხი.

- ო-ო-ო, სულ გადამავიწყდა, - თქვა ღორმენმა, - ეგ მართლაც საგანგებოდ დასასჯელია, მაგას მოუტანეთ ნაგვის ვედრო თავისი პრეზერვატივებიანად და სულ შეჭამოს ნაგავთან ერთად. მერე კი რამდენიც უნდა, იმდენი იძახოს, "რა პონტია და რა პონტია", რა პონტია და კუტუს პონტია - ისე კარგად კი უთხრა იმ ვირისთავმა ზარღრამ, ჰი-ჰი!

ეშმაკები შეთანხმდნენ და თათბირიც ამით შეწყდა.

- წადი ახლა შენ ებრუხ და იყიდე ოყნა! - უთხრა ღორმენმა ებრუხს.

- სად ვიყიდო კაცო ოყნა ამ შუაღამისას?! - იყვირა ებრუხმა.

- რა დროს შუაღამეა, ჯერ ადრეა!

- მერე რა, მაღაზია დაკეტილია!

- სადღეღამისო აფთიაქში იყიდი და ახლა ბევრს ნუ აჩმახებ, თორემ ერთ სამ ლიტრს შენც გაგიკეთებ, იცოდე! - გაბრაზდა ღორმენი.

- მერე მორეიდეები რომ გადამეყარონ?!

- მორეიდებს ეტყვი, რომ საკუთარი ჯანმრთელობისთვის გინდა!

- მაშინ გამომიწერე რეცეპტი! - თქვა გაბრაზებულმა ებრუხმა, რომელსაც ძალიან არ უნდოდა აფთიაქში წასვლა და ფეხს ითრევდა.

ღორმენმა გამოუწერა რეცეპტი. ებრუხმა რეცეპტი ჯიბეში ჩაიდო და წავიდა.

- დიდი ოყნა იყიდე, გაიგე?! კედელზე ჩამოსაკიდებელი! - მიაძახა უკვე მიმავალს ღორმენმა.

- ზოოვეტში უნდა გაგეშვა, - უთხრა კაჭიჭმა ღორმენს, - იქ უფრო დიდები იყიდება ცხენებისათვის!

- მიდი დაეწიე და უთხარი! - გაახარა ღორმენი ახალმა რჩევამ.

- მე არ დამიჯერებს, წადი და შენ თვითონ უთხარი, - უპასუხა კაჭიჭმა.

ღორმენი ებრუხს გამოეკიდა და უკვე ქუჩაში მიმავალს მიაძახა:

- ბიჭო, ზოოვეტში წადი, ზოოვეტში, იქ უფრო დიდები იყიდება ცხენებისათვის, - კონსკი, კონსკი!

ებრუხმა ნაბიჯს აუჩქარა და კუთხეში მიმალვა სცადა, მაგრამ ღორმენი კატეგორიული იყო:

- გესმის შენა?! დადექი მანდ და მომისმინე, რასაც გეუბნები: ზოოვეტში წადი და იყიდე დიდი კონსკი ოყნა ცხენებისათვის! გაიგე?!

- გავიგე!

- რა ქენი, უთხარი?! - კითხა კაჭიჭმა.

- ე-ე-ე, კი ვუთხარი, მაგრამ რა ვიცი ერთი... - უპასუხა უხასიათოდ ღორმენმა.

- გიჟი დაასაქმე და შენც თან მიჰყევიო! - ჩაერია ისევ ლაპარაკში ჟანდარმი.

ეშმაკებმა მას შეხედეს.

- არაუშავს, - დაამშვიდა კაჭიჭმა ღორმენი, - თუ პატარა მოიტანა, ორი-სამი ზახოდით გავუშვებთ, ეგ არაფერია!

- ზღვა კოვზით დაილიაო! - წარმოთქვა ანდაზებისა და აფორიზმების მოყვარულმა ჟანდარმმა ისევ და გაიჭიმა.

ღორმენმა მას ზიზღით აჰხედ-დახედა და "ვაი, შენს პატრონსო" უთხრა. ჟანდარმი კიდევ უფრო გაიჭიმა.

- მიდი ეხლა, კარი ჩაკეტე და მაგ ქალს ნაგვის ვედრო წინ დაუდგი. სულ შეაჭამე! იცოდე, ერთი პრეზერვატივიც რომ დარჩეს შეუჭმელი, ვაი შენი ბრალი! მე კი წავალ მანამდე, პატარძალ ბანჯგვლაეთეროს ვცემ!

- კარგი! - უპასუხა კაჭიჭმა და ფემინისტ ქალს წინ ნაგვის ვედრო დაუდგა.

ღორმენმა თავისი გიშრის კრიალოსანი იატაკიდან აიღო და ნომერში შევიდა.

ბინძურ იატაკზე ეგდო ზარღრა. საცვალი, რომლის ჩაცმაც ვერ მოასწრო, მხოლოდ მუხლებს უფარავდა. პირველი ორი გამეტებით დარტყმული წიხლი ძალიან მძიმედ მოხვედროდა. ახლა მუცლის პლევრაგახეთქილს იქიდან საშინელი თიაქარი გადმოსვლოდა, ჩანგრეული ქონდა, აგრეთვე, გულმკერდის ძვლები. იწვა და კვნესოდა. გონსმოსული იყო. ღორმენმა მას ზედ გადააბიჯა და კუთხეში მიყუჟულ პატარძალთან მივიდა.

- ყველაფერი შენი ბრალია, - დაუყვირა მას, - ყველაფერი ქალების ბრალია!!!

მერე ქეჩოში ხელი წაავლო, ხის ტახტთან მიიყვანა, მუხლებზე დაიწვინა და უზომოდ მძიმე კრიალოსნით დაუწყო ცემა.

ამასობაში კაჭიჭი ზურგსუკან ხელებგადაჯვარედინებული ბოლთას სცემდა დერეფანში და პატარა სკამზე მჯდომ ფემინისტ ქალს სთავაზობდა შეეჭამა ჭუჭყიანი პრეზერვატივები. ქალი ტიროდა. უარზე იდგა. ლამაზი იყო. მოსწონდა კაჭიჭს... და, ამიტომაც ვერ აძალებდა გვარიანად.

- შეჭამე, შეჭამე, - ეუბნებოდა მას კაჭიჭი, - შეჭამე თორემ არ ვიცი რას გიზამ!

- არ შემიძლია! - ტიროდა ქალი.

- შეჭამე, შეჭამე, როგორ არ შეგიძლია! - პასუხობდა კაჭიჭი.

- ვერ შევჭამ! - ტიროდა ქალი.

- რატომ ვერ შეჭამ, ძალიან გემრიელია! - აქებდა პრეზერვატივებს კაჭიჭი, - ცოტა მაინც შეჭამე, სანამ ღორმენი გამოვა, თორემ მე დამიჭოჭავს!

ქალი ტიროდა. ისიც გრძნობდა, რომ მოსწონდა კაჭიჭს და ამიტომაც, პატარა ხის სკამზე მჯდომი ხან ფეხს გამოაჩენდა, ხან ძუძუს ნაწილს, რათა როგორმე თავი დაეძვრინა ამ სამარცხვინო კვებისაგან.

- ერთი ცალი მაინც გასინჯე! - ეხვეწებოდა კაჭიჭი.

- არ შემიძლია! - ტიროდა ქალი.

მოულოდნელად გარეთა კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

- რომელი ხარ! გასძახა ჩონთამ, - ებრუხი ხარ?!

- კიკი ვარ! კიკი ვარ! გააღე ჩონთა! - გაისმა გარედან. ჩონთამ კარი გააღო, მაგრამ თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, რომ აბანოში რაღაც ძაღლთავა პავიანის მაგვარი ლანდი შემოიჭრა და კიბეებზე ჩაირბინა. კაჭიჭი ლანდს გამოუდგა. ლანდმა კიბეები ჩაირბინა, საშხაპე ნომერში შეძვრა და ღორმენის წინ მუხლებზე დაეცა.

- რად მცემთ მამიკო! - ქვითინით მიმართა მან ღორმენს, შემინდეთ საყვარელო!

ღორმენმა დასარტყმელად შემართული ხელი გაოცებულმა ძირს დაუშვა. მან თავისი უკანონო შვილი, მოხდენილი ძუ ეშმაკი კიკი შეიცნო!

- კიკი?! - გაიოცა ლორმენმა, - შენ აქ რას აკეთებ ჩემო უმანკო გოგონავ?!

- როგორ თუ რას ვაკეთებ მამიკო, - უპასუხა კიკიმ ტუჩაბზუებით, - დღეს ჩემი ქორწილია, შენ კი მცემ!

- ამიხსენი, რა ხდება ჩემო გოგონა! - იყვირა ლორმენმა და თავისი გოგონა გულში ჩაიკრა.

- პატარძალი ბანჯგვლაეთერო მე ვარ, შენი პირმშო, შენი კიკი! - ჩაეხუტა მამიკოს კიკი.

- როგორ, - იყვირა ლორმენმა, - მაშ ეს ბანჯგვლიანი ბანჯგვლაეთერო შენი ერთ-ერთი სახეცვალებაა?! ო-ო-ო ურჩხუ-უ-ულ! მე კი კინაღამ მოვკალი ჩემი ნაბიჭვარი გოგონა, ჩემი კიკი! შენ კი გიკბინა ყველაზე უფრო ბრაზიანმა გველეშაპმა ტრაკზე, შენა! - ამ სიტყვებზე ლორმენმა თავისი უკანონო ქალიშვილი კიდევ ერთხელ ჩაიკრა გულში. მერე გაათავისუფლა და ჰკითხა:

- კი მაგრამ შენ, ჩემი ნაბუშარი, ამ უნიფხვო არამზადას გინდა გაჰყვე?! - ეს ხომ ჯერ მხოლოდ მორჩილია, თანაც ასეთი ურჩი!

კიკი დასერიოზულდა.

- ჯერ ერთი, ეს ხანმოკლე ქორწინებაა, დროებითი. რაც შეეხება სასიძოს სიურჩეს - მარგალიტი ყოველთვის სჯობს ძნელად სახვრეტელი. აი, ნიფხავთან დაკავშირებით კი, მე მგონი, აქ უკვე თქვენ გამოიდეთ თავი ჩემო ულმობელო მშობელო ა-ჰა-ჰა-ჰა-ჰაა! - აქვითინდა კიკი.

- დამშვიდდი, დამშვიდდი, ჩემო უმწიკვლოვ! - შეწუხდა ლორმენი.

- ა-ჰა-ჰა-ჰა-ჰააა! - ტიროდა კიკი, - ო-ო-ჰო-ჰო-ჰოჰოოო! უ-უ□-ჰუ-ჰუ-ჰუუუ!

ლორმენი ფეხზე წამოდგა და მბრძანებლურად შემოჰკრა ტაში.

- შეწყდეს ყველა დამსჯელი ღონისძიება! ვაცხადებ საყოველთაო ამნისტიას! ყველასთვის ყველაფერი მიპატიებია! დღეს მე ჩემს გოგონას ვათხოვებ! ქორწილია! ქორწილია! ქორწილია!

გაკვირვებული შესცქეროდნენ ლორმენს მისი დამქაშები და დატყვევებული მორეიდეები.

- დღეს სტუმრები ხართ ყველანი ჩემი! ქორწილია! ქორწილი!

ლორმენმა იატაკიდან სასიგნალო პისტოლეტი აიღო, წაქცეული წყალქვეშა ოფიცერი ფეხზე წამოაყენა და, თბილად, როგორც საკუთარ შვილს, სთხოვა ამ პისტოლეტის ვაზნები მიეცა მისთვის. ამგვარი უბრალოებით აღფრთოვანებულმა, თვალებგაბრწყინებულმა ოფიცერმა კიტელი გაიხადა და ლორმენის წინაშე გულგაღეღილი წარსდგა. მას მკერდზე ორი პატრონტაჟი ჰქონდა გადაჯვარედინებული, ხოლო მესამე წელზე ერტყა სარტყელივით. სამივე პატრონტაჟი ეშმაკის მაშხალის მსროლი სასიგნალო ვაზნებით იყო სავსე. ოფიცერმა აღჭურვილობა მოიხსნა და ლორმენს დიდი პატივით გადასცა.

ალტაცებისა და აღფრთოვანებული მადლიერების ალი აგიზგიზდა ლორმენის თვალებში. მან იცოდა, თუ როდის იყვნენ ადამიანები მასთან გულწრფელნი. ყველაზე მეტად აფასებდა იგი მათში გულითადობას, რამეთუ თვლიდა, რომ სწორედ ეს გრძნობა ძალიან აკლდათ ადამიანებს.

მან როგორც განძი, ისე გამოართვა ოფიცერს ვაზნებით დახუნძლული პატრონტაჟები, პატივით აისხა ისინი, დაენახვა ამგვარად იქმყოფთ სახეგაბრწყინებული და რესპუბლიკის წყალქვეშა



ფლოტის ოფიცერი შვილივით ჩაიკრა მკერდში. შემდგომ ამისა, სასიგნალო პისტოლეტით ხელში გარეთ, ქუჩაში გავიდა, რამდენჯერმე გაისროლა ეშმაკის მაშხალა ცაში და შემაძრწუნებლად დაიღრიალა...

კაჭიჭი და ებრუხი უკვე აღარ იყვნენ ცეცხლფარეშების სახეცვალებაში. ამ საგანგებო შემთხვევის გამო ორივენი აბსოლუტში ბრძანდებოდნენ.

ლორმენი ფემინისტ ქალს მიეახლა, ჯერ კიდევ მის წინ მდგომი ნაგვის ვედრო კაჭიჭს შეაჩეჩა, მოჩვენებითი სიბრაზით რაღაც დაიბურტყუნა და ანიშნა ახლავე მოაშორე აქედანო. კაჭიჭმა ასევე ნახევრად მოჩვენებითი ღრმა წუხილითა და შეშფოთებით სტაცა ხელი ნაგვის ვედროს, გააქცუნა და სადღაც დამალა. ლორმენმა ქალი ფეხზე წამოაყენა, მის გრძელ, ნატიფ თითებს თავისი ტახის დინგით გაელამუნა და წუხილით ითხოვა პატიება:

- უმორჩილესად გთხოვთ, მაპატიოთ, ქალბატონო!

- რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, - იცრემლებოდა ქალი, - ეს, ჩემი საქციელი იყო არაეთიკური, სამწუხაროდ, მე არ ვიცოდი, რომ თქვენ ქალიშვილს ათხოვებდით. ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ ვწუხვარ მომხდარის გამო! უმორჩილესად გთხოვთ, მაპატიოთ და მიიღოთ ჩემი მოლოცვა! ბედნიერება და სიტკბო ნუ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს!

ამ სიტყვებზე ფემინისტმა ქალმა მოკრძალებით აკოცა ლორმენს ჯერ ერთ ლოყაში, მერე მეორეში, შემდეგ კი წამიერი ვნებით შეხედა მას, სავსე მკერდით მიეკრო და კბილებამდე ამოუწუწნა შავი დინგის ქვედა ნაწილი.

სწორედ ასეთივე გულითადი იყო მეორე ფემინისტი ქალიც. ისინი წურბელებივით აეკრნენ ლორმენს და იმ საღამოს ეს სამეული აღარ გაყრილა. ქალები იყვნენ სუფთანი, ჰყავდათ გავლენიანი ქმრები და როგორც მათი წრის ქალებს შეეფერებათ, თავს ირთობდნენ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობით, ისეთით, როგორიც არის, მაგალითად, ქველმოქმედება, ქალთა საკითხები, უმუშევართა დასაქმება ან თუნდაც ნიანგების დაცვა მდინარე ნილოსის სათავეებში. ესენი სერიოზული ქალები იყვნენ, ბანჯგვლაეთეროსავით პლასტმასის ბოთლებს კი არ აგროვებდნენ.

დათეთქვილ და დაფეხვილ ზარღრას მის გვერდით ჩაცუცქული უცნობი ძუ ეშმაკი ევლებოდა თავს, იქვე იყო ბანჯგვლაეთეროც, რომელსაც ძუ ეშმაკი, როგორც ექიმი თავის ასისტენტს, ისე იშველიებდა ვიქტორის მოვლაში. ისინი უსწორებდნენ მას ძვლებს, გასაოცარი სისწრაფით უშუშებდნენ იარებს და მალე სიძემაც თავს საგრძნობლად შეატყო უკეთესობა. ძუ ეშმაკმა ვიქტორის თავი მუხლებზე დაიდო და ალ[illegible]თ უთხრა:

- ნუ გეშინია ძვირფასო, მე კიკი ვარ, ლორმენის ქალიშვილი, მე და ბანჯგვლაეთერო ერთი და იგივე არსება ვართ. იგი ჩემი ერთ-ერთი სახეცვალებაა!

- ეს მართალია, თირო? - შეეკითხა ჯერ კიდევ სუსტად მყოფი ზარღრა ბანჯგვლაეთეროს.

- ჰო-ო-ო, - უპასუხა ჰერმაფროდიტმა.

- ახლა კი შენ ამომირჩიე და მე როგორი სახითაც გინდივარ, ისეთი მოვალ შენთან! - უთხრა კიკიმ.

ნაცემ, დათეთქვილ ვიქტორს ესიამოვნა ძუ ეშმაკის თბილი სიტყვები, ის მის კალთაში შეიყუჟა და კვნესით წარმოთქვა:

- მე აბსოლუტში მინდიხარ ჩემო გოგონი!

მაშინ კიკიმ ხელი გაუშვირა ბანჯგვლაეთეროს და ჰერმაფროდიტმაც დაპატარავება დაიწყო, მალე ის ერთი ბეწო წრუწუნასხელა გახდა. მაშინ ძუ ეშმაკმა თავისი სახეცვალება ხელზე დაისვა და უმტკივნეულოდ გადაყლაპა უმი სოკოსავით. ამის შემდეგ დაიხარა და ნაზად აკოცა სატრფოს ტუჩებში.

კიკი დობერმან პინჩერივით შავ-ყავისფერი იყო.



თუ ღორმენი, მისი მამა, ღორს წააგავდა, ეს არსება უფრო ძაღლისებური იყო. მას ქონდა ძაღლის (დობერმანპინჩერისებური) დრუნჩი, წვეტიანი ყურები და ერთგული თვალები. ფეხებიც (მამისგან განსხვავებით) ჩლიქების ნაცვლად ძაღლის თითებით უბოლოვდებოდა. კიკი ვერცხლისწყალივით სხარტი იყო და თხელბეწვა, ისეთი თხელბეწვა, როგორებიც, მაგალითად დოგები, ან, თუნდაც, იგივე დობერმანები არიან. სასიამოვნო იყო კიკის ნაზ, თითქოს კარაქით გაპოხილ ბეწვზე ხელის გადასმა. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო მისი მომცრო ძუძუების სურნელი. ის გამოირჩეოდა რაღაც განსაკუთრებული, ჯანმრთელი სიქორფით, როგორც კარგად მოვლილი, ახლად დაკრეფილი ბოსტნეული.

ამასობაში კარი გაიღო და საშხაპეში ხმაურით შემოვიდნენ მექორწილეები - ფემინისტი ქალების ვნებიანი ხელმკლავების ტყვეობაში მყოფი ბედნიერი მამა ღორმენი, სამხედრო-საზღვაო პატრული წყალქვეშა ფლოტიდან, ორი ეშმაკი და გახარებული დოღრიალა ჟანდარმი. შემოსულები გულითა და სულით ულოცავდნენ ახალგაზრდებს, აგრეთვე ღორმენს, ბედნიერ მამას, შვილის გაბედნიერებას. ამ მილოცვების პროცესში ღორმენმა თითით მოიხმო ჩონთა და რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. ჩონთამ თავი დაუკრა და დიდი მოწიწებით გავიდა დერეფანში. იქ მან უჯრიდან მობილური ტელეფონი ამოიღო, ნომერი აკრიფა და მთელი ქალაქის უწმინდურ ძალებს ამცნო ღორმენის ქალის გათხოვების ამბავი. ქალაქის ავი ძალები აფუსფუსდნენ. ჩონთა სატელეფონო საუბარს მორჩა და ისევ ძვირფას კამპანიას დაუბრუნდა.

ცრემლმორეული ღორმენი ლაპარაკობდა:

"ჩემო ძვირფასებო, ჩემო საყვარლებო! ახლა აქ უამრავი ხალხი მოვა! თქვენ აურაცხელ სიმდიდრეს ნახავთ, გულუხვად დასაჩუქრდებით და უზომოდ იმხიარულებთ ჩემს სასახლეში, მაგრამ ეს ყველაფერი წარმავალია ჩემო კარგებო. დღეს გვაქვს - ხვალ შეიძლება აღარც კი გვქონდეს! დღეს ვართ, ხვალ შეიძლება აღარც ვიყოთ! და ამიტომაც ახლა, ამ წუთას, ჩემი გოგონას ბედნიერების ღამეს, ნება მომეცით, ცოტა ხნით მაინც ვიყო ისეთი, როგორიც ვიყავი მე ადრე ბუნებით და როგორიც, პრინციპში ვარ დღესაც. მე ერთი უბრალო, გზაარეული მაწანწალა ვარ მხოლოდ, ცოდვილზე უცოდვილესი. რა არ გადამხდენია თავს, ჯოჯოხეთის უჟმურ ქვაბებშიც კი მოვხარშულვარ და იმ ქვაბებში მეც ბევრი მომიხარშია. ათასნაირად მიცხოვრია და არაფერი მითაკილია ისეთი, რასაც ყველაზე ულირსნიც კი არ კადრულობენ, ამიტომ მე გთხოვთ, მოდით, ვისაც რა შეგვიძლია, ვაჩუქოთ ჩვენს ახალგაზრდებს. მერე კი დავსხდეთ სტუმრების მოსვლამდე და იმით მოვილხინოთ, რაც გაგვაჩნია.

ღორმენმა ორი ბეჭედი წაიძრო თითებიდან და ნეფეს და დედოფალს გაუკეთა. შემდეგ ორივე გულში ჩაკრა.

ერთმა ფემინისტმა ქალმა ძვირფასი საყურეები მოიხსნა და საკუთარი ხელით გაუკეთა საპატარძლოს, შემდეგ ხელჩანთიდან ლამაზი და ძალიან ძვირფასი ოქროსპირიანი ავტოკალამი ამოიღო და სასიძოს გაუწოდა. შემდგომ ამისა, რამდენჯერმე გადაკოცნა საპატარძლო, ხოლო სასიძოს გულითადად ჩამოართვა ხელი და მასაც აკოცა.

მეორე ფემინისტმა ქალმა ლამაზი ბეჭედი აჩუქა კიკის, ხოლო ზარღრასთვის ხელჩანთიდან ულამაზესი სპილოსძვლისტარიანი პატარა დასაკეცი დანა ამოიღო და გულითადი ღიმილით ხელში ჩაუდო. მანაც რასაკვირველია გადაკოცნა ახალგაზრდები.

ეშმაკმა ჩონთამ ოქროს სამაჯური აჩუქა პატარძალს, ხოლო სიძეს მშვენიერი ვერცხლის ქამარი.

კაჭიჭმა საკუთარი რქები მოიმტვრია და ყანწებად უძღვნა შეყვარებულებს, რითაც საყოველთაო აღტაცება დაიმსახურა.

წყალქვეშა ოფიცერმა ლამაზი საზღვაო "კორტიკი" და 200 მანეთი აჩუქა ნეფე-დედოფალს.

მეზღვაურებმა თითო ლენტი მოიხსნეს მატროსული ქუდებიდან და პატარძალს გაუწოდეს, ხოლო სიძეს აჩუქეს მეზღვაურული თითბრის ბალთიანი ქამრები, რომლებზედაც ღუზა იყო გამოსახული. პატარძალმა სიამოვნებით ჩაიწნა მეზღვაურული ლენტები თმებში და ბედნიერმა ორივე მეზღვაური გადაკოცნა. სიძემ კი ქამრები წელზე შემოირტყა და ახლა უკვე წელი სამი ქამრით დაიმშვენა. მან ამ ქამრებში რეზინის ჩაქუჩი გაირჭო.

ზორბა, დოღრიალა ჟანდარმმა მოიხსნა თავისი ერთადერთი მედალი "ხანძრის დროს გამოვლენილი ვაჟკაცობისთვის" და პატარძალს ჩამოკიდა მოწიწებით, ხოლო ნეფეს აჩუქა ადრე ნაყიდი, დამწვარი თამბაქოს სუნით აქოთებული ალუმინის პორტსიგარი.

რა თქმა უნდა, ყველა ამ საჩუქარმა აღაფრთოვანა წყვილი. ამის შემდეგ პირდაპირ საშხაპეში გაიმართა პატარა ვახშამი: კაცები სველ იატაკზე დასხდნენ, ხოლო ქალებს გაზეთები და რაღაცეები დაუფინეს, ტახტის მაგვარი რამ საშხაპეს შუაში დადგეს, ზედ გაზეთები და რაღაცეები გადააფარეს, ხოლო ამ გაზეთებზე და რაღაცეებზე ზარღრას მიერ ნაყიდი პროდუქტები დაალაგეს - პური, მარილი, ყველი, მწვანილი, ძეხვი, მწნილი, იაფიანი ჩამოსასხმელი ღვინო და არაყი. ასეთ იმპროვიზებულ მაგიდას მიუსხდნენ ისინი და ტკბილად შეუდგნენ შარაფს. მათ პლასტმასის ჭიქები არ ყოფნიდათ და ამიტომაც მორიგეობით სვამდნენ ღვინოს. ღორმენმა დალოცა ახალგაზრდები და დიდი მადლობა გადაუხადა პირველ და მაშასადამე ყველაზე უფრო საპატიო სტუმრებს, აღნიშნა ის, რომ არსებული გარემოება, ეს ნოტიო კედლები, ნახევრად დამპალი ტახტი და პატარა ღარიბული სუფრა, "ეს პატარა სიყვარულები და ჩახუტებულობა" განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისთვის და ამის დასტურად თავის კაცობასა და მეობას იფიცებდა.

იმავდროს, პარალელურად, ქალაქშიაც ვითარდებოდა მოვლენები. ჯერ ერთი, ახლომახლო მყოფი მორეიდეები ტერიტორიას ვარცხნიდნენ და ცდილობდნენ იმის დადგენას, თუ საიდან იყო ნასროლი სასიგნალო მაშხალები, მეორეს მხრივ კი ქალაქში მყოფი უწმინდური ძალები ღირმენის აბანოსაკენ მიიკვლევდნენ სახიფათო გზას, რათა უკანონო შვილის გათხოვება მიელოცათ.

პირველი მორეიდეები უკვე მიადგნენ ღორმენის აბანოს. მათ კარზე დააბრახუნეს და შიგ შევიდნენ.

- რა ხდება აქ?! - იკითხა მორეიდეთა ჯგუფის უფროსმა.

- ქორწილია! ქორწილია! ქორწილია! - შეეგებნენ მას და მის ხალხს შეძახილებით, - ვინც მოვიდა გაუმარჯოს!!!

მორეიდეთა უფროსი გაკვირვებული და შემცბარი შეჰყურებდა ყველაფერ ამას. ეშმაკები მან ჯამბაზებად და ბეტმენებად მიიღო, ძუ ეშმაკის კოპწია კოსტიუმში გამოწყობილი პატარძალიც მექორწილეთა უცნაურ ახირებად შერაცხა, მაგრამ ვერანაირი ლოგიკური ახსნა ვერ მოუძებნა იმას, თუ რატომ იხდიდნენ ასეთი ერთი შეხედვით სერიოზული ადამიანები ბინძურ აბანოში ქორწილს. მით უმეტეს, რომ მათ შორის რეიდის მონაწილეთა ემბლემიანებიც ერივნენ. მორეიდეთა ჯგუფის უფროსი ხელში შეჩეჩებულ პლასტმასის ჭიქას ატრიალებდა და არ იცოდა, რა ექნა. ბოლოს მაინც დალოცა ახალგაზრდები და დალია. შემდგომ ამისა ღორმენს კითხა:

- ბოდიში, თქვენ ბეტმენი ხართ?

- დიახ, მე ბეტმენი ღორმენი ვარ! - კრიალოსნის თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშით უპასუხა ღორმენმა და ფემინისტ ქალს თვალი ჩაუკრა.

- სადმე ქუჩაში რომ შემხვედროდით, ვიფიქრებდი, რომ თქვენ ბეტმენი კი არა, ნამდვილი ეშმაკი ხართ.

- ეს იმას ნიშნავს, რომ მე ჯერ კიდევ ვართმევ თავს ჩემს მოვალეობებს! - უპასუხა ღიმილით ღორმენმა.

მორეიდეთა ჯგუფის უფროსს ის იყო, უნდა ეკითხა, ამ უჩვეულო ახირების მიზეზი, ანუ ის, თუ რატომ იხდიდნენ ქორწილს მაინცდამაინც ამ უსუფთაო საშხაპეში, მაგრამ არ დასცალდა. ამ დროს ზარზეიმით შემოვიდნენ პირველნი იმ მრავალ სტუმართაგან, რომლებმაც იცოდნენ, თუ ვინ იყო სინამდვილეში ღორმენი და რომლებიც წილნაყარნი იყვნენ მასთან - გრძელ უსასრულო რიგად, როგორც სქელი გველი, ისე მოიკლაკნებოდნენ: ხელისუფლებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, სამთავრობო ორგანიზაციებიდან, საქველმოქმედო ორგანიზაციებიდან, რელიგიური ორგანიზაციებიდან, მაფიოზური ორგანიზაციებიდან, სამინისტროებიდან, მეგობარი ქვეყნებიდან, მეგობარი ქვეყნების მეგობარი ქვეყნებიდან, მოუსვლელიდან, ჯანდაბიდან და დოზანიდან. რასაკვირველია, იყვნენ პრესისა და შოუ ბიზნესის წარმომადგენლები. თვალშისაცემი იყო აგრეთვე სიმრავლე პაპარაცებისა, მოუსვენარი და უპარდონო პაპარაცებისა, რომლებსაც, აბა მართლაცდა რა უნდა ელაპარაკო კაცმა.

ბრბოში გავრცელებული ვერსიის თანახმად, არაოფიციალური, მოულოდნელი ვიზიტით, ქალაქს თვით ყოფილი ტერორისტი, ხოლო ამჟამად კავკასიის ძლევამოსილი მეფე ღორმენ I სტუმრობდა. მეფე ღორმენს საყვარელ ქალაქში გადაეწყვიტა თავისი უკანონო ქალიშვილის გათხოვება. მეფე ღორმენს თავისი საყვარელი უკანონო ქალიშვილის მდაბიოზე გათხოვება გადაეწყვიტა და ამით სიხარულის ცრემლებს აღვრევინებდა უბრალო ხალხს. მათ შურდათ კავკასიელებისა და თავისთვისაც ასეთ ხელმწიფეს ნატრობდნენ და არა ისეთს, როგორიც თავად ჰყავდათ.

ქუჩაში შეკრებილი ბრბო ღრეობდა მეგობარი ქვეყნის მბრძანებლის მიერ მოწყობილ ზეიმზე. ისინი უფასო შამპანურს სვამდნენ, თავიანთ მეფეს აგინებდნენ. მხოლოდ ურცხვი პაპარაცები თუ აფუჭებდნენ ოდნავ გარემოებას, პაპარაცები, რომლებსაც, მართლაცდა, რა უნდა ელაპარაკო კაცმა.

ვაგზლის მოედანი სავსე იყო მორეიდეებით, ბეტმენებით, ჯამბაზებით, ეშმაკებით, ქაჯებით. ისინი საოცრად ჰგავდნენ ნამდვილებს. ჭარბად იყო იქ ფაეტონები, ეტლები და ავტოტრანსპორტი. ჟღერდა მუსიკა. დახეულ, მაგრამ სუფთა ჯინსებში გამოწყობილი პაპარაცოები ღეჭავდნენ კევებს და ფოტოაპარატებს ამზადებდნენ სენსაციური ფოტოების გადასაღებად.

და აი გამოჩნდენ ახალგაზრდებიც: კავკასიური მეფის, ძუ ეშმაკის ნიღაბში გამოწყობილი უკანონო ასული და მისი ყველასათვის უცნობი რჩეული, მათ უკან კი თვით კავკასიური მეფე, ეშმაკის ნიღაბში და უზარმაზარ ჩეჩნურ ბოხოხში, აგრეთვე მათი უახლოესი თანმხლები პირნი: ორი ფემინისტი ქალი, ორი ეშმაკის ნიღბებში გამოწყობილი უცნობი, სამხედრო-საზღვაო პატრული სამი კაცის შემადგენლობით, რესპუბლიკის წყალქვეშა ფლოტიდან და დოლრიალა მუნიციპალური ჟანდარმი.

კავკასიური მეფე საზოგადოების წინაშე წარსდგა და ზოგიერთი ეჭვიანის ეჭვები რომ განექარწყლებინა, მძიმე ჩეჩნური ბოხოხი მოიხადა, მის უკან მდგომ ეშმაკს გადასცა და ყველას დასანახად მკერდზე "ზიპერი" გაიხსნა, ამის შემდეგ ის ეშმაკის ტყავიდან ადამიანის სახით გამოძვრა და იქ მყოფ საზოგადოებას ღიმილიანი სიტყვით მიმართა, შემდგომ ამისა, თავისი ჩეჩნური ბოხოხი თავზე დაიხურა და ახალგაზრდებსაც ათქმევინა მისასალმებელი და მადლიერების გამომხატველი სიტყვები. შემდგომ ამისა, მექორწილეები ფაეტონებში, ეტლებში და ავტომანქანებში ჩასხდნენ და ღორმენის სასახლისკენ გასწიეს. პირველ ეკიპაჟში ისხდნენ ახალგაზრდები, ხოლო მესამე ეკიპაჟში მგზავრობდა თვით კავკასიური მეფე უზარმაზარ ჩეჩნურ ბოხოხში ორი ფემინისტი ქალის თანხლებით. დანარჩენ ეკიპაჟებში მგზავრობდნენ დანარჩენები. ფემინისტ ქალებს ხელთ ეპყრათ: ერთს - ღორმენის გიშრის უცხო კრიალოსანი, მეორეს - სამკბილა კვერთხი, ნიმუში უბადლო ხელოვნებისა. ბოშათა გულში ჩამწვდომი სიმღერებით მოხიბლული ქალები, უდარდელად იქნევდნენ ამ ნივთებს. ღორმენს არაფერი არ ეპყრა ამჯერად ხელთ ფემინისტრი ქალების, შავ კოლგოტებში გამოკრული, ჭკუის ამრევი ბარძაყების გარდა. ისინი ბოთლის ყელიდან სვამდნენ ძვირფას შამპანურს - კეთილშობილ სითხეს - უშუალოდ საფრანგეთიდან საგანგებოდ ჩამოტანილი. ღორმენი დროდადრო ქამარში გაყრილ სასიგნალო პისტოლეტს იღებდა, ტენიდა მას ვაზნებით და ცაში ეშმაკის მაშხალებს ისროდა. ქალებიც ისროდნენ ამ პისტოლეტიდან ცაში ეშმაკის მაშხალებს, ისროდნენ და უდარდელად კისკისებდნენ. უკან ჩანდა მრავალრიცხოვანი ეტლები, ფაეტონები და ძალიან ძვირფასი ავტომანქანები. ქალაქში საყოველთაო რეიდი იყო, კავკასიური მეფისა და მისი ამალის სახით მოვლენილი ეშმაკები კი ზარზეიმით ილხენდნენ. ღორმენი ბედნიერი იყო.

P.S. მექისეს სახეცვალებაში მყოფი ებრუხი როგორც იქნა დაბრუნდა. ის ბევრჯერ გააჩერეს მორეიდეებმა და რამდენჯერმე გაჩხრიკეს კიდეც, მაგრამ ვინაიდან ოყნისთვის გამოწერილი რეცეპტი ედო ჯიბეში, გაატარეს. მან როგორც იქნა მიაღწია ზოოვეტს და იყიდა დიდი, კედელზე ჩამოსაკიდებელი ოყნა ცხენებისათვის - კონსკი. მობრუნებისას უამრავი ფათერაკი გადახდა თავს. ერთგან მორეიდეებმა კინაღამ წაართვეს ოყნა, მაგრამ მან უთხრა, რომ საკუთარი ჯანმრთელობისათვის სჭირდებოდა. განსაკუთრებით დიდხანს შეაფერხეს იგი რეიდის მონაწილე კარაბინერებმა კავალერიული ესკადრონიდან, რომელთაც სასწრაფოდ დასჭირვებოდათ ვეტერინარული ოყნა, საბრძოლო ცხენის სიცოცხლის გადასარჩენად.

დაღლილ-დაქანცული ებრუხი აბანოს მიუახლოვდა და აღმოაჩინა, რომ მექორწილეები უკვე წასულიყვნენ და მხოლოდ ღორმენის მიერ გასროლილი ეშმაკის მაშხალებით შეიძლებოდა მათი სავარაუდო ადგილ-სამყოფელის დადგენა.

ეშმაკი ებრუხი მექისეს სახეცვალებაში მისდევდა მექორწილეებს და ოყნას უქნევდა.

- დაგავიწყდით! დაგავიწყდით! მე დაგავიწყდით! - უყვიროდა ის ცაში გასროლილ სასიგნალო ეშმაკის მაშხალებს, ოყნას უქნევდა და ძუნძულით მისდევდა მათ.

*მოთხრობის გასაფორმებლად გამოყენებულია ავტორის ნახატი*

**არილი**



ხულიო კორტასარი

# ედგარ პოს ცხოვრება



## ბავშვობა

ედგარ პო - მოგვიანებით კი ედგარ ალან პო - 1809 წლის 19 იანვარს დაიბადა ბოსტონში, თუმცა კი ნებისმიერ სხვა ადგილასაც შეიძლებოდა დაბადებულიყო - იქ, სადაც კი ერთი უსახელო თეატრალური დასი შეეხეტებოდა, რომელშიც პოს მშობლები იმ დროის შესაფერ რეპერტუარს თამაშობდნენ - "ჰამლეტსა" და "მაკბეტს", ზღაპრულ კომედიებსა თუ წირპლიან დრამებს.

დეტალები პოს მშობლების ცხოვრებიდან არსებითად არაფერს შესძენს ჩვენს თხრობას. ედგარი იმდენად ადრე დაობლდა, რომ თეატრმა ვერც მოასწრო მასზე ზეგავლენა მოეხდინა, უკვე მოზრდილ ყმაწვილში კი თვალთმაქცობისკენ ლტოლვამ იჩინა თავი - რაც, სხვათა შორის, ბევრ სხვა გენიოსს გამოარჩევდა, თუმცა კი მათი მშობლები არასდროს ყოფილან მსახიობები, არამედ ექიმები ან, ვთქვათ, საფეიქრო საამქროების მეპატრონენი გახლდნენ. მაგრამ პოეტის უფრო ღრმა ფესვები კი ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას. პოეტის დედა, ელიზაბეტ არნოლდ პო, ინგლისელი იყო (მისი მშობლებიც მსახიობები იყვნენ ლონდონის "კოვენტ-გარდენში"), ედგარის მამა კი ირლანდიური წარმოშობის ამერიკელი. ყმაწვილობისას ედგარი სხვადასხვა მითიურ გენეალოგიებს იგონებდა თავისთვის. მათ შორის საუკეთესო მითი (რომელშიც უკვე გამოვლინდა საოცარი უკიდურესობებისკენ სწრაფვა) ედგარს სახელგანთქმული მოღალატის - გენერალ ბენედიქტ არნოლდის შთამომავლად ასახელებს.

ორგვარი - ინგლისური და ამერიკული - სისხლის შენარევი (არსებითად ეს ერთი სისხლი იყო, რომელიც პოლიტიკოსების წყალობით გაიყო) - ედგარისთვის ორმაგად სნებოვანი და უძლური აღმოჩნდა: მისი ორივე მშობელი ჭლექით იყო დაავადებული. დევიდ პო - საკმაოდ სუსტი მსახიობი - მალე ცხოვრების სცენიდანაც ქრება: იგი ან მოკვდა, ან სულაც მიატოვა ცოლი და შვილები, რომელთაგან უმცროსი ჯერ დაბადებულიც კი არ იყო. მისის პო იძულებული გახდა, უფროსი შვილი ნათესავებთან დაეტოვებინა, თავად კი ერთი წლის ედგართან ერთად სამხრეთში გადასულიყო საცხოვრებლად, სადაც პურის ფულს ისევ მსახიობობით შოულობდა. ნორფოლკში (ვირჯინია) იბადება როზალი პო - ელიზაბეტი თითქმის მშობიარობამდე თამაშობდა სპექტაკლებში (გაგახსენებთ, რომ ბოსტონში სცენაზე იგი ედგარის დაბადებიდან სამი კვირის შემდეგ გავიდა). მალე ოჯახი რიჩმონდში გადავიდა საცხოვრებლად და აქ სიღატაკემ და სნეულებამ საბოლოოდ მოუღეს ბოლო მისის პოს - თუმცა კი ელიზაბეტის ნიჭის თაყვანისმცემლები ზრუნვას არ აკლებდნენ მას და ცდილობდნენ ბოლომდე შეემსუბუქებინათ მომაკვდავი დედის უკანასკნელი ტანჯვა. ედგარი სამი წლისაც არ იყო, როცა დაობლდა. ელიზაბეტის გარდაცვალებისთანავე, იმავე ღამეს, ორმა გულჩვილმა ქალბატონმა გაუქმებული სახლიდან თავისთან წაიყვანეს ბავშვები.

შეუძლებელია გავიგოთ ედგარ პოს ხასიათი, თუკი განსაკუთრებულ ყურადღებას არ მივაპყრობთ ორ გარემოებას, რომლებმაც უდიდესი გავლენა იქონიეს მწერლის ბავშვობაზე. უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური და ემოციური მნიშვნელობა იმისა, რაც ბავშვმა ყოველთვის იცოდა: მას არ ჰყავს მშობლები და იგი უცხო ადამიანებმა შეიფარეს სამადლოდ (ამ წყალობას კი, როგორც დავინახავთ, განსაკუთრებული თვისებები აღმოაჩნდა). მეორე გარემოება ის გახლდათ, რომ ედგარი სამხრეთში ცხოვრობდა და იზრდებოდა. მაშინ ვირჯინია გაცილებით უფრო მეტად განასახიერებდა სამხრეთს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების რუკაზე ერთი თვალის გადავლებით ჩანდა ეს. ე.წ. "მეისონ-დიქსონის ხაზი", პენსილვანიის სამხრეთ ნაწილს რომ ჰყოფდა, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის საზღვარსაც წარმოადგენდა, საზღვარს ორ მსოფლმხედველობას შორის, საიდანაც ერთგან აბოლიციონიზმი იშვა, მეორეგან კი სამხრეთული ფეოდალური, მონათმფლობელური წყობა. ედგარი ბოსტონში დაიბადა, მაგრამ სამხრეთულად იზრდებოდა და სულით ყოველთვის ასეთი დარჩა. მისი ხშირი თავდასხმები დემოკრატიასა და პროგრესზე იმით აიხსნება, რომ იგი ნამდვილი "სამხრეთელი ჯენტლმენი" იყო და მისი სულიერი და ზნეობრივი პრინციპები ვირჯინიულ ატმოსფეროში იყო ჩამოყალიბებული. შეუძლებელი იყო სამხრეთის ცხოვრების ზოგიერთ სა-



ეროვნული ბიბლიოთეკა





ჯონ ალანი

ყურადღებო თავისებურებას არ ემოქმედა მის წარმოსახვაზე: შავკანიანი ძიძები იქნებოდნენ ეს თუ შინამოსამსახურე მონები, ფოლკლორი, თავისი მოჩვენებებით, სასაფლაოებითა და ტყეში მოხეტიალე მიცვალებულებით. იგი ხარბად ისრუტავდა ყველა ამ ფანტასტიკურ ისტორიას - რისი არაერთი საბუთიც არსებობს.

ჯონ ალანი, რომელმაც, შემთხვევის წყალობით, ედგარის აღზრდა იტვირთა, შოტლანდიელი კომერსანტი იყო, რომელიც რიჩმონდში გადმოსახლდა, სადაც თამბაქოს სავაჭრო ფირმის თანამფლობელი გახდა და ამავე დროს სხვა, საოცრად მრავალფეროვანი, იმ ეპოქისთვის ძალზე დამახასიათებელი, საქმეებითაც იყო დაკავებული, მაშინ ხომ შეერთებული შტატები ჯერ კიდევ უზარმაზარ საცდელ პოლიგონს წარმოადგენდა. ალანი, მაგალითად, ბრიტანულ ჟურნალებს ავრცელებდა და "ელის & ალანის" კანტორაში პატარა ედგარმა უკვე ადრეული ასაკიდანვე გაუგონებლად შოტლანდიურ და ინგლისურ ილუსტრირებულ ჟურნალებსა და ამ უცნაურ სამყაროში უკანმოუხედავად გადაეშვა. აქ კი ერთმანეთის გვერდით არსებობდა ერუდიცია და რეზონიორობა, "გოთიკა" და ფანტასტიკა, კრიტიკა და ავსიტყვაობა. იქ XVIII საუკუნის ძველი დიდების ნაშთი უკვე მოლონიერებულ რომანტიზმს ერწყმოდა, ხოლო ჯონსონის, ედისონისა და პოპის აჩრდილები კი ნელი ნაბიჯით უთმობდნენ ადგილს ბაირონის თვალისმომჭრელ ბრწყინვალებას, ვოდსვორთის პოეზიასა და საშინელებათა რომანებს. ასე რომ, ედგარ პოს კულტურის განსაზღვრაში დიდი წვლილი ბავშვობაში წაკითხულმა ჟუნალებმაც ითამაშეს.

პოს მფარველებს თავისი შვილები არ ჰყავდათ. ფრენსის ალანი პირველი ქალი აღმოჩნდა, ვინც განსაკუთრებული როლი ითამაშა მომავალი მწერლის ცხოვრებაში. მან მალე შეიყვარა ედგარი და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ბავშვი საოცრად ლამაზი იყო და ადრეც მუდამ აღფრთოვანებით სარგებლობდა საბრალო მისის პოს მეგობარ ქალბატონებსა და თაყვანისმცემლებს შორის. რაც შეეხება ჯონ ალანს, იგი, უპირველეს ყოვლისა, თავისი მეუღლის გულის მოგებას ცდილობდა - მხოლოდ ამიტომ შეიკედლა მან ბავშვი - თუმცა კი არასდროს განუცხადებია თანხმობა კანონიერ საფუძველზე ეშვილა იგი. პოს პირველი ბიოგრაფები ამას ალანის ეგოიზმითა და გულქვაობით ხსნიდნენ; ახლა კი ვიცით, რომ მას უკანონო შვილებიც ჰყავდა და ფარულად მათი განათლების ფულსაც იხდიდა. სხვათა შორის, მისი ვაჟი ედგარის სკოლის ამხანაგი იყო და მისტერ ალანს ყოველ კვარტალში სასწავლებლის სალაროში ორმაგი გადასახადის შეტანა უწევდა ხოლმე. მან ედგარი იმიტომ აიყვანა, რომ იგი "შესანიშნავი ყმაწვილი" იყო და ბოლოს და ბოლოს, ალანი შეეჩვია კიდეც ბავშვს.

ალანი ბუნებით მკაცრი და გულცივი ადამიანი იყო და წლებმა, გამოცდილებამ და რაღა თქმა უნდა, სიმდიდრემაც, იგი ნელ-ნელა ტირანად აქცია. ორივესთვის საუბედუროდ, ჯონ ალანისა და ედგარის ხასიათები აბსოლუტურად შეუთავსებელი აღმოჩნდა. თხუთმეტი წლის შემდეგ ეს ყველაფერი სასტიკი შეტაკებით დასრულდება და ორივე არამხოლოდ უპატიებელ, არამედ გამოუსწორებელ შეცდომებსაც ჩაიდენენ.

ოთხი-ხუთი წლისა, ედგარი არაჩვეულებრივი, ლამაზი ბავშვი იყო, შავი, ხუჭუჭა თმითა და დიდი, ნათელი თვალებით. უკვე ზეპირად იცოდა იმ დროისთვის მოდური პოემები (მაგალითად, ვალტერ სკოტისა) და მისის ალანთან ჩაიზე შეკრებილი ქალბატონები გულაჩუყებულნი ტკბებოდნენ გრძელი პოემების დეკლამირებით, რომელიც ბავშვური ცეცხლოვანებითა და სადღესასწაულო ტონით იყო აღბეჭდილი. ალანების ოჯახი ყურადღებით ეკიდებოდა პატარა ედგარის განათლების საქმეს, მაგრამ რიჩმონდში არსებულმა გარემომ მას წიგნებზე ნაკლები ცოდნა როდი შესძინა. მისი mammy, შავკანიანი ძიძა (როგორებიც მაშინ ნებისმიერ სამხრეთელ მდიდართა სახლისთვის იყვნენ დამახასიათებელნი), რა თქმა უნდა, ზანგური რიტმების სამყაროში შეუძლვა მას. ალბათ, ამით აიხსნება, მოგვიანებით, დეკლამაციისადმი პოს ასეთი ინტერესი; იგი ხომ ლამის ატანილი იყო ამით, საკმარისია "ყორნის", "ულალუმისა" და "ანაბელ ლის" რიტმული მაგია გავიხსენოთ. მაგრამ შეუძლებელია დავივიწყოთ ზღვაც, რომელთა მოციქულებად ედგარს იალქნიანი გემების კაპიტნები ევლინებოდნენ, ხშირად რომ სტუმრობდნენ ელისისა და ალანის კანტორაში, ფირმის საქმეების გასარჩევად. ისინი რიჩმონდელ კომპანიონებთან ერთად სვამდნენ და დიდხანს ჰყვებოდნენ ხოლმე თავიანთ თავგადასავლებს. პატარა ედგარს, რომელიც ვერ ძღებოდა ამგვარი ისტორიების მოსმენით, შესაძლოა სწორედ მაშინ წარმოუდგა პირველად სახეები, რითაც მომავალში "არტურ გორდონ პიმის ისტორია" შეიქმნა. ჯერ კიდევ მაშინ იგრძნო მან პირველად ზღვის ქარი, მრავალი წლის შემდეგ მის ნაწარმოებებში რომ გაინავარდა და რომელიც პომ პირდაპირ იალქნებისკენ მიმართა; ასე რომ, ეს ქარი დღემდე მომავლისკენ მიაქანებს მის ამ ხომალდ-აჩრდილებს.

თუმცა, მალე სრულიად რეალური ხომალდით იხილა ედგარმა საზღვაო მოგზაურობის მთელი ჯადოქრობა. 1815 წელს ალანი, ალანის მეუღლე და მათი აღსაზრდელი ინგლისსა და შოტლანდიაში გაემგზავრნენ. ალანს თავისი საქმიანი კავშირების გაფართოება და მრავალრიცხოვანი ნათესავების მონახულება სურდა. ედგარი გარკვეული დრო ერვინში (შოტლანდია) ცხოვრობდა, შემდეგ კი ლონდონში გადავიდა. 1816-1820 წლების სკოლის მოგონებებიდან იშვა ის უცნაური და იდუმალი ატ-



მოსფერო, რომელიც "უილიამ უილსონის" დასაწყისში მეფობს. მასზე გავლენა იქონია შოტლანდიურმა ფოლკლორმაც. თითქოს წინასწარ გამოიცნოო პოს ლტოლვა უნივერსალობისკენ (რომელიც მალე შეიპყრობს კიდეც მას), ბედი ყოველნაირად ცდილობს, გაათავისებინოს მას სხვადასხვა პეიზაჟები, ცხოვრებისეული სიტუაციები და ხასიათები. მას არაფერი ეპარება, ყველაფერს მადლიერებით იღებს, თუმცა ზიზღის ნაპერწკალი უკვე შეინიშნება სამყაროს შესახებ მის წარმოდგენებში. მოვა დრო და იგი დაწერს: "მთელი სამყარო სცენაა, რომელიც თვალთმაქც ლიტერატურას სჭირდება".

1820 წელს ოჯახი შეერთებულ შტატებში დაბრუნდა. გემიდან ნაპირზე მოლონიერებული, ცელქი ყმაწვილი გადმოვიდა - ინგლისურ კოლეჯში ხომ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ სპორტულ მეცადინეობებსა და ფიზიკურ ვარჯიშებს, ვიდრე რიჩმონდში. მალე ედგარი ყველანაირ თამაშში თავისი მეგობრების მეთაურად მოგვევლინა, ყველაზე მაღლა და შორს ხტებოდა, სხვებსაც ცემდა და ხშირად თვითონაც ილახებოდა ხოლმე. ჯერ კიდევ არ ჩანს ის განსაკუთრებული ნიშნები, რითაც თანატოლებისგან მისი გამორჩევა გახდებოდა შესაძლებელი. თუმცა მას ხატვა უყვარს, ხშირად აგროვებს ყვავილებს და დაკვირვებით სწავლობს მათ. მაგრამ ყველაფერ ამას ხშირად მალულად აკეთებს და შემდეგ სწრაფადვე უბრუნდება ხოლმე მიტოვებულ თამაშებს. იგი პატარა ბობ სალის მფარველობს, იცავს მას უფროსი ბიჭებისგან, ეხმარება გაკვეთილების მომზადებაში. ხშირად სადღაც იკარგება და საათობით არ ჩანს, რაღაც იდუმალი საქმეებითაა გატაცებული: ყველასგან მალულად იგი პირველ ლექსებს ქმნის, ლამაზად ათეთრებს და მყუდრო ადგილას მალავს მათ - თანაც ამასობაში პურსა და მარმელადსაც გეახლებათ.

თარგმნა შალვა მიზანდარამ

გაგრძელება შემდეგ ნომერში


ელიზაბეტ არნოლდ პო

ალბერ კამიუ

# სტუმარი



მასწავლებელი მისკენ მომავალ ორ კაცს უყურებდა. ერთი ცხენზე იჯდა, მეორე ქვეითად იყო. ჯერ არ შემოდგომოდნენ ციცაბო ბილიკს, რომელიც გორაკის თხემზე აგებულ სკოლამდე მოდიოდა. სიარული უჭირდათ, ნელა მოარღვევდნენ თოვლს თვალუწვდენელ, უდაბურ ზეგანზე გაფანტულ ლოდებს შორის, დროდადრო ცხენი აშკარად ფორხილებდა. ხმა ჯერ ვერ აღწევდა, მაგრამ ნესტოებიდან გამოვარდნილი ორთქლის ბოლქვები ჩანდა. ორი კაციდან ერთი მაინც უცხოდ არ უნდა ყოფილიყო ამ მხარეში - ბილიკს თამამად მოუყვებოდნენ, თუმცა იგი მრავალი დღის წინ დაეფარა თოვლს - თეთრს და ჭუჭყიანს. მასწავლებელმა ივარაუდა, გორაკზე ამოსვლას ნახევარ საათს მაინც მოანდომებენო. ციოდა. სკოლაში შევიდა პულოვერის ჩასაცმელად.

ცარიელი და გაყინული საკლასო ოთახი გაიარა. დაფაზე, უკვე სამი დღე იყო, ოთხი სხვადასხვა ფერის ცარცით დახატული საფრანგეთის ოთხი მდინარე თავ-თავის შესართავისკენ მიედინებოდა. თოვლი უცბად დაატყდათ თავს შუა ოქტომბერში, რვა თვე გვალვის შემდეგ, წვიმის წვეთი არ გადმოვარდნილა, პირდაპირ მოთოვა და ოციოდე მოწაფე, ზეგანზე მიმოფანტულ სოფლებში რომ ცხოვრობდა, სკოლაში აღარ მოდიოდა. დარუ ახლა მხოლოდ ერთ ოთახს ათბობდა - იმას, რომელშიც თვითონ ცხოვრობდა და რომლის ერთ-ერთი კარი საკლასო ოთახში გადიოდა; კარი ოთახს ზეგანის აღმოსავლეთ მხარესაც ჰქონდა, ფანჯარა კი, საკლასო ოთახის ფანჯრის დარად, სამხრეთს გადაჰყურებდა. ამ მხრიდან, რამდენიმე კილომეტრის სავალზე, ზეგანის კალთა სამხრეთისკენ ეშვებოდა. მოწმენდილ ცაზე იქ ლურჯი კლდეების მწკრივი მოჩანდა, საიდანაც უდაბნოს კარი იღებოდა.

დარუ შეთბა და ისევ იმ ფანჯარასთან მივიდა, საიდანაც პირველად დაინახა ორი კაცი. აღარ ჩანდნენ, მაშასადამე აღმართს შემოდგომოდნენ. აღარც ცა იყო ისეთი მოქუფრული. ღამით თოვა შეწყდა. დილა ნაცრისფერი გათენდა. მას შემდეგ, რაც ყომრალმა ღრუბლებმა ოდნავ ზევით აიწიეს, სინათლემ ცოტა ძალა მოიცა. შუადღის ორი საათი იყო და გეგონებოდათ, ეს-ესაა ირიჟრაჟაო. იმას მაინც სჯობდა, სამი დღე გადაბმულად რომ ბარდნიდა უკუნეთში და დრო და დრო მოვარდნილი ქარი სკოლის ორივე კარს არყევდა. მრავალი საათის განმავლობაში დარუ მოთმინებით იჯდა თავის ოთახში. გარეთ მხოლოდ იმიტომ თუ გავიდოდა, ქათმებისთვის საკენკი დაეყარა და ნახშირის მარაგი შეევსო. საბედნიეროდ, ქარბუქამდე ორი დღით ადრე, ჩრდილოეთით ყველაზე ახლომდებარე სოფლის - ტაჯეჯის პატარა სატვირთო მანქანამ სარჩო ამოუტანა. ორმოცდარვა საათში მანქანა ისევ უნდა ამოსულიყო.

მოკლედ, ალყას გაუძლებდა - პატარა ოთახი გაძეძგილი იყო ხორბლის ტომრებით, ადმინისტრაციამ რომ მოუმარაგა, რათა ხელი გაემართა იმ მოწაფეთა ოჯახებისთვის, რომლებიც გვალვამ დააზარალა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ზარალი ყველამ ნახა, რადგან ყველა ღარიბი იყო. დარუ ყოველდღე ურიგებდა პატარებს სურსათს. იცოდა, იმ შავ დღეებში, ყველას აკლდა კვება. იქნებ ამ საღამოს მათ მამებს ან უფროს ძმებს შემოევლოთ და მაშინ მარცვალსაც გაატანდა. უბრალოდ, მომავალ მოსავლამდე რომ გაეძლოთ, ეს იყო და ეს. ხორბლით დატვირთული გემები ახლა უკვე საფრანგეთიდან შემოდიოდა. ყველაზე დიდი გაჭირვება უკან დარჩა, მაგრამ ძალიან ძნელი იყო, დაგევიწყებინა ეს საშინელი სიპარტახე, მზისგულზე მლოლავი, ჩამოძონძილი ლანდების ლაშ-

ქარი, თვიდან-თვემდე გადაბუგული ზეგნები, - მიწა, რომელიც ნელ-ნელა მართლა იხრუკებოდა, ფეხქვეშ მტვრადქცეული ქვებისგან ამდგარი ბული, ათასობით დავარდნილი ცხვარი და აქა-იქ - ადამიანებიც, რომელთა ამოცნობა ზოგჯერ ვერც ხერხდებოდა.



ამ სიღატაკისა და დუხჭირი ყოფის შემყურე - გადაკარგულ სკოლაში ლამის ბერივით მცხოვრები და, პირველ ყოვლისა, მცირედითაც კმაყოფილი დარუ - ბათქაშით შელესილი კედლების, ვიწრო დივანის, თეთრი ხის თაროებისა და ჭის პატრონი, ყოველკვირეულად მომარაგებული წყლითა და საკვებით, ნამდვილ ბატონად გრძნობდა თავს და უცბად - თოვლი. თოვლი, რომელიც წვიმას დაუსხლტა და მოულოდნელად დაყარა. ასეთი იყო ეს ქვეყანა - სასტიკი, - თავისთავად, უკაცოდაც კი, კაცები ისედაც ვერაფერს აწყობდნენ. ასე იყო თუ ისე, დარუ აქ დაიბადა და სხვაგან, ყველგან, დევნილივით იგრძნობდა თავს.

დარუ გარეთ გამოვიდა და სკოლის წინ, თეოზე დადგა. მგზავრებს უკვე ფერდის შუაწელისთვის მიეტანებინათ. მხედარში ბალდუჩი შეიცნო - ძველი ჟანდარმი. დარუ მას დიდი ხანია იცნობდა. ბალდუჩის თოკი ჩაება არაბისთვის, რომელიც ხელგაკრული და თავჩაქინდრული მოსდევდა უკან. ჟანდარმი ხელის აწევით მიესალმა, მაგრამ დარუ არაბის ცქერით ისე გაერთო, სალამზე არ უპასუხია. არაბს ტანთ ჯელაბაჰი ემოსა, რომელიც ერთ დროს ცისფერი უნდა ყოფილიყო; სანდლები ღაზლის წინდებზე წამოეცვა, თავზე მოკლე და ვიწრო ჩეჩი ეხურა. შორს აღარ იყვნენ. არაბი რომ არ დაეშავებინა, ბალდუჩი ცხენს თავს უჭერდა. წინ ნელა მოიწევდნენ.

ხმის მისაწვდომზე ბალდუჩიმ დაუყვირა: "ელ ალმოროდან აქამდე, სამ კილომეტრს, მთელი საათი მოვუნდი!" დარუმ პასუხი არ გასცა. სქელ პულოვერში ჩაჭედილი დაბალი და ჯმუხი დარუ ჩუმად უყურებდა, როგორ ამოდიოდნენ. არაბს თავი არ აუწევია - არცერთხელ. "გამარჯობა, მიესალმა დარუ, როდესაც გამოივაკეს. შემოდით, გათბით". ბალდუჩი მძიმედ ჩამოხდა ცხენიდან. თოკისთვის ხელი არ გაუშვია. გაფანჩული ულვაშებიდან გაუღიმა მასწავლებელს. გარუჯული შუბლი, ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი შავი, წვრილი თვალები და ტუჩს შემოჯარული ნაოჭები ფხიზელ და მუყაით იერს აძლევდა. დარუმ აღვირი ჩამოართვა და ცხენს ფარდულში შეუძლვა. მერე ისევ მიბრუნდა კაცებთან, რომლებიც ახლა ოთახში ელოდნენ. "წავალ, საკლასო ოთახს გავათბობ, თქვა მან, იქ უფრო ხალვათად ვიქნებით". თავის ოთახში რომ დაბრუნდა, ბალდუჩი დივანზე იჯდა. თოკი, რომლითაც პატიმარი ჰყავდა გამობმული, მოეხსნა და არაბი ღუმელთან ჩაცუცქულიყო. ისევ ხელგაკრული იყო, ფანჯარას გაჰყურებდა და ჩეჩი უკან გადაწეოდა. დარუმ ჯერ მისი ვებერთელა ტუჩები დაინახა: სქელი, პრიალა, თითქმის ნეგროიდული, არა და, ცხვირი სწორი ჰქონდა, თვალები შავი, ბრიალა. ჩეჩი ჯიუტ შუბლს უფარავდა. სიცივეში ოდნავ ფერგამკრთალ, დახრუკულ სახეზე ერთმანეთს შერწყმოდა შეშფოთება და ამბოხი, რაც მაშინვე თვალში ეცა დარუს, როგორც კი არაბმა მისკენ მიიხედა და თვალი თვალში გაუყარა. "იქით გამოდით, თქვა მასწავლებელმა, პიტნის ჩაის დაგისხამთ". - გმადლობთ, მიუგო ბალდუჩიმ. რა ძაღლუმადური სამუშაოა! ერთი მალე გავიდე პენსიაზე". მერე არაბს მიუბრუნდა - თავის პატიმარს: "ეი, შენ, წამო". არაბი ადგა და ნელი ნაბიჯით შევიდა საკლასო ოთახში. ხელები წინ ჰქონდა გაკრული.

დარუმ ჩაისთან ერთად სკამიც შემოიტანა, მაგრამ ბალდუჩი უკვე მოწაფის მაგიდაზე ამხედრებულიყო, არაბი კი მასწავლებლის ფიცარნაგის წინ მიცუცქებოდა ღუმელს, რომელიც საწერ მაგიდასა და ფანჯარას შორის იდგა. როდესაც დარუმ პატიმარსაც მიუტანა ჩაი, გაკრულმა ხელებმა შეაცბუნა: "იქნებ გაგვეხსნა?" - "აბა რა, მიუგო ბალდუჩიმ, ეგ გზაში იყო საჭირო". ისეთი სახე მიიღო, თითქოს წამოდგომას აპირებდა, მაგრამ დარუმ ფინჯანი ძირს დადგა და საწერ მაგიდასთან ჩაიმუხლა. არაბის ცეცხლოვანი მზერა უხმოდ ადევნებდა თვალს მის საქმიანობას. თოკი რომ შეხსნეს, დასიებული ხელები მოიფშვნიტა, ფინჯანი აიღო და ქაფქაფა სითხე ჩქარ-ჩქარა, პატარ-პატარა ყლუპებით მოხვრიპა.

- კეთილი, - თქვა დარუმ. - მაინც, საით გაგიწევიათ? ბალდუჩიმ ულვაშები მოიწმინდა: "აქ შვილო".

- უცნაური მოწაფეები ხართ. აქ დაიძინებთ?

- არა. მე ელ ამორში უნდა გავბრუნდე. აი, შენ კი ამ ამხანაგს ტინგიტში ჩააბარებ. იქ ელოდებიან.

ბალდუჩი მეგობრულად უღიმოდა დარუს.

- რა ზღაპრებს ყვები, - უთხრა მასწავლებელმა, - შენ რა, მასხრად მიგდებ?

- არა, შვილო, ასეა ნაბრძანები.

- ნაბრძანები? როდის იყო, მე მაგ... - დარუ შეყოყმანდა: არ უნდოდა მოხუცი კორსიკელისთვის ეწყენინებინა. - მოკლედ, ეგ მე არ მევალება.

- ეჰ! მაგას რა მნიშვნელობა აქვს? ომის დროს ყველას ყველაფერი ევალება.

- ჰოდა, მეც ომის გამოცხადებას დაველოდები!

ბალდუჩიმ თავი დაუქნია.

- კეთილი, მაგრამ ბრძანება იქიდან მოდის და შენც გეხება. ეტყობა, ისევ აფუთფუთდნენ. ამბობენ, მალე ჯანყს ელიანო. ჩვენ, ასე ვთქვათ, უკვე მობილიზებული ვართ.

დარუს ისევ შეკრული ჰქონდა სახე.

- მისმინე, შვილო, - უთხრა ბალდუჩიმ, - ხომ იცი, როგორ მიყვარხარ და უნდა გამიგო. ელ ამორში, სულ თორმეტნი თუ ვიქნებით და მთელი დეპარტამენტის პატრულირება ჩვენს კისერზეა. უნდა წავიდე. ნაბრძანები მაქვს, ეს ტიპი შენ ჩაგაბარო და დაუყოვნებლივ დავბრუნდე. ქვემოთ ამის გაჩერება არ იქნებოდა. მთელი სოფელი ფეხზე დგას და წართმევა უნდათ. ხვალ დილაადრიან ჩაიყვან ტინგიტში. შენისთანა მუხლმაგარ ბიჭს ოციოდე კილომეტრი ვერ შეაშინებს. მერე უკვე შეგიძლია მოწაფეებს დაუბრუნდე და შენ გუნებაზე იცხოვრო.

კედლის იქიდან ცხენის ფრუტუნი და ნალის წკრიალი ისმოდა. დარუ ფანჯარას გაჰყურებდა. გამოდარებას აშკარად კარგი პირი უჩანდა. დათოვლილ ზეგანზე სინათლე ძალას იკრებდა. როდესაც თოვლი სულ დადნებოდა, მზე ისევ გაბატონდებოდა ცის კაბადონზე და კიდევ ერთხელ გადაბუგავდა ქვიან მინდვრებს. მერე, დღენიადაგ, ზეციდან გავარვარებულ სხივებს დაუშენდა ზეგანს, სადაც კაცის სახსენებელსაც არაფერი მოგაგონებდათ.

- მაინც, რა ჩაიდინა? - მიმართა ბალდუჩის და სანამ იგი პირს გააღებდა, ჩაეკითხა: - ფრანგული იცის?

- არა, არც ერთი სიტყვა. მთელი თვეა ვეძებთ, მალავდნენ. თავისი ბიძაშვილი მოკლა.

- ჩვენი მოწინააღმდეგეა?

- არა მგონია, მაგრამ რას გაუგებ.

- რატომ მოკლა?

- ოჯახური უთანხმოების გამო, ალბათ. მგონი, ერთს მეორის ხორბალი ემართა. ჯერ კარგად არ გაურკვევიათ. ჰოდა, აიღო და თავის ბიძაშვილს ცელით თავი გადაასხიპა. ხომ იცი, ცხვრებს რომ წააცლიან ხოლმე-სხაპ!..

ბალდუჩიმ საჩვენებლად ყელზე ხელი გამოისვა. ამ მოძრაობამ არაბის ყურადღება მიიპყრო და შეშფოთებულმა შეხედა ჟანდარმს. დარუს ბრაზი მოეკიდა, - ბრაზი ამ კაცზე, - ყველა კაცზე - მათ უკეთურ ბოროტებაზე, უაზრო მძულვარებასა და სისხლის გაცოფებულ წყურვილზე.

მაგრამ ღუმელზე ჩაიდანი ღიღინებდა და დარუმ ისევ დაუსხა ჩაი ბალდუჩის, ერთი შეყოყმანდა და მერე არაბსაც მიუტანა. არაბმა მეორე ფინჯანიც ხარბად მიიტანა პირთან. მკლავი რომ ასწია, ჯელაბაჰი გადაეხსნა და დარუმ გამხდარი, დაკუნთული მკერდი დაუნახა.

- გმადლობ, შვილო, უთხრა ბალდუჩიმ. აბა, ახლა კი გავქუსლე. - ჟანდარმი ადგა, ჯიბიდან თოკი ამოიღო და არაბისკენ წავიდა.

- რას აპირებ? - ცივად ჰკითხა დარუმ.

ბალდუჩი შეცბა და თოკი უჩვენა.

- ნუ წუხდები.

მოხუცი ჟანდარმი შეყოყმანდა.

- შენი ნებაა. ცხადია, იარაღი გექნება?

- სანადირო თოფი მაქვს.

- სად?

- სკივრში.

- საწოლთან დაიდე.

- რატომ? მე ვინ მემუქრება?

- შენ რა, გარეკე? თუ აჯანყდნენ, მშრალზე ვერავინ დარჩება. ჩვენ, ყველანი, ერთ ტაფაში ვიწვით.

- როგორმე დავიცავ თავს. მოვასწრებ. სანამ აქ ამოვლენ, დავინახავ.

ბალდუჩიმ გაიცინა, მერე ულვაშებმა ისევ დაუფარა ჯერაც თეთრი კბილები.

- მოასწრებ, არა? კეთილი, მეც მანდა ვარ. შენ ცოტათი ყოველთვის გიქროდა. სწორედ მაგიტომ მიყვარხარ. ჩემი ბიჭიც ასეთი იყო.

ამ ლაპარაკში ბალდუჩიმ იარაღი ამოიღო და კათედრაზე დადო.

- აიღე, მე ელ ამორამდე ორი არ მჭირდება.

რევოლვერი შავად შეღებილ მაგიდაზე აპრიალდა. როდესაც ბალდუჩი ისევ მიტრიალდა დარუსკენ, მასწავლებელს მისი ტანისა და ცხენის სუნი ეცა.

- ყური მიგდე, ბალდუჩი, - ყრუდ უთხრა დარუმ, - მაგ საქმეზე გული არ მიმდის და პირველ ყოვლისა, მაგ შენ ბიჭზე, ვერ ჩავაბარებ-მეთქი. ბრძოლით - ვიბრძოლებ, თუ საჭირო იქნა, მაგრამ ეგ არა... ეგ მე არ მომწონს.

მოხუცი ჟანდარმი პირისპირ ედგა და მკაცრად უცქერდა.

- უჭკუოდ ირჯები, - უთხრა დინჯად - ეგ არც მე მომწონს. კაცის გაკოჭვას, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, ვერ ეჩვევი და დიახაც, რომ გრცხვენია კიდეც, მაგრამ ამ ფუფუნების უფლება თავს არ უნდა მისცე.

- არ ჩავაბარებ, - გაიმეორა დარუმ.

- შვილო, კიდევ გიმეორებ, ეს ბრძანებაა-მეთქი.

- გავიგე. გადაეცი იმათ, რაც გითხარი: არ ჩავაბარებ.

ბალდუჩი აშკარად ცდილობდა, რამე გამოსავალი ეპოვა. ხან დარუს შეხედავდა, ხან არაბს. ბოლოს გადაწყვიტა.

- არა, არაფერსაც არ გადავცემ. თუ გვიმტყუნებ, შენი ნებაა, მე არ დაგაბეზღებ. მე მიბრძანეს, პატიმარი შენთვის ჩამომეყვანა. ჩემი ვალი მოვიხადე. ახლა შენ ამ ქაღალდზე ხელს მომიწერ.



- ნუ გეშინია, არ ჩამოუყვანია-მეთქი, არ ვიტყვი.

- ნუ მიბრაზდები. ვიცი, რომ სიმართლეს არ დამალავ. აქაური ხარ და კაცი ხარ, მაგრამ წესი წესია - ხელი უნდა მოაწერო.

დარუმ უჯრა გამოსწია, იქიდან ლურჯმელნიანი ოთხკუთხა ბოთლი ამოიღო, კიდევ - წითელტარიანი კალმისტარი, რომლითაც რვეულებს ასწორებდა და ხელი მოაწერა. ჟანდარმმა ქაღალდის ფურცელი სათუთად გაკეცა და ჩანთაში ჩაიდო. მერე კარისკენ გასწია.

- დაიცა, გაგაცილებ, - უთხრა დარუმ.

- არა, - მიუგო ბალდუჩიმ, - თავაზიანობით თავს ნუ შეიწუხებ. შენ მე შეურაცხყოფა მომაყენე.

მან არაბს გადახედა, რომელიც ადგილიდან არ იძროდა, შეწუხებულმა ამოიხვნეშა და კარისკენ იბრუნა პირი. კარი ჟანდარმის ზურგს უკან მიჯახუნდა. ბალდუჩი ფანჯარასთან გამოჩნდა და გაუჩინარდა. თოვლი ფეხის ხმას ახშობდა. ტიხარს გადაღმა ცხენმა დაიფრთქვინა, ქათმები აკრიახდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ბალდუჩიმ ფანჯარას ჩაუარა, ცხენი აღვირით მიჰყავდა. ბილიკს ისე დაადგა, უკან არ მოუხედავს. ჯერ თვითონ მიეფარა თვალს, მერე ცხენი. მოისმა, როგორ მძიმედ დაგორდა ლოდი. დარუმ პატიმარს გადახედა. იგი ადგილიდან არ იძვროდა, მაგრამ არც თვალს აცილებდა. "აქ დამელოდე", უთხრა არაბულად და თავისი ოთახისკენ გასწია. ზღურბლთან რომ მივიდა, გადაიფიქრა, შებრუნდა, კათედრიდან რევოლვერი აიღო, ჯიბეში ჩაიდო და უკანმოუხედავად გავიდა.

დიდხანს იწვა გაშოტილი თავის დივანზე, ცას გაჰყურებდა, რომელიც ნელ-ნელა იკრავდა პირს, და სიჩუმეს აყურადებდა. სწორედ ამ სიჩუმის ატანა უჭირდა მას შემდეგ, რაც აქ ჩამოვიდა. მან მთების ძირში გაშენებულ ქალაქში ითხოვა სამსახური, რომელიც მაღალი ზეგნებიდან ორად ჰყოფდა უდაბნოს - კლდოვანი კედელი - ჩრდილოეთით მწვანე და შავი ფერისა, ხოლო აღმოსავლეთით წითელი თუ მეწამული - დარაჯად ედგა მარადიული ზაფხულის საზღვარს. თავდაპირველად სიჩუმე და მარტოობა უმძიმდა ამ ბერწ მიწაზე, სადაც მხოლოდ ქვები ხარობდა. მიწაზე გავლებული ხნული ზოგჯერ კაცს აფიქრებინებდა, აქ რაღაც დაუთესიათო, მაგრამ იგი მხოლოდ იმიტომ გაევლოთ, რომ სამშენებლოდ გამოსადეგი ქვა ამოეყარათ. მიწას აქ მხოლოდ იმიტომ ხნავდნენ, რომ ქვა მოეძიათ. ხანდახან ვინმე ხეობაში ჩატანილ მიწის ნაფშხვენს თუ მოფხეკდა, რომ სოფლად თავისი მწირი ბაღი გაენოყიერებინა. ასე იყო, ამ ქვეყნის სამი მეოთხედი ქვას დაეპყრო. აქ ქალაქები იბადებოდნენ, გაბრწყინდებოდნენ და მერე ქრებოდნენ; ადამიანები მოდიოდნენ, ერთმანეთი უყვარდათ ან ერთმანეთის სისხლით ძღებოდნენ და მერე კვდებოდნენ. ამ უდაბნოში არც თვითონ და არც მისი სტუმარი ჩირად არ ღირდა, მაგრამ დარუმ იცოდა, რომ ამ უდაბნოს იქით, მათ ცხოვრებას ფასი არ დაედებოდა.

ზეზე რომ ადგა, საკლასო ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. თვითონვე გაუკვირდა, ისე გულწრფელად გაუხარდა, როცა გაიფიქრა, არაბი ეტყობა გაიპარა, ისევ მარტო ვარ და აღარც არაფერზე თავისტეხა დამჭირდებაო. მაგრამ პატიმარი ისევ იქ დახვდა, ოღონდ კათედრასა და ღუმელს შორის გაწოლილიყო. თვალი ღია ჰქონდა და ჭერს მიშტერებოდა. ახლა უფრო აშკარად უჩანდა სქელი ტუჩები და გაბუტულს ჰგავდა. "წამო", უთხრა დარუმ. არაბი ადგა და უკან გაჰყვა. ოთახში რომ შევიდნენ, მასწავლებელმა სკამზე მიუთითა, რომელიც ფანჯარასთან მდგარ მაგიდასთან იდგა. არაბი ისე დაჯდა, დარუსთვის თვალი არ მოუცილებია.

- გშია?

- კი, - მიუგო პატიმარმა.

დარუ სუფრის გაშლას შეუდგა. ფქვილი და ზეთი აიღო, ცომი მოზილა და პატარა გაზქურა აანთო. სანამ ხმიადი ცხვებოდა, გავიდა და ყველი, კვერცხები, ფინიკი და შესქელებული რძე შემოიტანა. ხმიადი რომ გამოცხვა, შესაგრილებლად ფანჯრის რაფაზე დადო, შესქელებული რძე შეათბო, წყლით გააზავა და ბოლოს, ტაფამწვარისთვის კვერცხი გათქვიფა. ამ საქმიანობაში რომ იყო, მარჯვენა ჯიბეში ჩადებული რევოლვერი ამოიღო, თასი დადგა, საკლასო ოთახში გავიდა და რევოლვერი საწერი მაგიდის უჯრაში ჩადო. ღამდებოდა. ოთახში შებრუნებულმა სინათლე აანთო და არაბს საჭმელი მიუტანა: "ჭამე". არაბმა ხმიადის ნაჭერი აიღო, პირისკენ გააქანა და შედგა.



შენ? - ჰკითხა.

- ჯერ შენ, მერე მეც შევჭამ.

სქელი ტუჩები ოდნავ გაიპო. არაბი შეყოყმანდა, მერე გადაჭრით ჩაკბიჩა ხმიადი.

ჭამა რომ მოათავეს, არაბმა მასწავლებელს შეხედა.

- მოსამართლე შენა ხარ?

- არა, ჩემთან ხვალამდე იქნები.

- ჩემთან ერთად რატომ ჭამ?

- მშია.

არაბი გაჩუმდა. დარუ ადგა და გავიდა. საველე საწოლი შემოიტანა და თავისი საწოლის პერპენდიკულარულად, მაგიდასა და ღუმელს შორის გაშალა. კუთხეში მიდგმული დიდი ჩემოდნიდან, რომელიც მის საქაღალდეებს თაროს მაგივრობას უწევდა, ორი გადასაფარებელი ამოიღო და საველე საწოლზე დააგო. მერე გაჩერდა, თავი უქმად იგრძნო: აღარც გასაკეთებელი ჰქონდა რამე და აღარც მოსამზადებელი. ახლა ამ კაცისთვის უნდა ეცქირა. უცქერდა კიდეც და ცდილობდა წარმოედგინა, რა სახე დაედებოდა განრისხებულს. ვერ ახერხებდა. თვალწინ მხოლოდ შავი, ბრიალა თვალები და პირუტყვის დრუნჩი ედგა.

- რატომ მოჰკალი? - შეკითხვაში და ხმაში სტუმარ-მასპინძლობამ იმძლავრა.

არაბმა თვალი მოარიდა.

- გაიქცა, მე გავეკიდე.

ისევ შეხედა დარუს. თვალებში რაღაცნაირი სასოწარკვეთილი კითხვა ედგა.

- ახლა რას მიზამენ?

- გეშინია?

პატიმარმა უხმოდ აარიდა თვალი.

- ნანობ?

არაბმა პირი დააღო. აშკარად ვერ მიხვდა, რა ჰკითხეს. დარუ გაღიზიანდა, ჯმუხი სხეულით ასე ორ საწოლშუა გაჩხირული, მოუხერხებლად გრძნობდა თავს.

- მანდ დაწექი, - სიტყვამოუთმენლად მიუგდო. - ეგ შენი საწოლია.

არაბი არ განძრეულა.

- მითხარი! - შეეხმიანა დარუს.

მასწავლებელმა შეხედა.

- ჟანდარმი ხვალ დაბრუნდება?

- არ ვიცი.

- შენ გამოგვყვები?

- არ ვიცი. რად გინდა?

პატიმარი ადგა და გადასაფარებელზე ზევიდან გაიშოტა - ფეხებით ფანჯრისკენ. ნათურამ თვალი მოსჭრა და მაშინვე დახუჭა.

- რად გინდა? - ისევ ჰკითხა საწოლის წინ დარჭობილმა დარუმ.

არაბმა ნათურის დამაბრმავებელ სინათლეზე თვალი გაახილა და დარუს შეხედა. ცდილობდა თვალი არ დაეხამხამებინა.

- გამოგვყევი, - უთხრა მან.

შუაღამისას დარუს ჯერაც არ ეძინა. სანამ ლოგინში ჩაწვებოდა, ტანთ გაიხადა. საერთოდ ჩაცმული არასდროს წვებოდა, მაგრამ ახლა, როცა უკვე გახდილი იყო, შეყოყმანდა. რაღაცნაირად უსუსურად იგრძნო თავი და ისევ ჩაცმა მოუნდა. მერე მხრები აიჩეჩა: ამისთანები ბევრი ენახა და თუ რამეს გაბედავდა, კისერს მოუგრეხდა. თავისი საწოლიდან ხედავდა - გაბრდღვიალებულ ნათურის ქვეშ თვალდახუჭული არაბი ისევ უძრავად იწვა. როდესაც დარუმ სინათლე ჩააქრო, ბნელი თითქოს უცბად შედედდა. თანდათანობით ღამე გაცოცხლდა ფანჯარაში - უვარსკვლავო ცაზე ღრუბლები ნელა მიილაღლებოდა. მალე მის წინ გაწოლილი სხეულიც გაარჩია. არაბი არ განძრეულა, მაგრამ ეტყობოდა, თვალი გაეხილა. უძალო ქარი სისინით ურბენდა სკოლას. იქნებ ღრუბლები გადაერეკა და ისევ მზე გამოსულიყო.

ღამე ქარი გაძლიერდა. ერთი პირობა ქათმები აკრიახდნენ და მერე ისევ მიჩუმდნენ. არაბი გვერდზე გადაბრუნდა, დარუს ზურგი აქცია და მასწავლებელს მოესმა, რომ ამოიოხრა. სუნთქვას მიაყურადა. ახლა უფრო ღრმად და თანაბრად სუნთქავდა. დარუს ძილი არ ეკარებოდა. ყურს უგდებდა არაბის სუნთქვას და თან ფიქრობდა. მთელი წლის მანძილზე ამ ოთახში მარტოს ეძინა და ახლა ამ კაცის სუნთქვა, რომელიც შიგ ყურში ედგა, ეჩოთირებოდა. გარდა ამისა, იგი თავს ახვევდა რაღაცნაირ ახლობლობას, რაც დარუსთვის ნაცნობი გრძნობა იყო და რასაც ამგვარ ვითარებაში ვერ გაიზიარებდა. როდესაც გახდილი და იარაღახსნილი კაცები ერთ ოთახში წვანან, ჯარისკაცები იქნებიან თუ პატიმრები, მათ შორის უცნაური კავშირი იკვრება - თითქოს, მიუხედავად სხვადასხვაობისა, ისინი ყოველღამ დაღლილობისა და სიზმრების უძველეს თემში ერთიანდებიანო. დარუმ თავი გააქნია. სისულელეზე ფიქრი არ უყვარდა. უნდა დაეძინა.

მიუხედავად ამისა, ცოტა ხნის შემდეგ, როცა არაბი შეუმჩნევლად შეირხა, მასწავლებელს ისევ ეღვიძა. როდესაც პატიმარი მეორედაც გაინძრა, დარუ უხმოდ დაიძაბა. არაბი საწოლს ხელებით დაეყრდნო და მთვარეულივით ნელ-ნელა წამოჯდა. დარუსკენ არ გაუხედავს, უძრავად იჯდა, თითქოს გულმოდგინედ აყურადებსო. მასწავლებელი გაილურსა. გაახსენდა, რომ რევოლვერი მაგიდის უჯრაში დარჩა. სჯობდა დაესწრო. მიუხედავად ამისა, ისევ უთვალთვალებდა პატიმარს, რომელმაც ისევ-ისე ჩუმად ჩამოდგა ფეხი იატაკზე. შეიცადა და მერე ნელა წამოიმართა. ის იყო დარუმ შეხმიანება დააპირა, რომ არაბი დაიძრა. ახლა უკვე ჩვეულებრივი ნაბიჯით მიდიოდა, ოღონდ საოცრად უხმაუროდ. იგი ფარდულისკენ მიმავალ კართან მივიდა, ფრთხილად შეავლო ხელი საკეტს, გავიდა და კარი გაიხურა, მაგრამ ბოლომდე არა. დარუ არ განძრეულა: "მიიპარება, ფიქრობდა თავისთვის, როგორც იქნა!" მაინც მიაყურადა. ქათმები არ აკრიახებულან, მაშასადამე არაბი ზეგანზე იყო. ამ დროს ყურში ჩხრიალი მისწვდა და სანამ მიხვდებოდა, რა იყო, არაბი შემობრუნდა, კარი ფრთხილად მიხურა და უხმაუროდ დაწვა. მაშინ დარუმ არაბს ზურგი შეაქცია და დაიძინა. მოგვიანებით ძილში



ჩაესმა, რომ ვიღაცა სკოლას ფეხაკრეფით უტრიალებდა. "მეჩვენება", გაიელვებდა ხოლმე გულში და ისევ ეძინა.

როცა გაიღვიძა, დაინახა, რომ ცა მოწმენდილიყო. ცუდად მიხურული ფანჯრიდან სუფთა და ცივი ჰაერი იჭრებოდა. არაბი ახლა გადასაფარებლის ქვეშ მოკრუნჩხულიყო - პირღიას, გულისძილით ეძინა, მაგრამ დარუმ შეარხია თუ არა, ანაზდად შეხტა, აშკარად ვერ იცნო იგი და ისეთი შეშლილი თვალები შეაფეთა, მასწავლებელმა უნებლიედ უკან დაიხია: "ნუ გეშინია, მე ვარ. ადექი, ვჭამოთ". არაბმა თავი დაუქნია და კარგიო, უთხრა. სახე ისევ დაუწყნარდა, მაგრამ დაბნეული, უგულისყურო გამომეტყველება შერჩა.

ყავა ადუღდა. ორივე კაცი საველე საწოლზე იჯდა, ყავას სვამდა და ხმიადის ნატეხს ახრამუნებდა. მერე დარუმ არაბი ფარდულში შეიყვანა და ის ადგილი უჩვენა, სადაც პირს იბანდა. თვითონ ისევ ოთახში შევიდა, საველე საწოლი და გადასაფარებლები აკეცა, თავისი ლოგინი გაასწორა და იქაურობა მიალაგა. მერე სკოლა გაიარა და თეოზე გავიდა. კრიალა ცაზე მზე ამოდიოდა. ნაზი, თბილი სინათლე ეფინებოდა უდაბურ ზეგანს. ბილიკზე, ალაგ-ალაგ, უკვე ლხვებოდა თოვლი. ცოტაც და ქვა ისევ დაეპატრონებოდა აქაურობას. კბოდის პირს ჩაცუცქული დარუ უკაცრიელ ზეგანს გადაჰყურებდა და ბალდუჩიზე ფიქრობდა: აწყენინა. ისე გაისტუმრა, თითქოს არ უნდოდა ერთ ტაფაში მოხრაკულიყვნენ. ჯერაც ყურში ედგა ჟანდარმის "მშვიდობით". და გულზე რატომღაც სიცარიელისა და უმწეობის გრძნობა შემოსწოლოდა. ამ დროს, სკოლის მეორე მხარეს პატიმარმა დაახველა. დარუმ უნებლიედ ცქვიტა ყური, მერე გაბრაზებულმა გასტყორცნა ქვა. სანამ თოვლზე დაეცემოდა, ქვამ შხუილით გაჰკვეთა სივრცე. ამ კაცის მხეცური დანაშაული გულს უმღვრევდა, მაგრამ მისი გაცემა ღირსებას ულახავდა: ამაზე ფიქრიც კი ლამის ჭკუიდან შლიდა. ჯანდაბას გზავნიდა თავისიანებსაც, არაბი რომ გამოუგზავნეს და თვითონ იმასაც, ვინც მოკვლა შესძლო და გაპარვა - ვერა. დარუ ადგა, თეოზე შემოტრიალდა, ერთხანს უძრავად იდგა, მერე სკოლაში შევიდა.

არაბი ფარდულში, სოხანეზე წახრილიყო და ორი თითით კბილებს იწმენდდა. დარუმ შეხედა და უთხრა: "წამოდი". პატიმარს გაუძღვა და ოთახში შევიდნენ. დარუმ პულოვერზე მონდირის ქურთუკი მოიგდო და სალაშქრო ფეხსაცმელი ჩაიცვა. ზეზეულად ელოდა, სანამ არაბი სანდლებსა და ჩეჩს მოირგებდა. სკოლა გაიარეს. მასწავლებელმა კარზე მიუთითა: "გადი", უთხრა მან. არაბმა ფეხი არ მოიცვალა. "მეც ახლავე მოვალ", დასძინა დარუმ. არაბი გავიდა. დარუ ოთახში შებრუნდა და ორცხობილა, ფინიკი და ნატეხი შაქარი ერთად შეფუთა. საკლასო ოთახზე რომ გამოიარა, საწერ მაგიდასთან შედგა, შეყოყმანდა, მერე სკოლის ზღურბლს გადააბიჯა და კარი გამოიხურა. "აქეთ", უთხრა არაბს და აღმოსავლეთისკენ გასწია. პატიმარი უკან გაჰყვა. სკოლას ცოტა რომ გასცდნენ, დარუს რაღაც ფაჩუნი შემოესმა. უკან გაბრუნდა და სკოლის შემოგარენი მოათვალიერა. არავინ ჩანდა. არაბი ისე უყურებდა, ეტყობოდა, ვერაფერს ხვდებოდა. "წავედით", უთხრა დარუმ.

ერთი საათის შემდეგ, კირქვიან ქედთან შეისვენეს. თოვლი სულ უფრო სწრაფად დნებოდა. მზემ უცბად ააშრო ფერდი, მერე ზეგანს დააცხუნა და ერთიანად ალოკა. ზეგანი თანდათან ხმებოდა და ჰაერივით მასაც ალმური ასდიოდა. გზას რომ გაუდგნენ, მათ ფეხქვეშ მიწა უკვე გუგუნებდა. სადღაც, შორს, მხიარულად ჭყიოდა ჩიტი. დარუ ღრმად ისუნთქავდა გახურებულ ჰაერს. რაღაცნაირად აუთრთოლა გული თვალწინ გადაჭიმულმა მშობლიურმა მიდამომ, თითქმის ერთიანად რომ გადაყვითლებულიყო და თავზე ლურჯი ცის გუმბათი ადგა.



კიდევ ერთ საათს იარეს. ახლა სამხრეთისკენ ჩადიოდნენ. კლდეების ჩამოშვავებულ, ნაშალით გადატკეპნილ ბექობს მიადგნენ. აქედან ზეგანი უკვე ქვევით ეშვებოდა: აღმოსავლეთით - ვაკისკენ, სადაც ორიოდე გაჩუცული ხე მოჩანდა, სამხრეთით - დანაოჭებული, კლდოვანი სერებისკენ, რომელიც მჭმუნვარე იერს სდებდა იქაურობას.

დარუმ ორივე მხარე დაზვერა. თვალსაწიერზე, ლურჯი ცის გარდა, არაფერი ჩანდა - სულიერი არ ჭაჭანებდა. დარუ არაბს მიუბრუნდა, რომელიც გაკვირვებული შემოსცქეროდა და ფუთა გაუწოდა. "გამომართვი", უთხრა მან, შიგ პური, შაქარი და ფინიკია. ორი დღე თავს გაგატანინებს. აჰა, ესეც ათასი ფრანკი". არაბმა ფუთა და ფული გამოართვა, მაგრამ ზედ ისე დასცქეროდა, თითქოს არ იცის რა მოუხერხოსო. "ახლა, იქით გაიხედე, უთხრა მასწავლებელმა და აღმოსავლეთისკენ მიუთითა: აი, ეს თემშარა ტინგიტში მიდის. იქამდე ორი საათის სავალია. ტინგიტში ადმინისტრაცია და პოლიციაა. იქ შენ გელოდებიან". არაბმა აღმოსავლეთისკენ გაიხედა - ფუთა და ფული ისევ ხელგაწვდილს ეჭირა. დარუმ მკლავში ხელი ჩაავლო და უბოდიშოდ მიატრიალა სამხრეთისკენ. იმ ბექობიდან, სადაც იდგნენ, ძლივს მოჩანდა წვრილი ბილიკი. "აი, ის ბილიკი ზეგანს ჰკვეთს. აქედან ერთი დღის სავალზე პირველ საძოვრებსა და მომთაბარეებს შეხვდები. ისინი შენ მიგიღებენ და დაგიფარავენ, თავიანთი ადათისამებრ". არაბი ახლა დარუს უყურებდა და სახეზე ზაფრა ეროდა. "ყური მიგდე", - უთხრა დარუს. მასწავლებელმა თავი გაუქნია: "არა, გაჩუმდი. ახლა მე წავალ". დარუმ სკოლისკენ გაალაჯა, ყოყმანით გამოხედა უძრავად მდგარ არაბს და წავიდა. ერთხანს, ცივ მიწაზე, მხოლოდ თავისი ფეხის ხმა ესმოდა. უკან არ იხედებოდა. ცოტა ხნის შემდეგ მაინც მიიხედა. არაბი ისევ იქ, ბექობზე იდგა, ოღონდ ახლა ხელები ჩამოეშვა და დარუს გამოსცქეროდა. დარუს გული ყელში მოებჯინა, მაგრამ მოუთმენლობა ჩაიკლა, არაბს ხელი აუქნია და წავიდა. უკვე შორს იყო, როდესაც შედგა და მოიხედა. ბექობზე აღარავინ ჩანდა.

დარუ ყოყმანობდა. მზე საკმაოდ შემაღლებულიყო და შუბლზე აჭერდა. მასწავლებელმა ისევ განაგრძო გზა - ჯერ ფეხათრევით, მერე უკვე მტკიცე ნაბიჯით. გორაკს რომ მიადგა, ოფლად იღვრებოდა. ერთი ამოსუნთქვით აირბინა გორაკი და თხემზე მოექცა. სამხრეთისკენ, ლურჯი ცის ფონზე, მთების რიგი მკვეთრად მოჩანდა, მაგრამ აღმოსავლეთით დაბლობს უკვე ალმური ასდიოდა და დარუს გული შეეკუმშა, როცა მთრთოლავ ჰაერში დალანდა არაბი, რომელიც ნელა მიუყვებოდა ციხისკენ მიმავალ გზას.

ცოტა ხნის შემდეგ, საკლასო ოთახში დარჩობილი დარუ, უაზროდ მიშტერებოდა ზეგანს, რომელსაც გაუმაწვილებული მზის სხივები დასთამაშებდა. მის ზურგს უკან, შავ დაფაზე, საფრანგეთის მდინარეების შესართავთა შორის, გაუწაფავ ხელს ცარცით დაეწერა: "შენ ჩვენი ძმა გაეცი. გაზღვევინებთ". დარუ გაჰყურებდა ცას, ზეგანს, გონების თვალით ხედავდა ზეგანს გადაღმა, ზღვამდე გადაჭიმულ უჩინარ მიწებს. ამ თვალუწვდენელ ქვეყანაში, რომელიც ასე უყვარდა, იგი სულ მარტო იყო.

ფრანგულიდან თარგმნა ომარ აბრამიშვილმა

**არილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა მოლემიძე

# დაკარგული $O_2$-ის ძიებაში



ლაშა ბულაძემ და პრეზენ ტაციამ მშვენიერი ლიტერა ტურა მოიტაცეს და 2 ნოემბრის საღამოს თეატრალური სარდაფის მეზობელ ბუნკერში ჩაიყვანეს; მაგრამ კი არ გააუპატიურეს, არამედ სერიოზული განზრახვა გამოამჟღავნეს და ყველაფერი წესისამებრ გააკეთეს. ბულაძის ახალი წიგნის - "საუკუნის მკვლელი"-ს პრეზენტაცია მოაწყვეს, უამრავი სტუმარიც დაპატიჟეს და თამადად დათო ტურაშვილი დააყენეს, როგორც პატარძლის მონათესავე გვარის კაცი.

სანამ პრეზენტაცია დაიწყებოდა, სტუმრებმა იზრუნეს და საღამოს სიგარეტის კვამლის ფონი დაადეს. ხამი მწევლების ცხოველქმედების პროდუქტმა ბუნკერი სწრაფად შეავსო და უსარკმელო და გაუნიავებელ სივრცეში ჩამოჭაობდა. არამწეველებმა და ბავშვებმა ჩაძირული "კურსკის" ეკიპაჟივით დაუწყეს ჟანგბადს ძებნა. ნიკოტინის, ნესტისა და ლიმონის არყის მჟავე სუნის მატარებელი ნაწილაკები კი გაუთავებლად მოძრაობდნენ ცხვირი-ფილტვები-თვალის ბუდეების მიმართულებით და სულის სარკის უკანა მხარეს გროვდებოდნენ, რათა გამოეხედათ და დაენახათ კვამლის ატრაქციონი, თუ როგორ ვრცელდებოდა სინათლე სწორხაზოვნად პროჟექტორებიდან ბულაძის შუბლამდე. რომლებიც ამას ვერ ახერხებდნენ, ტვინის უჯრედებში ერთობოდნენ და ყურებიდან შემოჭრილი ხმაურის ნაწილაკებს დაჭერობანას ეთამაშებოდნენ.

- დიდი მადლობა მობრძანებისთვის! - გამოატარა მიკროფონმა ტურაშვილის ნათქვამი და გამოდინამიკებული სიტყვები მტკივან თავებზე გადაგვამტვრია.

მადლობები სხვა მიმართულებითაც ისმოდა. პირველი მისამართი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა იყო, სადაც იშვა ბულაძის წიგნი. სულაკაურმა მწერლების გაჭირვებაზე ილაპარაკა და ლიტერა ტურას მოთმინებისკენ მოუწოდა. მერე იმედი გამოთქვა, რომ გაიზრდება იმ ქველმოქმედთა რიცხვი, რომელთა ჰუმანიტარული დახმარებებით უნდა ისაზრდოოს ლიტერატურამ მკითხველის გამდიდრებამდე.

ამის შემდეგ, თითქოს რაღაცის შეეშინდათო, ყველა გამომსვლელი უმტკიცებდა ლიტერა ტურას, რომ ლაშა კარგი ბიჭი იყო და შესაფერის მეუღლეობასაც გაუწევდა. ერთმა ჯინსშემოქსოვილმა რეჟისორმა ისიც კი თქვა, ლაშა ბულაძე დახუთულ ქართულ ლიტერატურაში ულევი ჟანგბადის ბალონივითააო.

ჟანგბადის გაგონებაზე ტვინები წამით გატოკდნენ და ფილტვებს ფუნქცია შეახსენეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, შემოსავლებში იქაც მწვავე დეფიციტი იყო.

ლაშა ბულაძის წიგნის გარდა შემოსასვლელში სხვა ავტორთა ძვირ-იაფი წიგნებიც იყიდებოდა. ყანდიაშვილმა ყველა იყიდა. ლაშამ კი ბოდიში მოიხადა იმისათვის, რომ წიგნების დარიგება არ შეეძლო. ეს წიგნები გამომცემლობის უფროა, ვიდრე ჩემიო, თქვა მან, ამიტომ, თუ გნებავთ, უნდა შეიძინოთო... შეგიძლიათ მოიპაროთ კიდეცო, გააიაფა პირველი წინადადება ლაშამ.

ლიტერა ტურა კმაყოფილი იყო. პრეზენ ტაცია იბადრებოდა. ლაშა კი წინასიტყვაობას კითხულობდა. ეს იყო ერთადერთი მომენტი, როცა დარბაზი მართლა სტუმარივით მოიქცა და მასპინძელს მოუსმინა. წინასიტყვაობა მაგარ ძუაზე გამობმული ანკესი აღმოჩნდა, რომელიც წიგნს აუცილებლად ბოლომდე წაგაკითხებს. ამით ლაშამ იმ საღამოსვე მოინადირა მკითხველის სერიოზული პარტია. მოგვიანებით, როცა ტურაშვილმა მიკროფონით გამოაცხადა, ავტოგრაფები ვისაც გინდათ ავტორთან მიბრძანდითო, ლაშას მაგიდასთან რიგი დადგა.

მერე შესვენება გამოცხადდა ერთი პირობით. მეორე განყოფილებაში ახალგაზრდა ლიტერატორებს ლიტერა ტურისთვის საკუთარი ნაწარმოებების კითხვით ხოტბა უნდა შეესხათ, მაგრამ მსხვერპლშეწირვა არ შედგა. ანტრაქტის შემდეგ დინამიკებიდან მხოლოდ ტურაშვილის მადლობა გაისმა და არეულ დარბაზს ძალად მოწესრიგება აღარ დასჭირვებია.

მოკლედ, პრეზენ ტაცია შედგა... და ლიტერა ტურას მიაშტერდა. განებივრებული პატარძალი, რომელიც შესვენებამდე ეგვიპტის დედოფალივით ერთობოდა და მოწყალედ იღებდა თაყვანისმცემელთა სერიოზულობას, პრეზენტაციის მოულოდნელ დამთავრებას განერისხებინა და აედუღებინა.

- ყველაფერმა კარგად ჩაიარა, რა მოგივიდა? - სცადა მისი დამშვიდება პრეზენ ტაციამ.

- როგორ მიბედავ, შე ერთჯერადო პრეზენტაციავ! გაქრი სანამ დროა! - აენთო ლიტერა ტურა.

- კი, მაგრამ თვალებს საშინლად ჭუტავ... რას აპირებ?

- ხომ არ დაგავიწყდა, რომ სახელში "ტურა" მირევია და რომ მე ვარ მტაცებელი. ჰოდა ამ შენს გმირს სიკვდილამდე ვიმსახურებ და მერე განახებთ, ვის ვინ მოუტაცია. თუმცა შენ რას ნახავ, შე ერთჯერადო!

- ...მე ვნახავ შვილებს! - ამ სიტყვებით გაქრა პრეზენტაცია. მან ნამდვილად იცოდა რაღაცა და არ თქვა.

P.S. დათო ტურაშვილმა თქვა, რომ ყოველ ხუთშაბათს ხუთ საათზე კლუბ "სარდაფში" გაიმართება ლიტერატურული საღამოები და ყველა მსურველი დაპატიჟა...

მიბრძანდით აირწინაღებით.

ია ანთაძე

# კლასიკის უკვდავება ანუ პოლიტიკური პრაგმატიზმი და პოლიტიკური იდეალიზმი

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა. გასული ათწლეული სხვადასხვა ნიშნით შეიძლება შეფასდეს. დღეს მკითხველს ვთავაზობთ ამ ათწლეულის მრავალმხრივი პოლიტიკური შედეგის მხოლოდ ერთ ასპექტს.

Sადავო, ალბათ, არ არის, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გარდაქმნა საქართველოს სახელმწიფოდ ჯერ არ დასრულებულა.

სამაგიეროდ, დიდხანს შეიძლება ვიდავოთ იმის შესახებ, თუ რას მივაღწიეთ, ან მომავალში რას მოგვიტანს ის, რასაც დღემდე მივაღწიეთ.

"არილის" დღევანდელი ნომერი ბატონ ჯემალ ქარჩხაძის ხსოვნას ეძღვნება და მეც გავიხსენებ მის ერთ თვალსაზრისს, რომელიც შემდგომ მსჯელობას გამიადვილებს: **"როცა ვამბობთ, რომ ქვეყანა რაღაცას უპირისპირდება, რაღაცას აკეთებს ან არ აკეთებს, არსებითად, ჩვენ ვსაუბრობთ ადამიანთა იმ ჯგუფზე, რომლიც ქვეყანამ შვა სწორედ იმისთვის, რომ მისი სახელით იმოქმედოს, მისი ხმლობა და ფარობა გასწიოს. ამდენად, ქვეყნის დაცემა თუ აღმავლობა დამოკიდებულია არა მთელ ქვეყანაზე, არამედ - ხალხის იმ ნაწილზე, რომელიც ამ კონკრეტულ ეპოქაში ქვეყანამ თავზე მოიგდო, როგორც მისი ინტელექტუალური და მორალური ნაღები".**

ესე იგი, არსებობს ერთიანი სისტემა, რომელსაც გარდაქმნა სჭირდება და, იმავდროულად, არსებობს ადამიანთა ჯგუფი (ჯგუფები), რომელიც სისტემამ შვა ამ გარდუვალი ცვლილებების განსახორციელებლად, - ეს არის ჩვენი ქვეყნის მთავარი პოლიტიკური რეალობა გასული ათწლეულის განმავლობაში.

დღეს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების შესახებ არ ვისაუბრებთ. გვერდს ავუვლით, აგრეთვე, საქართველოში ფაქტობრივად თუ ფიქტიურად არსებულ მრავალ პოლიტიკურ პარტიას და ვისაუბრებთ მხოლოდ ორ პოლიტიკურ ჯგუფზე. ისინი, ჩემი აზრით, ერთმანეთს ავსებენ და ერთ მთლიანობას ქმნიან. რაც მთავარია, მათ მიერ საკუთარი ფუნქციის შესრულებაზე დიდწილად იქნება დამოკიდებული, საბოლოოდ რით დასრულდება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალ სახელმწიფოდ გარდაქმნის პროცესი.

ჩემი ნაცნობების პოლიტიკური სიმპათიები და საარჩევნო ხმები წლების განმავლობაში სწორედ ამ ორ ჯგუფს შორის ნაწილდება. მათგან პირველი ედუარდ შევარდნაძის პარტიის რეფორმატორთა ჯგუფია, რომელსაც, პირობითად, ზურაბ ჟვანიას გუნდს ვუწოდებთ, ხოლო მეორე - რესპუბლიკური პარტია, რომელსაც, ასევე პირობითად, შეგვიძლია, ვუწოდოთ დავით ბერძენიშვილის გუნდი.

ჩემთვის ცხადია, რომ ძალთა ასეთი დაჯგუფება უცნაურად გამოიყურება, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ჟვანიას გუნდი ახლოს არის "თითქმის ყველაფერთან", ხოლო ბერძენიშვილის გუნდი - "თითქმის არაფერთან". მართლაც, არ არის ადვილი, მკითხველმა ერთი მთლიანობის ორ ნაწილად აღიქვას ის ჯგუფები, რომელთა წევრებს ერთ სასიამოვნო სიტყვასაც ვერავინ ათქმევინებს ერთმანეთზე.

და მაინც, გავიხსენოთ თავდაპირველი ამოცანა: გარდასაქმნელი სისტემა და ჯგუფი, რომელსაც ამ სისტემის



გარდაქმნა ევალება. დასახელებული ორი პოლიტიკური გუნდის ფუნქცია სწორედ ამ ზეამოცანის კონტექსტში განვიხილოთ.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ მთელი შემდგომი მსჯელობა პირობითია. მაგრამ მოვლენის არსს ეს პირობითობა არ ასცდება.

* * *

ჟვანიას გუნდი და ბერძენიშვილის გუნდი, ერთი მხრივ, ერთმანეთის მსგავსია, მეორე მხრივ კი - ერთმანეთისგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა.

მსგავსების არსი ისაა, რომ მათგან თითოეულს გააზრებული აქვს სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა და პრინციპში ერთგვარია მათი წარმოდგენებიც იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ახალი სისტემა.

გაცილებით რთულია ამ ორი პოლიტიკური ჯგუფის დაპირისპირების არსი.

რაკი სისტემა გარდაქმნას მოითხოვს, ესე იგი, მასში ბევრი რამ არასწორად არის მოწყობილი. გარდაქმნისთვის ორი კლასიკური გზა არსებობს: ზემოქმედება გარედან და შიგნიდან. ბერძენიშვილის გუნდის მსოფლხედვა ასეთია: **სისტემა სავსეა ჭუჭყით და სიბინძუ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რით. მე მინდა მისი გარდაქმნა, მაგრამ ჭუჭყით არ გავისვრები - ჩემი არსი ჩემს სისუფთავეშია. ამიტომ, სისტემაში არ შევალ და გარედან ვეცდები ზემოქმედებას. თან დაველოდები მის დაწმენდას იქამდე, ვიდრე იგი ჩემთვის უსაფრთხო და მისაღები არ შეიქნება.**

ჟვანიას გუნდის მსოფლხედვა ასეთია: **სისტემა სავსეა ჭუჭყით და სიბინძურით. მე მინდა მისი გარდაქმნა. ამიტომ, არათუ შევალ ამ სისტემაში, არამედ, მისი ღვიძლი შვილი გავხდები და იქამდე ვიბრძოლებ, ვიდრე სისტემის გარდაქმნას არ შევძლებ შიგნიდან.**

* * *

მიმდინარე წლის 28 მაისს მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა ჩაატარა დისკუსია თემაზე: "პოლიტიკური პრაგმატიზმი და პოლიტიკური იდეალიზმი". ამ საინტერესო შეხვედრის არსი დაახლოებით იმავე თემაზე მსჯელობა იყო, რაზეც ოთხი წლის წინ საუბრობდა ბატონი ჯემალ ქარჩხაძე: ქვეყანა შეძლებს იმდენს, რამდენსაც მისი რჩეული შვილები შეძლებენ.

ვისი მსოფლხედვა და პოზიცია უფრო მეტად შეესაბამება ქვეყნის ინტერესებს - იმისი, ვინც სისტემის გარდაქმნას შიგნიდან აპირებს და, ამიტომ, ხანგრძლივად უხდება სიბინძურეში "ჩაყუდება", თუ იმისი, ვინც ჭუჭყს არ იკარებს და, შესაბამისად, სისტემაზე ზემოქმედების ბერკეტები თითქმის არ გააჩნია?

დისკუსიისას ორივე პოზიციასთან დაკავშირებით არაერთი არგუმენტი გამოითქვა. ამ არგუმენტებს თეზისური და დაჯგუფებული სახით შემოგთავაზებთ.

**1. ჟვანიას გუნდის სასარგებლო არგუმენტები.**

ა) "დემოკრატიული პოლიტიკა პრაგმატულად მოაზროვნე და მოქმედი ადამიანების საქმეა. მაგრამ ნებისმიერი კომპრომისი, მანევრი, უკან დახევა დასაშვებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არ არსებობს სხვა, უკეთესი გზა, რომელიც მიზნამდე მიგვიყვანს" (გია ნოდია).

ბ) "დემოკრატიული არჩევანი ცუდსა და უარესს შორის არჩევანია, რადგან კარგი ხელისუფლება, რომლითაც ხალხი კმაყოფილია, მხოლოდ ტოტალიტარულ რეჟიმშია შესაძლებელი. დემოკრატიაში ისაა ნორმალური, რომ ხალხი უკმაყოფილო იყოს ხელისუფლებით, მაგრამ არჩევნებში საღი აზრი გამოიჩინოს და ნაკლებად მიუღებელ ძალას მისცეს ხმა" (გია ნოდია).

გ) "დემოკრატიისთვის ტიპიურია ვითარება, როცა პოლიტიკოსებს უხდებათ 49,9%-ით უვარგისი გადაწყვეტილებების მიღება - მხოლოდ იმიტომ, რომ ალტერნატივა ცუდია 50,1%-ით. დემოკრატიის არსია პოლიტიკური ანგარიში და მიზნის მიღწევა პოლიტიკური ვაჭრობის საფუძველზე - რათა მიღწეულ იქნას პოლიტიკური ბოროტების კლება 0,2%-ით" (გია ნოდია).

დ) "საქართველოში პოლიტიკური ელიტის ქცევის წესებს მთლიანად განსაზღვრავს სახელისუფლო სივრცე, კულუარული ურთიერთობები... რაც მეტი მოთამაშეა ამ სივრცეში, მით მეტი ანგარიშგასაწევი ფაქტორი არსებობს. ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მონაწილეობის გაფართოებას, საზოგადოების სხვადასხვა ფენის ჩართვას პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, ამ პროცესის "სიმძიმის ცენტრის" გადმოტანას კულუარებიდან საჯარო პოლიტიკაში" (დავით ზურაბიშვილი).

დ) "რაც უფრო ახლოს არის სუბიექტი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების ადგილთან, მით მეტი პრაგმატიზმი და ნაკლები იდეალიზმი მართებს მას" (დავით უსუფაშვილი).

**2. ჟვანიას გუნდის საწინააღმდეგო არგუმენტები.**

ა) "რეფორმატორული ნაწილი დროულად უნდა მოწყდეს მოქალაქეთა კავშირს, რადგან იგი იძირება იმ ჭაობში, სადაც მთელი მათი ენერგია შეიძლება დაიხარჯოს ბაკურ გულუას დამარცხებაზე" (ლევან ბერძენიშვილი).

ბ) "დღეს ჩვენ დამოკიდებული ვართ იმაზე, შეძლებენ თუ არა ჟვანია და მისი გუნდი, გამოვიდნენ იმ იდეალისტური და ირაციონალური პოლიტიკიდან, რომელსაც შევარდნაძე ატარებს" (ლევან ბერძენიშვილი).

გ) "ბატონი ზურაბ ჟვანია პრაგმატიკოსია, როცა ხელისუფლების შენარჩუნებას მაფიოზებთან ალიანსით ცდილობს; მაგრამ იგი გამოუსწორებელი იდეალისტია, როცა ამ გზით შენარჩუნებული ხელისუფლებით ქვეყნისთვის სიკეთის მოტანას გეგმავს. რა დაგვრჩება ხელში, თუ ბატონ ჟვანიას იდეალისტური ქმედებები კრახით დამთავრდება? ხელისუფლებაშენარჩუნებული ჟვანია დაქცეულ ქვეყანაში" (დავით უსუფაშვილი).

**P.S. მოგვიანებით, ამავე საფრთხეზე მიანიშნა ჩემთან პირადი საუბრისას "ახალი ფრაქციის" ლიდერმა დავით გამყრელიძემ.**

დ) "თუ მიზნების პერსპექტივა დავკარგეთ და პოლიტიკური მანევრების ერთადერთ გამართლებად ძალაუფლებისთვის თამაშში მოკლევადიანი გამარჯვებები გახდა, ქმედების ასეთი წესის უფრო მიღებული სახელია ოპორტუნიზმი, ანუ პოლიტიკური უპრინციპობა" (გია ნოდია).

ე) "ჟვანია-სააკაშვილის მხრიდან მოქალაქეთა კავშირის შევარდნაძულ ნაწილთან მუდმივ კომპრომისებზე წასვლაში არანაირი პრაგმატიზმი არაა. უფრო მეტიც, ეს აღარც ის იდეალიზმია, რომ პოზიციებს გაიმყარებენ და შევარდნაძის შემდეგ რამეს შეცვლიან. პრინციპების უგულებელყოფით მოქმედება მათ უჩინარ მომხრეებს უკარგავს. ხოლო თუ მათ ეს არად უღირთ და რელიგიური ფანატიზმითა და კორუფციით სავსე ქვეყანაში შეუძლიათ უსასრულოდ იდგნენ პოლიტიკურ ოლიმპზე, ეს კიდევ ერთხელ დაადასტურებს ჩემი კრიტიკის მართებულობას" (ზურაბ ჭიაბერაშვილი).

**3. ბერძენიშვილის გუნდის სასარგებლო არგუმენტები.**

ა) "მოჭარბებული პრაგმატიზმი - იდეალიზმის ელემენტების გარეშე - ოპორტუნიზმად და უპრინციპობად გარდაიქმნება" (გია ნოდია).

ბ) "რაც უფრო შორს არის სუბიექტი გადაწყვეტილების მიღების ადგილიდან, მით ნაკლები პოლიტიკური პრაგმატიზმისა და მეტი პოლიტიკური იდეალიზმის უფლება შეიძლება მისცეს საკუთარ თავს" (დავით უსუფაშვილი).

გ) "არასამთავრობო ორგანიზაციათა პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბება არაპერსპექტიულია. ძლიერი ორგანიზაციული სტრუქტურის არარსებობის, სუსტი დაფინანსების, საზოგადოების მხრიდან სუსტი მხარდაჭერის ან, პირიქით, ძლიერი წინააღმდეგობის პირობებში, ახალი პოლიტიკური მოძრაობა, მაქსიმუმ, ინტელექტუალთა კლუბის ფუნქციას შეასრულებს და დაემსგავსება რესპუბლიკელებს - სიმპათიურ, პატიოსან, მაგრამ რეალური შანსების არმქონე პარტიას" (დავით ლოსაბერიძე).

**4. ბერძენიშვილის გუნდის საწინააღმდეგო არგუმენტები.**

ა) "ბევრი პარტია, რომელიც ზნეობის სახელით მივიდა პოლიტიკაში, დარჩა რეალური პოლიტიკის გარეთ, რადგან ჩათვალა, რომ მხოლოდ უზნეობასთან დაპირისპირება საკმარისი იყო გამარჯვებისთვის" (რამაზ საყვარელიძე).

ბ) "პროგრესულ-დემოკრატიული ელიტის უხერხემლობის გამო საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა პოლიტიკური ძალა, რომელიც არსებულ ხელისუფლებას რეალურ ალტერნატივას შეუქმნიდა... ბოლო დრომდე რესპუბლიკური პარტიის ამომრჩეველი ვიყავი. მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ მხარდაჭერა უფრო ამ პარტიის რამდენიმე წევრისადმი პირად სიმპათიას ეყრდნობოდა, ვიდრე რაციონალურ პოლიტიკურ გათვლას. რას ნიშნავდა, ვთქვათ, ის, რომ 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში პარტიამ მხარი დაუჭირა ან განსვენებულ აკაკი ბაქრაძეს? ამ გადაწყვეტილების "მესიჯი" საკმაოდ გამოკვეთილი იყო: "ძალიან გთხოვთ, სერიოზულად ნუ მიგვიღებთ". ამომრჩეველმა მესიჯი ადეკვატურად აღიქვა და მაშინ ჯერ კიდევ პერსპექტიულად მიჩნეულ რესპუბლიკელებს ზურგი შეაქცია" (გია ნოდია).

გ) "რომანტიკული დევიზის - "ყველაფერი ან არაფერი" - თანმიმდევრული განხორციელება ლიტერატურაში გმირის სიკვდილით უნდა დამთავრდეს. ასევე, სრული პოლიტიკური უკომპრომისობა პოლიტიკური სიკვდილისკენ მიმავალი გზაა" (გია ნოდია).

* * *

კავკასიური ინსტიტუტის მიერ გამართული დისკუსიის ერთ-ერთი მთავარი კითხვა ასე ჩამოყალიბდა: რა იქნება უკეთესი ჩვენი ქვეყნისთვის - ჟვანია და მისი თანამოაზრეები დარჩნენ სისტემის წიაღში თუ, ბოლოს და ბოლოს, გაემიჯნონ ედუარდ შევარდნაძეს?

ეს თემა ახალი არ არის. ჯერ კიდევ 1998 წლის 7 ივლისს, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ზურაბ ჟვანიას შეხვედრისას, სამოქალაქო სექტორმა ჟვანია აღიარა თავის ლიდერად, ოღონდ, შესთავაზა, "უფრო ზევით ასწიოს" იმ ადამიანების სტანდარტები და კრიტერიუმები, ვისთან ერთადაც იღებს გადაწყვეტილებებს (დავით უსუფაშვილი).

ხოლო 1998 წლის 3 აგვისტოს, მინისტრების გადადგომა-გადმოდგომის და სამთავრობო ცვლილებების შემდეგ, ვასილ მაღლაფერიძე გაზეთ "კავკასიონში" წერდა: **"მიღწეული შედეგი საკმაოდ მცირეა იმასთან შედარებით, რასაც საზოგადოების დემოკრატიული სეგმენტი მოითხოვდა ზურაბ ჟვანიასგან. მაგრამ დასაფიქრებელია ისიც, რამდენად შეეძლო მას მეტის მიღწევა. არის კი საზოგადოების დემოკრატიული ნაწილი მზად გენერალური ბრძოლისთვის? არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარლამენტის თავმჯდომარის ბოლო შეხვედრის დროს აშკარად იგრძნობოდა, რომ ეს იყო მდინარის სხვადასხვა მხარეს მყოფი მონათესავე სულების შეხვედრა. ზურაბ ჟვანია სრულიად არაორაზროვნად დაპატიჟეს აქეთ ნაპირზე ლიდერად, რომლის გარშემოც გარკვეული კონსოლიდაცია მოხდებოდა. მაგრამ ძნელია დაბეჯითებით იმის მტკიცება, რომ ახლად ჩამოყალიბებული კავშირი უახლოეს ხანებში მოახერხებდა სახელისუფლო ნაპირზე ორგანიზებულად გადაბარგებას. ზურაბ ჟვანიამ ამგვარი რისკი, როგორც ჩანს, ზედმეტად გაუმართლებლად მიიჩნია და, პირიქით, აპირებს, რომ თავის ნაპირზე თითო-თითოდ გადაიყვანოს მოკავშირეები, რათა დაიცვას და გააფართოოს მოპოვებული სახელისუფლო სივრცე."**

ამ სტრიქონების გამოქვეყნებიდან ორი წლის შემდეგ ვითარება არსებითად არ შეცვლილა, თუმცა, უფრო მეტად ეჭვი გაღვივდა, ვიდრე იმედი.

კავკასიური ინსტიტუტის მიერ მოწყობილ დისკუსიაზე ბატონმა გია ნოდიამ კიდევ ერთხელ დასვა შეკითხვა: **"როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქეთა კავშირის რეფორმატორული ფრთა - უნდა გაემიჯნოს თუ არა პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლებას, რომლის მიმართ საზოგადოების ნდობა კატასტროფულად ეცემა?"**

ამ შეკითხვის ნოდიასეული პასუხი რამდენიმე პუნქტისგან შედგება:

1. თუ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ "რეფორმატორებმა" უბრალოდ ლამაზი ჟესტი გააკეთონ და თბილისის ინტელექტუალურ სალონებში კარგი ბიჭების იმიჯი დაიყენონ, ან მორიგი 3-4%-იანი პარტია შექმნან, - მაშინ ეს უპასუხისმგებლო საქციელი იქნება.

2. "დარჩენა-გამიჯვნის" შესახებ გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს რეალურ პოლიტიკურ გაანგარიშებას. "დარჩენის" სასარგებლო არგუმენტი ისაა, რომ ეს ერთადერთი გზაა სერიოზული პოლიტიკური გავლენის შესანარჩუნებლად, ხოლო ეს გავლენა შეიძლება ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს წაადგეს.

3. მეორე მხრივ, თუ კონკრეტული შედეგის იმედი არ არის, კორუმპირებულ ხელისუფლებასთან ასოციაციით, იფლანგება "რეფორმატორების" მიერ დაგროვილი პოლიტიკური კაპიტალი. "რეფორმატორები" ვერ ახერხებენ უკუსვლის ტენდენციის შეჩერებას, არადა, კოალიციაში არიან ისეთ ხალხთან, ვისთვის ხელის ჩამორთმევა, შეიძლება, წესიერი კაცისთვის მთლად სასიამოვნო არ იყოს.

* * *

რეალობა ასეთია: სისტემის გარდაქმნა დაიწყო, მაგრამ ვერ დასრულდა. ვინ არის სწორი - ვინც სისტემას ებრძვის შიგნიდან და დღითიდღე სულ უფრო მეტად ისვრება; თუ ის, ვინც არ რისკავს და საზოგადოებას სათუთად უნახავს წარმოდგენებს იდეალების შესახებ?

არჩევნების შედეგები ამ კითხვის პასუხად არ გამოდგება. რადგან ჩვენთან არჩევნები პასუხისმგებლობის მიღმა დგას. მოსახლეობამ, თითქმის სრული შემადგენლობით, ზედიზედ დაუჭირა მხარი ჯერ ზვიად გამსახურდიას, შემდეგ კი ედუარდ შევარდნაძეს. არავის დაუთვლია, რამდენად უფასებს საზოგადოება ჟვანიას გუნდს სახელისუფლო ნაპირზე ყოფნას, ან ბერძენიშვილის გუნდს - პოლიტიკური იდეალიზმის ერთგულებას.

მაგრამ, ვფიქრობ, სისტემის გარდაქმნის მეთოდოლოგიის შესახებ პასუხი ქართულ საზოგადოებაში მაინც არსებობს. ამ პასუხის მისაღებად შეგახსენებთ კლასიკურ რეცეპტს: "ვეფხისტყაოსანს".

* * *

ნესტან-დარეჯანის საძებნელად წამოსული ავთანდილი შემთხვევის წყალობით მოხვდა ლამაზ-ქალაქში, რომელსაც გულანშარო ერქვა. ეს ქალაქი ზამთარ-ზაფხულ ნაირფერ ყვავილებში იყო ჩაფლული და მოკეთეს გულს უხარებდა. აქ მოხუციც ახალგაზრდავდებოდა, იყო გაბმული სმა, თამაში, სიმღერა. სავაჭრო ქალაქში გლახაც კი ერთ თვეში მდიდრდებოდა. მოკლედ, გულანშაროში მოხვედრილ კაცს თავი სამოთხეში ეგონა.

მაგრამ ლამაზ-ქალაქში, თურმე, მტერს, ისეთი ამბები ხდებოდა, - ოღონდ, არა გაშლილ ბაღჩა-ბაღებში, არამედ - დახშულ სივრცეებში, იდუმალ ვითარებაში.

ავთანდილი - არაბეთის მეფის მიჯნური და ქვეყნის სპასპეტი - სავაჭრო ქალაქში (მისთვის ახალ გარემოში, ახალ მსოფლმხედველობრივ სისტემაში) შევიდა, როგორც თავისიანი - ვაჭრულად შემოსილი და ქარავნით დამშვენებული. "გადაცმა", "გათავისიანება" მან საჭიროდ მიიჩნია, რადგან გზაზე იდგა კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად - ათი წლის წინ დაკარგული ნესტან-დარეჯანის მოსაძებნად. უცხოდ მისულს არავინ მიენდობოდა, ვაჭრულად გადაცმულს კი თავისიანად მიიღებდნენ.

პირველი განსაცდელი ავთანდილს მაშინ შეეფეთა, როდესაც ვაჭართა უხუცესის ცოლმა - ფატმანმა - სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიჯნურო წერილი გამოუგზავნა: ნეტავ იმ დროს, როცა ან სიცოცხლეს გადამიწყვეტ, ან სიკვდილსო! რა ეპასუხა ავთანდილს, რომელიც მნათობებს სიკვდილს ევედრებოდა, რადგან თავის მიჯნურთან - თინათინთან - განშორება ვერ აეტანა? რა ეპასუხა მას ვარდს წაპოტინებული ყვავისთვის? ჰოდა, კიდეც გაიკვირვა: **"რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია"**-ო.

საძრახავი გულში კი დაუძრახა შავგვრემან და პირმსუქან ფატმანს, მაგრამ შემდეგ, აი, რა იფიქრა: ჩემი შემწე ჩემს გარდა არავინაა. ვისთვისაც გამოვჭრილვარ, რადგან მისი მოძებნა ნამდვილად მინდა, - რა ხერხითაც მოვიპოვებ, იმას ვიქმ. გულმა სხვა რა უნდა მიკარნახოს?

შემდეგ კიდევ სამი სტროფის განმავლობაში აყალიბებს ავთანდილი არგუმენტაციას და როდესაც ამ საქმეს დაასრულებს, ფატმანს მისწერს: დამასწარი, თორემ შენგან მე უფრო მეტი ალი მედებაო.

პირველი კომპრომისი ავთანდილისგან თანდათან სულ უფრო მეტ დათმობას მოითხოვს - მახინჯი სისტემა მას მორევივით ითრევს და ავთანდილიც ამ სისტემის სულ უფრო ღვიძლ შვილად იქცევა: ფატმანის დავალებით კლავს ვინმე ჭაშნაგირს - ფატმანის ყოფილ საყვარელს; კლავს მის ორ მსახურს; ჭაშნაგირს მოკვეთს თითს და ბეჭდიანად ფატმანს მიართმევს, რათა იგი უეჭველად დარწმუნდეს მისთვის საშიში კაცის სიკვდილში. ამ აქტით ავთანდილი ლამის კანიბალად იქცევა: მას სთხოვენ მხოლოდ ბეჭედს და მოაქვს არა ბეჭედი, არამედ - ბეჭდიანი თითი, რითიც ფატმანს საბოლოოდ უდასტურებს თავის მდაბალ ბუნებას და ხდება "თავისიანი უცხოთა შორის". დაბოლოს, იგი სარეცელს იყოფს ფატმანთან.

ასეთი კომპრომისების ფასად, ავთანდილი შეიტყობს ნესტანის ამბავს, ანუ ჩაკეტილი სივრციდან - საიდუმლოებების ქალაქიდან (რისი დასტურიც იყო, თუნდაც, ფატმანისა და ჭაშნაგირის ურთიერთობა) ავთანდილი წამოიღებს ყველაზე არსებით საიდუმლოს.

რა არის ეს მისი მხრიდან - პრაგმატიზმი თუ ოპორტუნიზმი? იმაზე მაღალი პრინციპები აღარ არსებობს, რისი უგულებელყოფაც ავთანდილს გულანშაროში მოუხდა. მაგრამ მისი თავგანწირული გადაწყვეტილების შედეგად, "ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ბოლოს, თხამ და მგელმა ერთად დაიწყო ძოვა. ეს მხოლოდ მხატვრული სახე როდია: პოემის გმირების ძალისხმევით, ორივემ - მსხვერპლმა და მოძალადემ - დაკარგა თავისი ბუნება და ერთმანეთის თანასწორი შეიქნა. მთელ სამყაროსთან ერთად, მადლი გულანშაროზეც გავრცელდა, - ასეთია "ვეფხისტყაოსნის" ლოგიკა.

იმის გამო, რომ ვაჭრულად გადაცმული და გამდაბიოებული ავთანდილი, სინამდვილეში, უზენაეს ღირებულებებს ემსახურება, პოემის ავტორი თან დაჰყვება და ამხნევებს მას: როდესაც ფატმანი ახალ სატრფოს ძველის მოკვლას ავალებს, ავთანდილი უყოყმანოდ აიღებს ხელში ლახტს და პირველად სწორედ აქ წამოეწევა ავტორი: **ნურც კი დაეჭვდები, რომ ქვეყნად მისი მსგავსი სულდგმული კიდევ სადმე იყოსო,** - ეუბნება იგი მკითხველს. შემდეგ, როდესაც ავთანდილი ჭაშნაგირის ორ მონას თმა-ტვინს გაუერთიანებს, ხოლო თვით ჭაშნაგირს დანით დაკლავს, ბეჭდითურთ თითს მოჰკვეთს და ცხედარს სარკმლიდან ზღვაში გატყორცნის, სწორედ მაშინ ჩაერევა ავტორი თხრობაში: **წამოვიდა ტკბილი ვარდი, ან რას უნდა გაემწარებინა! ის კი მიკვირს, სისხლი ასე ჩუმად როგორ მოიპარაო.**

გამოდის, ავთანდილის კანიბალიზმი შოთა რუსთაველისთვის ოდენ პრაგმატიზმია და არა ოპორტუნიზმი. მისი გმირისთვის არ არსებობს პრობლემა **"სურვილების მოაზრებიდან საშუალებათა მოაზრებამდე"**, რისკენაც დღევანდელ ქართველ პოლიტიკოსებს მოუწოდებენ.

დღევანდელმა პოლიტიკოსებმა მეტისმეტად გრძელი გზა უნდა განვლონ, ვიდრე ავთანდილის პრაგმატიზმს და პრინციპებთან კომპრომისის უნარს დაეწევიან.

მეორე მხრივ, შოთა რუსთაველის პოემის უმთავრესი გმირი, ვეფხისტყაოსანი მოყმე, ზის გამოქვაბულში და უზენაესის ხმას აყურადებს. იგი ვერ წავა გულანშაროში და ფატმანთან სარეცელს ვერ გაიყოფს - საამისოდ ზედმეტად იდეალისტი და რომანტიკოსია. მან უნდა მოიპოვოს სიბრძნე მარტოდ მყოფობით, ყოველი მახინჯი სისტემისგან შორს - გამოქვაბულში, რომელიც სულიერების შუაგულის სიმბოლოა. და მისგან სწორედ ამგვარი არჩევანია საჭირო მახინჯი სისტემების გარდასაქმნელად. მისი დიდი სისუფთავე და სულიერება, სხვა გმირების ღვაწლთან ერთად, ქმნის ახალ, ძალადობისგან დაცლილ სამყაროს "ვეფხისტყაოსანში".

* * *

ამბობენ, რომ კლასიკა უკვდავია. ქართულმა ცნობიერებამ იდეალურ გმირად აღიარა ავთანდილი, რომელიც შევიდა მახინჯ სისტემაში, რომელმაც ჩაიდინა იმ სისტემისთვის ორგანული ყველა სიმახინჯე და, საბოლოოდ, გარდაქმნა ეს სისტემა.

იდეალური გმირია ტარიელიც, რომელსაც სრულებით აღარ აღელვებდა ამქვეყნიური ხინჯები და ყველასგან მოშორებით, გამოქვაბულში ცდილობდა, სულიერების ჭურჭლად ქცეულიყო.

ასეთმა მსჯელობამ, შესაძლოა, გააჩინოს ირონია ან, უკეთეს შემთხვევაში, ბუნდოვანება იმასთან დაკავშირებით, რომ ჟურნალისტი ჟვანიას და ბერძენიშვილს, ან ვინმე სხვას "ვეფხისტყაოსნის" გმირებს ადარებს. საქმეც ისაა, რომ თითოეულ ჩვენგანში ცოცხლობს ავთანდილი - როდესაც ვცდილობთ, არ შევეგუოთ დაბრკოლებას და ათასი გზა მოვძებნოთ დასახული მიზნის მისაღწევად. ჩვენშივეა ტარიელი - როდესაც ამქვეყნიური ავ-კარგი თავს გვაბეზრებს და მარტოობაში ჭეშმარიტების მიყურადება მთელ სიცოცხლედ გვიღირს. ჩვენში ცოცხლდება ნესტანი - როდესაც ჩაკეტილი სივრცე გვახრჩობს და სიცოცხლე აზრს კარგავს თავისუფლების გარეშე. და ჩვენშია თინათინი, - როდესაც საკუთარ თავში ვპოულობთ რწმენას, რომ მოყვასისთვის გავცეთ ყველაზე სანუკვარი, რათა დაგვიბრუნდეს ის, რაც გავეცით.

* * *

მაშ, ასე, სისტემის გარდაქმნის გზაზე ქართული მსოფლაღქმა აღიარებს როგორც პრაგმატიზმის, ისე იდეალიზმის აუცილებლობას. ერთმა უნდა იმოქმედოს, მეორემ კი - მიაყურადოს; ერთი თხემით ტერფამდე უნდა ჩაყურყუმალავდეს, მეორეს კი - წვეთი არ მიეკაროს. ოღონდ, ორივემ უნდა იცოდეს, რისთვის აკეთებს იმას, რასაც აკეთებს და, რაც მთავარია, არ უღალატოს თავის ფუნქციას.

დღეს ხშირად გაიგონებთ: ჟვანიამ დაუშვა შეცდომა. ეს შეფასება ხშირად ისეთ გადაწყვეტილებებს ეხება, რომლებიც არათუ ხელს უშლიან, არამედ - ეხმარებიან ჟვანიას თავისი პოლიტიკური ფუნქციის შესრულებაში. რადგან ეს გადაწყვეტილებები მართლაც არასწორია, ვთქვათ, არაბეთისთვის, მაგრამ სწორია - თუკი გმირი გულანშაროში იმყოფება. შეცდომაა მხოლოდ ის, რომ კაცმა გარისკოს გულანშაროში შესვლა და შემდეგ ვეღარ გარისკოს რაინდულ კოდექსზე უარის თქმა. და კიდევ ერთი საფრთხეც არსებობს - როცა გმირი ისე მოირგებს ვაჭრის სამოსს, რომ მასზე საბოლოოდ გაცვლის რაინდულ შესამოსელს. ეს - ნამდვილად უსაშველო შეცდომაა.

ჩვენს საზოგადოებაში, განსაკუთრებით, ბოლო

წლებში, ხშირად საუბრობენ რესპუბლიკური პარტიის ნაადრევ გარდაცვალებაზეც. იმის გამო, რომ რესპუბლიკელები ვერ ავლენენ სათანადო "ფხას" და მუდამ პროცესების მიღმა რჩებიან. რატომ? ამ ჯგუფის წევრების ჭკუა-გონების ხარისხი არავის აეჭვებს. ამბიციები კი არც სხვებს აკლიათ, თუნდაც, იმათ, ვინც ახლა პარლამენტში ზის. რესპუბლიკელებს მუდმივად საყვედურობენ, რომ ისინი არასწორად არჩევენ პოლიტიკურ პარტნიორებს. მართლაც - თუკი ისინი საერთოს პოულობენ ხან ერთ და ხან მეორე პოლიტიკურ ძალასთან, რით ვერ მონახეს საერთო "რეფორმატორებთან"? დამეგობრებოდნენ მათ და ერთმანეთი გაეძლიერებინათ!

ლოგიკა სწორია, წარმოუდგენელიც კია, რატომ არ მოხდა ამდენხანს მათი პოლიტიკური დაახლოება. ოღონდ, ამ შემთხვევაში, რესპუბლიკელები დაკარგავდნენ თავის განუმეორებელ ფუნქციას - სისტემის გარეთ ყოფნის და ზნეობრივ კოდექსზე ორიენტაციის ფუნქციას. სწორედ საკუთარი ფუნქციის აღსასრულებლად დარჩა ტარიელი გამოქვაბულში, თორემ, უფრო "სწორი" არ იქნებოდა, მეგობარი მარტო არ გაეშვა და თავისი მიჯნურის მოსაძებნად გაჰყოლოდა?

ასე რომ, ჯერჯერობით, ერთმანეთთან დაპირისპირების მიუხედავად, ორივე ძირითადი პოლიტიკური ჯგუფი - ჟვანიას გუნდი და ბერძენიშვილის გუნდი - თავის ფუნქციას ასრულებს.

ამის დასტურია თუნდაც ის უპრეცედენტო ფაქტი, რომ პოლიტიკური პარტიის ლიდერი - ივლიანე ხაინდრავა - ლოგიკური და ზნეობრივი მოსაზრებებით გადადგა. იგი შეიცვალა ახალი ლიდერით - დავით ბერძენიშვილით. ისინი მეგობრები არიან და ეს ცვლილებაც საზოგადოებისთვის, ისევე, როგორც პარტიისთვის - უმტკივნეულო და უხმაუროა.

თუკი საქართველოში შესაძლებელი აღმოჩნდება, რომ ადამიანებმა და პოლიტიკურმა ჯგუფებმა მოიკრიბონ ნებისყოფა და პირნათლად შეასრულონ თავისი ფუნქცია, ესე იგი, იარსებებს შანსი და იმედი, რომ მახინჯი სისტემა, ადრე თუ გვიან, გარდაიქმნება. ყოველ შემთხვევაში, ასეთია "ვეფხისტყაოსნის" სამარადჟამო, კლასიკური რეცეპტი.

**არილი**

ზაზა ფაჩუაშვილი

# ბორია ივანოვის მონოლოგი

*საიდამა ხარ, რამ მოგავლინა,*
*ჰოი, საკვირველო კაცო, მითხარი*
*ილია*



ბორია ვარ ივანოვი და ჯვარს ვაშენებ ზედაზენზე. თქვენ კიდევ მეუბნებით, არ შეიძლებაო, კურთხევა უნდაო; ამის გარეშე ჯვარი გეომეტრიული ფიგურაა და მეტი არაფერიო; ეგრე კაცის იშტაზე რომ ეკიდოს საქმე, აფთიაქის აბრებსა და გზაჯვარედინებს ვცემდით თაყვანსაო. საერო ხელისუფლების ნებართვაც უნდაო, ისე უკანონოაო და საერთოდ ეგ მონასტრის მიმდებარე ტერიტორიააო და წმინდა სავანის შეწუხებაო...

ვერ გაგაგებიეთ კაცო, რომ ბორია ვარ ივანოვი და რასაც მე ვაკეთებ, ის არის სწორი. 200 წელზე მეტია ოფლსა ვღვრი, ამას გიჩიჩინებთ და ვერ გადმოგიქართულეთ.

ვიფიქრე, ზედაზენზე ჯვარს დავუდგამ, დავანახებ რა მორწმუნეც ვარ და გავანათლებ-მეთქი, მაგრამ თქვენ ჯიუტი ბავშვებივით იქცევით. სასამართლოში მიჩივლეთ და იმდენი იყაყანეთ, სანამ არ ათქმევინეთ, მშენებლობა უნდა შეჩერდესო; მაგრამ მე მაინც არ მიკრია თქვენთვის ხელი და საქმე არ შემიწყვეტია. თქვენ ყვირით, მე - ვმუშაობ და ვიცი ისევე არაფერი გამოგივათ, როგორც სასამართლოებს, გადაწყვეტილება რომ გამოიტანეს და არ კი შეასრულეს. ეს ერთი კარგი თვისება გაქვთ, საქმის ბოლომდე მიყვანა რომ არ გიყვართ.

ცოტა ხანს გაცდით და თუ ჭკუა ვერ ისწავლეთ, თქვენს სასამართლოს სულელურ გადაწყვეტილებას გავაუქმებინებ და ისე გაგაჩუმებთ. რა ვქნა? თქვენი შეცდომებიც მე უნდა გამოვასწორო.

სხვათა შორის, სახელმწიფო სტრუქტურებთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. მაგალითად, უშიშროების წარმომადგენლებმა მითხრეს, რომ ჯვრის დადგმით ჩვენს გადამცემ საშუალებებს წინაღობა უჩნდებათო. მაშინვე ვუთხარი, რომ მათი აპარატურისთვის ანტენებს ჯვარზე დავამაგრებდი. რა პრობლემაა? ესეც გაიკვირვეთ, მაგრამ მე შევეჩვიე თქვენს უცნაურობებს.

კიდევ კარგი, თქვენს შორისაც არიან თანამედროვედ მოაზროვნე ადამიანები, რომლებმაც იციან ჩემნაირების ფასი, თორემ რა გეშველებოდათ. თქვენ, რა თქმა უნდა, ასეთ ხალხს სჯით. ჩემთან ერთი მღვდელია, რომელსაც მღვდელმსახურების უფლება ჩამოართვეს, მაგრამ არაფერია, უფრო მეტს მიიღებს, ჩემთან სამსახური მაინც დაუფასდება.

მიღებაზე გამახსენდა, ჩვენზე ამბობენ, განაწყენებული ხალხიაო, ერთს ფული არ მისცეს, მეორეს - ეპისკოპოსობაო, მაგრამ განაწყენება არაფერ შუაშია. ჩვენ საქმეს ვაკეთებთ.

**არილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯემალ ქარჩხაძე შვილიშვილთან, სოფოსთან ერთად

**http://www.opentext.org.ge/arili**

წკაპ HERE

...საკუთარი ნაწარმოებების კითხვა არ მიყ-
ვარს, იმდენი მუშაობა მიხდება კორექტურა-
ზე, რომ მერე შული აღარ მიბდის. ერთად-
ერთი გამონაკლისია „ბიძაჩემი ილია", რომე-
ლიც ერთი-ორჯერ საქართველოს გარეშე წავი.
...მაგრამ, მე მგონია, არა იმიტომ, თით-
...ის მიმართ რაიმე განსაკუთრებული და-
...ლება მქონდეს, უფრო, ალბათ, იმი-
...ნას უცხოა ფათერ... ...არ მიამბნია
...და, ...



გრძნობა გაიზარდა. საერთოდ, წერა არც ადრე
იყო მაინცდამაინც იოლი და არც ახლაა. ხაზ-
გაეროდ სულიერად და ინტელექტუალურად
ყოველთვის დაძაბული პროცესია და ხშირად
სიხარულის მომნიჭებელიც. როცა, მაგალითად,
ერთადერთ სიტყვას იპოვი, ანდა, როცა იგრძ-
ნობ, რომ სურათი, რომელსაც გონების თვალით
მკაფიოდ და ნათლად ხედავდი, ადეკვატურ სი-
ტყვიერ ფორმაში მოაქციე. კაცს ისეთი განცდა
გეუფლება, როგორიც შეიძლება დაეუფლოს
ალქიმიკოსს, რომელმაც რკინის მადნიდან ოქ-
რო მიიღო.

...განსხვავება ჩემს პირველსა და უკანასკნელ
ნაწარმოებს შორის, ვფიქრობ, გვარიანია. პრო-
ბლემატიკაში, ალბათ, არავითარი განსხვავება
არ არის. სამაგიეროდ სტილი ახლა უფრო მო-
...რიგებულია, ტექნიკა უფრო დახვეწილია
...თავს არ ვიტყუებ, მგონი, სიღრმეც
...ა.